პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრობ) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.
) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—89.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმეორებული გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დ ღ ი უ რ ი

— გაფიცვა აღმოსავლეთ-ინდოეთის რკინისგზაზე.
— კალდვილში (ამერიკა) პოლიციამ გაფიცული მემადნეობის წინააღმდეგ იხმარა მხრჩოლავი გაზები.
— შემუშავებულია იტალია-თურქეთის შეთანხმების პროექტი.
— ბელორუსთა გრომადის პროცესზე დაიწყო პროკურორის სიტყვა.
— დირიჟაბლი „იტალია" შპიცბერგენიდან გაფრინდა ჩრდ. პოლიუსზე.
— 10 მაისს მოსკოვის კრემატორიუმში დასწვეს ამხ. ციურუპას ნეშტი.

შაბათი, 12 მაისი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 108 (2151)

მთავრობის მოწოდება

საქართველოს ყველა მშრომელთ!

მიმდინარე წლის 10 მაისს ქუთაისს თავს დაატყდა დიდი უბედურება. ცეცხლის სტიქიამ იმსხვერპლა მისი ერთ-ერთი დიდი რაიონი, რომელიც დასახლებული იყო უმთავრესად ღარიბი მცხოვრებლებით.

ცეცხლის ალმა ნაცრად აქცია დაახლოებით სამასამდე სახლი. 5 ათასამდე სული უსახლკაროდ დარჩა ქუჩაში. არიან დაღუპულნი და დასახიჩრებულნი.

დიდია ზარალი, რომელიც ქუთაისმა განიცადა, ძნელია იმ დაბრკოლებათა აქედანვე გათვალისწინება, რომელთაც შეუქმნის ქალაქს მის შემდეგ მუშაობაში ეს უბედურება.

საქართველოს მთავრობა ყოველ ღონეს იღებს იმისათვის, რომ შეამსუბუქოს ცეცხლის სტიქიისაგან გამოწვეული მძიმე შედეგები. უკვე გადაიდგა სასწრაფო ნაბიჯები პირველი დახმარების აღმოსაჩენად, მაგრამ ეს არ კმარა. მთავრობის საშუალებები განსაზღვრულია. აქ საჭიროა ფართო საზოგადოებრივი ინიციატივის ამოქმედება. ქუთაისის დახმარების საქმე არის არა მარტო მატერიალური ხასიათის ღონისძიებათა საკითხი, ესაა უდიდესი საზოგადოებრივი საქმე. აქ უნდა პოვოს გამოხატულება მშრომელთა სოლიდარობამ, რომელიც ერთნაირად მტკიცეა გაჭირვებისა და ლხინების დროს.

მთავრობასთან ერთად ქუთაისის დახმარების საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მთელმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ. საჭიროა ადგილობრივ დაწესებულება-ორგანიზაციებმა აქედანვე გადადგან ქუთაისის დახმარების საქმის საორგანიზაციო ნაბიჯები.

ქალაქებსა და მაზრის აღმასკომებში უნდა გამოყოფილ იქნას სპეციალური სამეულები, რომელნიც უხელმძღვანელებენ თავიანთ ტერიტორიაზე ქუთაისის დახმარების საქმეს.

დაყოვნება დანაშაული იქნებოდა. უნდა გვახსოვდეს, რომ დახმარების მნიშვნელობა განისაზღვრება არა მარტო მატერიალური წვლილის რაოდენობით, არამედ ამ წვლილის მიწოდების სისწრაფით. უნდა გვახსოვდეს, რომ დახმარება საჭიროა მიეცეს სისტემატიური სახით.

ქუთაისის დამწვარი უბანი უნდა აღსდგეს. საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო ქალაქი უნდა გამოვიყვანოთ იმ განსაცდელიდან, რომელშიაც ის ცეცხლის სტიქიამ მოაქცია და რომლის წინააღმდეგ ბრძოლაშიც მარტო ის უძლურია.

საქართველოს მუშებო და გლეხებო, ყველა მოქალაქენო, დაეხმარეთ ქუთაისს!

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**
საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**

იაპონიის ინტერვენცია ჩინეთში

ეხლახან, განიარაღების კონფერენციაზე ჟენევაში, იმპერიალისტური სახელმწიფოების წარმომადგენელნი ტკბილის ენით ლაპარაკობდნენ თავისი მშვიდობის მოყვარულობის შესახებ. მართალია, ისინი აღშფოთებით უარყოფდნენ დაუყოვნებლივსა და სრულ განიარაღებას, რომელსაც საბჭოთა კავშირის დელეგაცია მოითხოვდა; ისიც მართალია, რომ ისინი წინააღუდგნენ აგრეთვე ნაწილობრივ განიარაღებას, რომელსაც ისევ საბჭოთა კავშირის დელეგაცია მოითხოვდა. მაგრამ რაც უფრო მეტის გააფთრებით ილაშქრებდნენ ისინი განიარაღების კონკრეტიული გეგმის წინააღმდეგ, მით უფრო გულმხურვალედ ფიცულობდნენ, რომ „საზოგადოდ" მშვიდობიანობა უყვართ; იმპერიალისტები იმდენადაც კი გაკადნიერდნენ, რომ საბჭოთა წინადადების წინააღმდეგ არგუმენტად ხმარობდნენ იმ შესანიშნავ მოსაზრებას, რომ უიარაღო ადამიანები ერთმანეთს მუშტებით დაერევიან, რაც მეტის-მეტად ცუდი იქნება, რადგან მთელი კაცობრიობა ამით იმ დროს დაუბრუნდება, როცა ჯერ ქვის ხანაც კი არ იყო. ამავე დროს სოციალისტები მთელი თავისი ძალ-ღონით გაჰკიოდნენ ახალი მშვიდობიანი კაპიტალიზმის შესახებ, რომელმაც უაღრესად ქრისტიანული ერთა ლიგის შემწეობით მოსპო ყოველგვარი ომები, ან, თუ ვერ მოსპო, ყოველ შემთხვევაში მალე მოსპობს. იმპერიალიზმის მთელი პრესა, მთელი „ცივილიზაციური" პრესა, ყველა გულისამრევი „სოციალისტური" გაზეთები ერთხმად ყვიროდნენ და ყვირიან მშვიდობიანობის შესახებ, რომელსაც თითქო „ხელს უშლის"... როგორ გგონიათ, ვინ? მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა კავშირი, რომელიც მთელ მსოფლიოს არყევს თავისი მშვიდობიანი წინადადებებით.

მაგრამ სულ მოკლე ხნის განმავლობაში „მშვიდობიანმა" იმპერიალისტებმა და მათმა სოციალისტმა თაყვანისმცემლებმა—არა ერთხელ ჩამოიგლიჯეს პაციფისტური ნიღაბი. ხან მუშების დახოცვა ქუჩაში, ხან უაღრესი დემოკრატიის ნაზი სიყვარული უაღრესი ფაშიზმისადმი, რომელსაც უნგრეთის საუკეთესო მარკა აქვს: ხორტისა და კომპანიის სავაჭრო სახლი.

მაგრამ ეს მხოლოდ შაქარი იყო. ძირმწარამ განსაკუთრებულის სისწრაფით იჩინა თავი აღმოსავლეთში. ერთა ლიგის წევრმა იაპონიამ, რომელმაც ისედაც უკვე თითქმის მთელი მანჯურია გადაყლაპა, დიდი ომი დაიწყო ჩინეთში და ერთბაშად აამოქმედა 50-ათასიანი არმია. „მშვიდობიანად ფეხის მოკიდება" (იმპერიალისტური ეკონომიური პოლიტიკის თვალმაქცური ტერმინია!) გადაიქცა დიდი არმიის აშკარა სამხედრო ლაშქრობად. ჩინეთში „ინციდენტი" კი არ არის, არამედ ნამდვილი იმპერიალისტური ოკუპაციაა, რომელიც შეიძლება გარდაიქცეს დიდ იმპერიალისტურ ომად.

რაღას ამბობენ მშვიდობიანობის მოციქულნი? ერთა ლიგის კეთილშობილი, კაცთმოყვარე და სხვა ამისთანა მოღვაწენი?

„ტაიმს" 5 მაისის ნომერში უსირცხვილოდ და გაუწითლებლად ლაღადებს ჭარჩინებული კერპის კილოთი, რომ „იაპონელები, როგორც სჩანს, სამაგალითო ზომიერებით მოქმედებენ".

„ტან" 6 მაისის ნომერში ბანს აძლევს თავის ინგლისელ თანამოძმეს:

„როდესაც საქმე ეხება ნაციონალურ ინტერესებს (!!), იაპონიის საზოგადოებრივი აზრი ერთსულოვანია; იგი კვლავ მტრულად ექცევა ჩინეთის სამოქალაქო ომში აქტიურად ჩარევის ყოველგვარ პოლიტიკას, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ იგი მხარს დაუჭერს იმპერატორის მთავრობას იმ მოქმედებაში, რომელსაც შექმნილი მდგომარეობა უკანარნახებს მას და რომელიც საჭიროა იაპონელთა სიცოცხლისა და ქონების დასაცავად იქ, სადაც ეს დაცვა მის მოვალეობას შეადგენს".

ამრიგად „ნაციონალურ ინტერესებს" (პრემიერი ტანაკაც აცხადებს, რომ ჯარები ჩინეთში მიტომ გაიგზავნა, რომ „საქმე ეხება მნიშვნელოვან ნაციონალურ ინტერესებს"-ო), რომლებიც მდგომარეობს სხვისი ქვეყნის დამონებაში, იწონებენ ინგლისის და საფრანგეთის იმპერიალისტური პრესის მესვეურები, ესე იგი მშვიდობიანობის მოყვარე ერთა ლიგის ორი ყველაზე უფრო თვალსაჩინო წევრი. მაგრამ ინგლისისა და საფრანგეთის ამ ჭეშმარიტად შესანიშნავ იაპონოფილობაში იფარება გადამჭრელი წინააღმდეგობა ერთის მხრივ იაპონიისა და ინგლისის და მეორეს მხრივ შეერთებულ შტატების ინტერესებს შორის. ცოტაა ის, რომ ჩინეთს სძარცვავენ. ცოტაა ის, რომ ჩინეთის ხალხის ზურგზე გამეფებულია იმპერიალიზმის ნამდვილი ვაკხანალია. ცოტაა ის, რომ უცხოელი დამპყრობი ძალა აშკარად შეიჭრა ჩინეთში და ანადგურებს მას. ცოტაა ის, რომ უდიდესი ხალხის უფლებათა ფეხქვეშ გათელვასთან ერთად გრძელდება გაუგონარი ტერორი ჩინეთის ერის ცოცხალი ძალების წინააღმდეგ, სახალხო რევოლიუციის წინააღმდეგ. ყოველივე ამას თან ერთვის გიგანტური შეტაკების საფრთხე ინგლის-იაპონიის ბლოკისა და შეერთებულ შტატებს შორის. გომინდანის ფიგურების უკან, რომლებიც ხვრეტენ მუშებსა და გლეხებს, სდგას ჩრ.-ამერიკის რესპუბლიკა. ჩანცზო-ლინისა და მისი ხროვის უკან, რომელიც ამნაირადვე ხვრეტს მუშებსა და გლეხებს, სდგას იმპერიალისტური იაპონია. იაპონიის ომი სამხრეთელების წინააღმდეგ გამოხატავს ყრუ და გამწვავებულ ბრძოლას ამერიკის წინააღმდეგ და თუ კონფლიქტი განვითარდა, მას შეუძლია მიიღოს სრულიად „მოულოდნელი" დაბოლოება.

საერთაშორისო პროლეტარიატს არ შეუძლია ჩუმად იყოს როდესაც ხედავს ამ ამბებს, გააფთრებული ენერგიით უნდა გამოვააშკარავოთ სოციალ-დემოკრატების პაციფისტური სიცრუე. გადაჭრით უნდა ჩამოვგლიჯოთ ნიღაბი იდეურ მაჩინჯებს, რომლებიც ემსახურებიან იმპერიალისტური ომის გაღვივებას. უნდა მოვამზადოთ მასები გადაჭრილ წინააღმდეგობისათვის.

რომ იმპერიალისტებს არ ეშინოდეთ რევოლიუციის, რომ არ ეშინოდეთ საბჭოთა კავშირის, ისინი უკვე დიდი ხანია დაერეოდნენ ერთმანეთს; ეს შიში აკავებს მათ. მაგრამ „ნაციონალური ინტერესები" სძლევს ამ შიშს. ჩინეთის შორეულ აღმოსავლეთში წარმოიშვა უაღრესად საშიშარი საერთაშორისო კონფლიქტი.

„პრავდა", 11 მაისი.

იაპონია უარს ამბობს ნანკინის მთავრობასთან მოლაპარაკებაზე

ჩინეთში ფართოვდება ანტი-იაპონური მოძრაობა

ჩან-კაი-შის გადაყენებას უპირებენ.-მის მაგივრად ასახელებენ ფინ-იუი-სიანს

დასრულდა მოლაპარაკება იტალია-თურქეთის შეთანხმების დასადებად

ბრძოლა ჩინეთში

წითლების ოპერაციები

შანხაი, 10 მაისი. „შუნ-ბაო"-ს ცნობით, რევოლიუციონურმა ჯარებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ კომუნისტები, დაიკავეს ხაიფუნი და შემდეგ უკან დაიხიეს. მათ დაჰკარგეს 300 კაცი (ადს).

ფინის მხარეზე

შანხაი, 10 მაისი. ნანკინის მთავრობის ორგანო „რეპუბლიკენ დეილი ნიუს"-ის ცნობით, ჩუილის გუბერნატორი ჩუ-იუ-ფუ დამინის დაცემის შემდეგ გადავიდა ფინ-იუ-სიანის მხარეზე (ადს).

ანტი-იაპონური მოძრაობა

პეკინი, 10 მაისი. პეკინის საბანკო ასოციაციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვს ეკონომიური ურთიერთობის შეწყვეტას იაპონიასთან. პეკინის სტუდენტობა აქტიურ აგიტაციას ეწევა იაპონელებისათვის ბოიკოტის გამოცხადების სასარგებლოთ და ავრცელებს დაწვრილებითი ცნობებს, იაპონიის ჯარების ძალადობის შესახებ შანდუნის პროვინციაში.

ჩან-კაი-შის მოწოდება

შანხაი, 10 მაისი. „სინ-ვენ-ბაო"-ს ცნობით, ცზიანსუს პროვინციის მთელ რიგ მსხვილ ქალაქებში გაიმართა ანტიიაპონური მიტინგები.

ანტიიაპონურ მოძრაობასთან დაკავშირებით შანხაიში 9 მაისს მოხდა ინციდენტი ჩინელ სტუდენტებსა და ინგლისის ტრამვაის კომპანიის წარმომადგენელს შორის. კომპანიის ინსპექტორი შეეცადა ხელი შეეშალა სტუდენტებისათვის, რომლებიც ანტიიაპონურ ლოზუნგებს აკრავდნენ ტრამვაის ვაგონებზე, და რამოდენიმეჯერ ესროლა რევოლვერი. ჩინეთის პოლიციამ ინსპექტორი დააპატიმრა და გადასცა ცზიანსუს პროვინციის საგარეო საქმეთა კომისარის ბიუროს განკარგულებაში.

ამოიში იაპონიის საქონელს ბოიკოტი გამოუცხადეს (ადს).

ნერვიულობა შანხაიში

ტოკიო, 10 მაისი. შანხაიში იაპონელებმა გადმოსხეს დესანტი, რომელმაც დააყენა ხარგუშაოები პორტ-სიჩუან-სტრიტის მახლობლად. შანხაიში მეტად ნერვიული განწყობილებაა. (ადს).

სამხრეთელების ოპერაციები

ტოკიო, 10 მაისი. სიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება, რომ სამხრეთელებმა, რომელნიც 9 მაისს თავს დაესხნენ იაპონელთა ბრიგადას, ბრძოლის ველზე დასტოვეს 800 მოკლული. იაპონელებმა დაჰკარგეს სულ 30 კაცი. რკინის გზის ხაზი იაპონელების ხელშია.

შანხაი, 10 მაისი. „სინ-ვენ-ბაო"-ს ცნობით, 8 მაისს სამხრეთის ჯარებმა დაიკავეს ლინგიგასტანი. ცზინანის ჩრდილოეთით 70 კილომეტრის მანძილზე (ადს).

იაპონიის მოთხოვნილებანი

ტოკიო, 10 მაისი. ლიბერალური გაზეთ „ხოცი"-ს ცნობით, იაპონიის მთავრობას განზრახვა აქვს ნანკინის მთავრობას მოსთხოვოს ბოდიშის მოხდა, პასუხისმგებელ გენერლების და ოფიცრების და ჯარის კაცების დასჯა და გარანტია იმისა, რომ ასეთი ამბები აღარ განმეორდება (ადს).

სამხედრო წესები მუკდენში

პეკინი, 10 მაისი. მუკდენის პროვინციის გუბერნატორმა სამხედრო წესები გამოაცხადა მუკდენში (ადს).

დემონსტრაციების აკრძალვა

პეკინი, 10 მაისი. პეკინის მთავრობამ აკრძალა იაპონიის წინააღმდეგ მიმართული ყველა დემონსტრაციები და კრებები.

მთავრობა იღებს ზომებს ანტიიაპონური მოძრაობის შესაჩერებლად (ადს).

იან იუ-ტინის პასუხი

ტოკიო, 10 მაისი. „ნიცი ნიცი"-ს ცნობით „პეკინის პოლიციის უფროსმა ანგოცზოუნის შტაბს შეეკითხა ანტიიაპონური მოძრაობის შესახებ. იან იუ-ტინმა უპასუხა, რომ „ხელი არ უნდა შეუშალონ ანტიიაპონურ პროპაგანდას" (ადს).

სამხედრო წესები

ტოკიო, 10 მაისი. ჩან-ძო-ლინის ბრძანებით, ცზინანში მომხდარი ამბების გამო პეკინ ხანკოუს რკინის გზის რაიონში სამხედრო წესები გამოაცხადეს.

ხმების მიხედვით, ჩან-ძო-ლინმა დეპეშით მიმართა ჩან-კაი-შის, რათა განხილულ იქნას ცზინანში მომხდარი ამბების საკითხი (ადს).

ჩან-კაი-შის გადაყენებას უპირებენ

პეკინი, 10 მაისი. რეიტერი, ემყარება რა პეკინიდან მიღებულ ცნობებს, იუწყება, რომ ჩან-კაი-ში გადაყენებულ იქნება და მის მაგივრად დანიშნავენ ფინ იუი-სიანს (ადს).

შანხაი, 10 მაისი. ჰომინის სააგენტოს ცნობით, 10 მაისს ჩან-კაი-შიმ სამხრეთის არმიას მიმართა მოწოდებით მოერიდონ ყოველგვარ კონფლიქტებს იაპონელებთან და მთელი თავისი ყურადღება მიაპყრონ ჩრდილოეთის ექსპედიციას (ადს).

ნანკინის პროტესტი ერთა ლიგის წინაშე

შანხაი, 10 მაისი. ნანკინის მთავრობამ გადასწყვიტა განაცხადოს ერთა ლიგის წინაშე პროტესტი იაპონიის მოქმედების წინააღმდეგ.

ნანკინის მთავრობის წარმომადგენელმა ვან ჩჟენ-ტინმა დაიწყო მოლაპარაკება იაპონელებთან (ადს).

იაპონელები უტევენ

შანხაი, 10 მაისი. ტან ჩია ჩჟუანის რაიონში იაპონიის ჯარები უტევენ სამხრეთელებს, რომლებსაც მოუკლეს 80 კაცი. იაპონელებმა დაანგრიეს ცზინანის არსენალი.

ცინდაოდან მიღებულ ცნობით, იაპონიის ჯარებმა დაიკავეს ცინდაო-ცზინანის რკ. გზა, ქალაქი ცზინანი სავაჭრო უბნებით, რკ. გზის ხიდის ნაწილი ყვითელ მდინარეზე და გოტაინის და ტან ჩუანის ბაზრები.

ტოკიო, 10 მაისი. „სიმბუნ რენგო"-ს ცნობით, ცზინანის რაიონში მყოფი სამხრეთელების ჯარები, რომელთაც ხელმძღვანელობს ფან-ჩი-ნუ, პირველად დასთანხმდნენ იაპონელებისათვის იარაღის ჩაბარებაზე, მაგრამ შემდეგ წინააღმდეგობა გაუწიეს იაპონიის ჯარებს. იაპონიის ჯარებს იერიში მიაქვთ ცზინანის სიმაგრეზე. რომელშიაც იმყოფებოდა 3000 სამხრეთელი (ადს).

ჩრდილოელები უკან იხევენ, ჩან-კაი-შის მდგომარეობა შერყეულია.

პარიზი, 10 მაისი. ჰავასის სააგენტო იუწყება:

„პეკინიდან მიღებული ცნობით, ჩრდილოელების მთავარი შტაბი გადავიდა ბაოდინში. ჩან-ძო-ლინი აპირებს უკან დახევას, მანჯურიისაკენ. ჩან-კაი-შის მდგომარეობა შერყეულია. სამხედრო ოპერაციების ხელმძღვანელობა გადადის ფინ-იუი-სიანის ხელში" (ადს).

საფრანგეთის პრესა ჩინეთის ამბების შესახებ

პარიზი, 10 მაისი. საფრანგეთის პრესა უდიდესი ინტერესით ადევნებს თვალყურს ჩინეთის ამბებს. პრესა აღნიშნავს, რომ იაპონიის ჩარევა იმ ამბებში, რომლებიც შანდუნში ვითარდება, წარმოადგენს ვაშინგტონის 1922 წლის შეთანხმების დარღვევას და რომ ამან შეიძლება გამოიწვიოს შეიარაღებული შეტაკება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ყველა ის ქვეყნები, რომლებსაც აქვთ ინტერესები წყნარ ოკეანეს ნაპირებზე.

კლემანსოს ორგანო „ომ ლიბრ"-ი, „ფიგარო" და „ჟურნალ დე დება" ჩინეთის ამბებში ხედავენ ერთა ლიგის სისუსტის ახალ დამამტკიცებელ საბუთს. მილიერანის ორგანო „ავენირ"-ი გადაჭრით იცავს იაპონიის პოზიციას და ფიქრობს, რომ იაპონია, იცავს რა თავის ინტერესებს ჩინეთში, ამავე დროს იცავს ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესებს. „ტან"-ი გამოსთქვამს რწმენას, რომ იაპონიის მოქმედება არ მიიღებს ინტერვენციის ხასიათს. გაზეთის სიტყვებით, იაპონიამ რომ სცადოს ჩინეთის დაპყრობა და იქ გაბატონება, ეს აუცილებლად გამოიწვევს ჩინეთის ყველა ჯგუფების გაერთიანებას მის წინააღმდეგ. ამას გარდა, გაზეთის სიტყვებით, ასეთი ცდა გამოიწვევს სერიოზულ საერთაშორისო გართულებებს (ადს).

ამერიკა უარს აცხადებს შუამდგომლობაზე

ტოკიო, 10 მაისი. ხმების მიხედვით, ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი უარს აცხადებს იკისროს შუამდგომლობა ცზინანის ინციდენტის მოგვარებაში.

გარეშე საქმეთა მინისტრმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა, რომ იაპონიის ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებისათვის არ უთხოვნია შუამდგომლობის გაწევა (ადს).

„იაპონიას არ შეუძლია მოლაპარაკების წარმოება"

ტოკიო, 10 მაისი. „ნიცი ნიცი"-ს ცნობით, იაპონიის მთავრობა შეუძლებლად სცნობს აწარმოოს მოლაპარაკება ნანკინის მთავრობასთან, როგორც სრულუფლებიან მხარესთან, რამდენადაც ნანკინის მთავრობა არის ადგილობრივი და არა ცენტრალური მთავრობა.

გაზეთი აცხადებს, რომ ვინაიდან შეუძლებელია შეთანხმება ჩრდილოელებსა და სამხრეთელებს შორის, მთავრობას არ აქვს განზრახვა შეაჩეროს დამატებითი ჯარების გაგზავნა (ადს).

ტანაკას ინფორმაცია

ტოკიო, 10 მაისი. ტანაკამ 9 მაისს მიიწვია ინგლისის, ამერიკის, საფრანგეთის და იტალიის ელჩები, რომლებსაც გააცნო შანდუნში მომხდარი ამბები და აგრეთვე შანდუნში ჯარების გაგზავნის საკითხი.

გაზეთი „ხუვაკ სიოგიო" აცხადებს, რომ ჩრდილო ამერიკის შეერთ. შტატებმა არ გამოსთქვა თავისი თვალსაზრისი ცზინანის ამბების შესახებ და ლონდონის პოზიცია დაიკავა. რაც შეეხება ინგლისს, იგი თანაუგრძნობს იაპონიას და შესაძლოა იმედი აქვს, რომ მიიღებს სარგებლობას (ადს).

ელჩების თათბირი

პეკინი, 10 მაისი. ინგლისის, საფრანგეთის და იაპონიის ელჩებმა საერთო თათბირზე განიხილეს პეკინში და ციანცზინში უცხოელთა დაცვის ზომები (ადს).

მთლიანი ფრონტით

პეკინი, 10 მაისი. ვრცელდება მუკდენელთა ახალი პლაკატები შემდეგი ლოზუნგით: „ჯერ დავამთავროთ ჩვენი შინაური დავა, რათა მოგვეცეს საშუალება მთლიანი ფრონტით ვებრძოლოთ უცხოელებს" (ადს).

მაკდონალდი—ჩემბერლენი

ლონდონი, 10 მაისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „მაკდონალდმა თემთა პალატაში წარმოთქმულ სიტყვაში მოუწოდა მთავრობას განაახლოს მოლაპარაკება ეგვიპტესთან. მაკდონალდი შეეხო აგრეთვე იმ ხელშეკრულების პროექტს, რომელსაც ინგლისი ადგენს ომის აკრძალვის შესახებ.

მაკდონალდის საპასუხოდ ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ინგლისი ყოველგვარი საშუალებით შეეცდება, რათა სამხედრო გემების გაუგზავნელად და კრიზისების გარეშე დაამყაროს ურთიერთობა ეგვიპტესთან. შეეხო რა კელოგის წინადადებას, ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობამ დაამთავრა ამერიკის პროექტის განხილვა და თავისი მოსაზრებანი გადასცა დომინიონებს განსახილველად" (ადს).

პილსუდსკის რესპუბლიკაში

პოლონეთის მთავრობის რეკონსტრუქცია.

ვარშავა 10 მაისი. პილსუდსკის ავადმყოფობის გამო პოლიტიკურ წრეებში ბევრს ლაპარაკობენ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ. მთელ რიგ გაზეთებში გამოქვეყნებულია ცნობა, რომ პილსუდსკი უარს აცხადებს სამხედრო მინისტრის თანამდებობაზე.

პოლონეთის დეპეშათა სააგენტო უარჰყოფს ხმებს მთავრობის რეკონსტრუქციის შესახებ.

„რეჩ პოსპოლიტა"-ს ცნობით, 9 მაისს მინისტრთა საბჭომ განიხილა მთავრობის მუშაობის გეგმა პილსუდსკის მკურნალობის დროს. ხმები დადის, რომ პილსუდსკიმ გადამწყვეტი ხმა დაიტოვა საგარეო პოლიტიკის და სამხედრო საკითხებში (ადს).

პილსუდსკის მომხრეთა ბანაკში.

ვარშავა, 10 მაისი. პილსუდსკის ახალი და ძველი ჯგუფის მომხრეთა ბანაკში, უკანასკნელ ხანებში შესამჩნევი გახდა მნიშვნელოვანი უთანხმოება და წინააღმდეგობანი. ყოველმხრივ ცდილობენ უთანხმოება დაფარონ. ამას წინედ პილსუდსკის გამოჩენილმა მომხრეებმა კოსციალკოვსკიმ და ბარანსკიმ უარი განაცხადეს მთავრობის ბლოკის კლუბში სახელმძღვანელო პოსტებზე დარჩენაზე. პილსუდსკის მომხრეთა კლუბის დაარსების პირველი დღეებიდანვე დაიწყო ბრძოლა კონსერვატორების ჯგუფსა და „რესპუბლიკის გამაჯანსაღებელთა" ჯგუფს შორის.

„გაზეტა ვარშავსკა"-ს ცნობით „სახალხო მოძრაობის გაერთიანების პარტიის" მომხრეების გარშემო სწარმოებს დიდი ბრძოლა, სახელმწიფო პოსტების ხელში ჩასაგდებათ.

ახალი პარტიის საორგანიზაციო მუშაობის ხელმძღვანელად დანიშნულია კონსერვატორების ჯგუფის მომხრე დოლიანოვსკი. გაზეთი ამასთანავე აღნიშნავს, რომ პილსუდსკის მომხრეთა წრეებში ჯერ კიდევ არაა გამორკვეული მსროლელთა და ლეგიონერთა კავშირებთან დამოკიდებულების საკითხი.

პეპეესოველი—პოლიციის აგენტი.

ვარშავა, 10 მაისი. პეპეესოველთა (პოლონეთის სოციალისტური პარტია) დეპუტატის მალინოვსკის და პარტიის სხვა მოღვაწეთა პოლიციაში მუშაობის გამოაშკარავებამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა პოლონეთის საზოგადოებრიობაზე. ეს ამბავი ყველა გაზეთებმა გადაბეჭდეს. იუწყებიან, რომ ეს საკითხი განხილულ იქნა პეპეესოველთა ცეკას უკანასკნელ სხდომაზე. გადაწყვეტილება გადადებულ იქნა მალინოვსკის ჩამოსვლამდე. პეპეესოველთა ცეკას წევრთა ნაწილი ფიქრობს, რომ „არა სავალდებულო საუბარი პოლიტიკური პოლიციის წარმომადგენლებთან არ არის პარტიული თვალსაზრისით დასასჯელი მოვლენა"-ო.

—„რაბოტნიკ"-ში მოთავსებულია მალინოვსკის წერილი, რომელიც უარჰყოფს თავის თანამშრომლობას ოხრანკაში (ადს).

საფრანგეთი არჩევნების შემდეგ

ლუშერის ცდა უშედეგოთ დამთავრდა

პარიზი, 10 მაისი. ლუშერის ცდა, რომ პალატაში შეექმნა ცენტრის ჯგუფი, ჯერჯერობით უშედეგოდ დამთავრდა. პრესა ფიქრობს, რომ ეს არის მთავრობის კრიზისის დასაწყისის სიმპტომი და ხაზს უსვამს, რომ პუანკარეს ეხლანდელი კაბინეტი არ გამოხატავს ძალთა განწყობილებას ეხლანდელ პალატაში. პრესის სიტყვით, მემარჯვენე ფრთის გაძლიერება არჩევნების შემდეგ მოითხოვს სათანადო ცვლილებების შეტანას კაბინეტის შემადგენლობაში (ადს).

მზადება მარჯვნივ გადახრისათვის

პარიზი, 10 მაისი. პუანკარეს უკანასკნელ სიტყვას „ლიუმანიტე" აფასებს, როგორც მზადებას საშინაო პოლიტიკის მარჯვნივ გადახრისათვის. პოლიტიკის მარჯვნივ გადახრა მოითხოვს, რომ მისი გამტარებელი იყოს უფრო გარკვეული პოლიტიკური ფიზიონომიის ხალხი, ვიდრე არიან პუანკარეს ეხლანდელი მოკავშირენი. გაზეთი აღნიშნავს, რომ ახალი შემადგენლობის პალატის დეპუტატთა თითქმის ნახევარი ოფიციალური საერო პოლიტიკის აშკარა წინააღმდეგია და რომ მთავრობა უახლოეს კავშირში იმყოფება კათოლიკურ წრეებთან. პალატის თითქმის ნახევარი ნაწილის კავშირი კლერიკალებთან კიდევ უფრო გაართულებს მომავალ კრიზისს (ადს).

გუვერის დამარცხება

ნიუ-იორკი, 10 მაისი. ინდიანას შტატში რესპუბლიკანური პარტიის ეროვნული ყრილობისათვის (ამ ყრილობამ უნდა დაასახელოს კანდიდატები პრეზიდენტის თანამდებობაზე) დელეგატების არჩევნების დროს ვაჭრობის მინისტრი გუვერი დაამარცხა სენატორმა უოტსონმა—ინდიანას რესპუბლიკანელთა ორგანიზაციის მეთაურმა, არჩევნების შედეგი ინდიანაში სერიოზულ დამარცხებას წარმოადგენს გუვერისათვის; ეს შედეგი მოწმობს, რომ გუვერის მდგომარეობა განსაკუთრებით სუსტია სასოფლო-სამეურნეო რაიონებში. ეს იმედებს აძლევს პრეზიდენტის თანამდებობის იმ პრეტენდენტებს, რომლებიც, როგორც მაგალითად, დაუესი და ლოუდენი, მხარს უჭერენ ფერმერების მოთხოვნილებას სახელმწიფო დახმარების აღმოჩენის შესახებ, რასაც ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა გუვერი (ადს).

თურქეთში

იტალია-თურქეთის პაქტი

ანგორა, 10 მაისი. ავტორიტეტული წყაროებიდან მიღებული ცნობებით, უკვე დასრულდა მოლაპარაკება იტალია-თურქეთის შორის პაქტის დასადებათ. შედგენილია პაქტის პროექტი, რომელზედაც ხელის მოწერა გადადებულია, თურქეთ-საბერძნეთს შორის მომხდარ უთანხმოების მოგვარებამდე (ადს).

ლათინური ალფაბეტის შემოღება თურქეთში

ანგორა, 10 მაისი. „ხაკიმიეთ-მილიე" იტყობინება, რომ მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ლათინურ ალფაბეტზე გადასვლის შესახებ.

ახალი სასწავლო წლის დასაწყისიდან [illegible] შეტანილი იქნება თურ[illegible] პროგრამაში (ადს).

ალი ჯანალის პროცესი

ანგორა, 10 მაისი. ვაჭრობის ყოფილი მინისტრის ალი ჯენალის პროცესზე მოსმენილ იქნა დამცველთა სიტყვები. განაჩენი გამოტანილ იქნება 14 მაისს (ადს).

ამხ. ლიზარევზე თავდასხმის გარშემო

ვარშავა, 11 მაისი. გაზეთ „ნაშ პშეგლონდ"-ის ცნობით ამ დღეებში დასრულდება გამოძიება ლიზარევზე თავდასხმის გამო. გაზეთის სიტყვით, თავდასხმასთან დაკავშირებით, თანახმად პრეზიდენტის დეკრეტისა იმ უცხოელების შესახებ, რომლებიც საზოგადოებრივ წესიერებას არღვევენ თავიანთი მოღვაწეობით, პოლონეთიდან გადასახლებული იქნება 10-ზე მეტი ემიგრანტი.

ვოიკოვის მკვლელის დამცველად გამოვა ცნობილი რეაქციონერი, ვექილი ნადზელსკი, რომელიც იცავდა აგრეთვე ამხ. ვოიკოვის მკვლელ კავერდას. ბრალმდებელთა წარმომადგენლად გამოვა პროკურორი ბოროვსკი.

იუწყებიან, რომ საქმის გარჩევა დაიწყება ივნისის პირველ რიცხვებში (ადს).

სპარსეთში

თეირანი, 10 მაისი. მეშედის გაზეთი „ხუდაე შარკ" მოწინავეში სათაურით „ეკონომიური კრიზისი", სხვათა შორის სწერს:

„ინგლისის ბანკის უკანასკნელი ღონისძიებანი (ლაპარაკია ინგლისის ბანკის მიერ სპარსეთის ვაჭრებისათვის კრედიტის შემცირებაზე) უარყოფით გავლენას ახდენს ხორასანზე, რომელიც ყოველმხრივ ჩამორჩა სპარსეთის სხვა პროვინციებს".

ინგლისის ბანკის ამ ღონისძიებებს გაზეთი უკავშირებს სპარსეთის მთავრობის უკანასკნელ გამოსვლებს ბაჰრეინის საკითხში და ურჩევს მთავრობას დააჩქაროს ნაციონალური ბანკის გახსნა, რათა სპარსეთის მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცეს უარი სთქვან მუშაობაზე ინგლისის ბანკთან, რომელსაც „სპარსეთის ხალხის ქონება ჩალის ფასად გააქვს საზღვარ გარეთ" (ადს).

სხვადასხვა

ქარბუქი

ბერლინი, 10 მაისი. დღეს ბერლინში დიდი ქარბუქი იყო. ტემპერატურა ძალიან დაბალია (ადს).

ყინვები ევროპაში

ლონდონი, 10 მაისი. „დეილი მეილი"-ს ცნობით პარიზიდან, ხუთშაბათს აღმოსავლეთ საფრანგეთში დიდი თოვლი მოვიდა.

ლონდონში და მთელ ინგლისში ძლიერი ყინვებია (ადს).

წყალდიდობა

პარიზი, 10 მაისი. სალონიკიდან მიღებული ცნობით, მდინარე სტრუმის ადიდებით წალეკილია სიდიროკასტროს მიდამოები, სადაც განადგურდა 40.000 ჰექტარი თამბაქოს და ბამბის ნათესი. ზარალი 1,5 მილიარდ დარახმას უდრის (ადს).

ამხ. ციურუპას ნეშტის დაწვა

მოსკოვი, 11 მაისი. 10 მაისს დღის 12 საათზე ამხ. ციურუპას კუბოსთან გამოსათხოვრად მისვლა შეეძლოთ საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებს და ყველა მოქალაქეებს. საღამოს კუბო ახალი გვირგვინებით შეამკეს საკავშირო ცაკის და სახ. კომსაბჭოს, რუსეთის ცაკისა და სახკომსაბჭოს, მოსკოვის საბჭოს და სხ. წარმომადგენლებმა.

11 საათსა და 45 წუთზე კუბოსთან მისვლა მოქალაქეებს აეკრძალა. კუბოსთან გამოსათხოვრად დარჩნენ განსვენებულის ოჯახის წევრები და ნათესავები. ღამის 12 საათზე კუბო გამოიტანეს კავშირთა სახლიდან და ავტომობილით წაიღეს კრემატორიუმში. კუბო მოაცილეს დამკრძალავ კომისიის წევრებმა და განსვენებულის ნათესავებმა და მეგობრებმა. კრემატორიუმის წინა დარბაზში კუბო დაასვენეს მწვანით მორთულ ადგილას. ორკესტრმა შეასრულა შოპენის სამგლოვიარო ჰიმნი.

შემდეგ კუბო დასაწვავად ჩაუშვეს ქვევით. დაესწრნენ დამკრძალავი კომისიის ყველა წევრები. ლენინგრადის სამხატვრო აკადემიის მიერ დამზადებულ ურნაზე ამოკვეთილია წარწერა: „ციურუპა. 18—13 ნოემბ.—70 წ. 19—28 მაისის—28 წ.".

ურნა ამხ. ციურუპას ფერფლით შეინახება წითელ მოედანზე კრემლის კედელში ამხ. კრასინის ურნის გვერდით (ადს).

ამხ. რიკოვის დეპეშა

მოსკოვი, 11 მაისი. 10 მაისს საკავშირო დეპეშათა სააგენტომ კეკენეიზიდან (ყირიმი) მიიღო საკავშირო სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. რიკოვის სასწრაფო დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია:

„ავადმყოფობის გამო მოკლებული ვარ შესაძლებლობას მივიღო მონაწილეობა ალექსანდრე დიმიტრისძე ციურუპას დაკრძალვაში. ჩემთვის, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ვმუშაობდი ალექსანდრე დიმიტრისძესთან ერთად, განსაკუთრებით მძიმეა ის დანაკლისი, რომელიც ამ სიკვდილით წილად ხვდა პარტიასა და საბჭოთა სახელმწიფოს. ალექსანდრე დიმიტრისძე, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა სამეურნეო და საბჭოთა მშენებლობის მნიშვნელოვან დარგებს, წარმოადგენდა იმ სახელმწიფო მოღვაწეს, რომელიც მთელი უბრალო ყოველდღიურ მუშაობაშიაც იჩენდა მთელ თავის განსაკუთრებულ პრაქტიკულ ჭკუას, მტკიცე ნებისყოფას და სიბეჯითეს.

მომქანცველი და მძიმე მუშაობა სახკომსაბჭოში და შრომისა და თავდაცვის საქმეში აიძულებდა ალექსანდრე დიმიტრისძეს დროებით შეეწყვიტა ეს მუშაობა. მაგრამ ყოველ შესვენების შემდეგ გაორკეცებული ენერგიით შეუდგებოდა სახელმწიფო მართვა- გამგეობის დიდმნიშვნელოვან საკითხების გადაწყვეტას. ამ შემთხვევაში ის სამუდამოდ მოგვშორდა ჩვენ. გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკური გვარდიის კიდევ ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი, გარდაიცვალა პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მეტად გამოცდილი მუშაკი. ყოველი წელი ჩვენგან რაიმე ახალ მსხვერპლს მოითხოვს. ეს გარემოება დიდ მოთხოვნილებებს უყენებს ახალ თაობას, რომელმაც უნდა შესცვალოს რევოლიუციონური ბრძოლის მთელი ისტორიის მიერ შერჩეული, ნიჭიერი და თავდადებული წარმომადგენლები ძველი გვარდიისა. მით უფრო ინტენსიურად უნდა მოჰკიდოს ხელი ახალმა თაობამ მუშაობას იმ დიდი ბრძოლის დასამთავრებლად, რომელიც ძველმა ბოლშევიკურმა გვარდიამ დაიწყო".

ამხ. მ. კახიანის დეპეშა

საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანმა ამხ. მ. კახიანმა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი, აღნიშნავს რა უდიდეს დანაკლისს, რომელიც ჩვენმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ განიცადა გამოჩენილი ძველი ბოლშევიკის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საქმისათვის მებრძოლის, მუშათა კლასის და მსოფლიოს ჩაგრული ხალხების კაპიტალის მონობისაგან განთავისუფლების იდეით მუდამ გატაცებული ამხანაგის ციურუპას დაკარგვით, და უერთდება რა საკავშირო კომპარტიის ცეკას ამ გლოვის დღეს, დარწმუნებულია, რომ ეს დანაკარგი ერთი-ასად იქნება ანაზღაურებული ჩვენი რიგების დარაზმვით და კომუნიზმის დიადი საქმისათვის წარმოებული ჩვენი ბრძოლის წარმატებით.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი **მ. კახიანი.**

კონტრ-რევოლიუციონურ სპეცების კავშირი უცხოეთთან

მოსკოვი, 11 მაისი. დამატებით წინად გამოქვეყნებულ მასალების*) დონბასში აღმოჩენილ ეკონომიურ კონტრ-რევოლიუციის შესახებ, საბრალმდებლო დასკვნიდან მოგვყავს ცნობები, რომლებიც ახასიათებენ პასუხისგებაში მიცემულ ინჟენერების კავშირს უცხოეთთან, უცხოეთის ოფიციალურ დაწესებულებებთან, რომლებიც ლეგალურად მუშაობდნენ საბჭოთა კავშირში.

ერთ-ერთი ბრალდებული ინჟენერი მატოვი აცხადებს, რომ 1923 წელს ის ხშირად ნახულობდა რ-ს (პოლონეთის ზოგიერთ დაწესებულებების პასუხისმგებელი თანამშრომელი ხარკოვში), რომელსაც აინტერესებდა მაღაროების მდგომარეობა და მათი მუშაობა, კერძოდ, მაღარო „ზოლოტოე". მატოვმა მისცა მას ცნობები მუშაობის მდგომარეობის შესახებ, შეატყობინა, თუ რომელ მაღაროებშია შეწყვეტილი მუშაობა, რომელი მაღაროა წყლით ამოვსებული. იყო ლაპარაკი აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ მოეწყვენ და ცხოვრობენ ნაცნობი ინჟენერი საზღვარგარედ, კერძოთ პოლონეთში. მისგან მატოვმა გაიგო, რომ ირმინის მაღაროს ყოფილი დირექტორი დვორჟანჩიკი მსახურობს პოლონეთის ერთ-ერთ ქვანახშირის საზოგადოების გამგეობაში და მას ძლიერ აინტერესებს მაღაროების მდგომარეობა დონბასში. რ-ის საშუალებით მატოვი მიწერ-მოწერას აწარმოებდა დვორჟანჩიკთან და აწვდიდა მას ცნობებს მაღაროების მდგომარეობის შესახებ. საზღვარგარეთ ცნობების შემთხვევით გადაცემის წესი მალე შეცვლილ იქნა სისტემატიური მიწერ-მოწერით ოფიციალურ ორგანოების საშუალებით.

ინჟენერი კაზარინოვი აცხადებს, რომ სისტემატიური კავშირი საზღვარგარეთთან პირველად მოაგვარა ინჟენერმა ტატარინოვმა მოქალაქე რ-ის ხარკოვში ყოფნის დროს. ამ გზით წარმოებდა მთელი მიწერ-მოწერა ყოფილ მრეწველებთან. ფოსტა იგზავნებოდა პოლონეთში დვორჟანჩიკის სახელზე. ბიხოვსკის საშუალებით, რომელიც სარგებლობდა პოლონეთის იმავე ორგანოს აპარატით, „დონუგოლ"-ის ინჟენერი შადლუნი საფრანგეთიდან ღებულობდა წერილებს რემოსაგან.

უცხოეთთან კავშირმა სავსებით ორგანიზაციული ხასიათი მიიღო 1923 წელს, როცა ხარკოვში საბოლოოდ მოეწყო ხელმძღვანელი ცენტრი. ამ საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ორგანიზაციის წევრი ინჟენერი ბუდნი, რომელმაც 1922 წლის ბოლოდან 1926 წლამდე მიიღო და ორგანიზაციის წევრებს გადაუგზავნა 40 პაკეტი. მატოვი ამბობს, რომ ორგანიზაციის წევრი იუსევიჩი 1925 წელს გაიგზავნა პარიზში მივლინებაში. ორგანიზაციის ხელმძღვანელ ჯგუფის ერთ-ერთ სხდომაზე, რომელსაც დაესწრნენ ბოიარშინოვი, მატოვი, ბრატანოვსკი, სუშევსკი და იუსევიჩი, უკანასკნელს წინადადება მიეცა გაება კავშირი სამხრეთ რუსეთის სამთა-მადნო მრეწველთა ყრილობასთან პარიზში, იუსევიჩს უნდა გადაეცა ყველა ცნობები დონბასის შესახებ და მიეღო აღნიშნულ ყრილობისაგან ცნობები, ინსტრუქციები და ფული ხარკოვში მყოფ ორგანიზაციისათვის. თათბირმა მისცა დირექტივები აგრეთვე მატოვს, რომელიც გაემგზავრა საზღვარგარედ.

ბრალდებულ **შადლუნის** ჩვენების თანახმად, მატოვი წერილობით მოხსენებაში იუწყებოდა, რომ მას ლაპარაკი ჰქონდა მაღაროების ყოფილ მეპატრონეებთან. განხილულ იქნა ახალ მაღაროების მოწყობის, ნახშირის ამოღების შემცირების და მაღაროების გადაკეთების საკითხები.

ბრატანოვსკი აცხადებს, რომ 1925 წლის ბოლოში ერთ-ერთ კრებაზე მოსკოვის ცენტრის წარმომადგენლებმა, სკორუტომ თუ იმენიტოვმა, გააკეთა მოხსენება, რომ სამხრეთ რუსეთის სამთამადნო მრეწველთა საზოგადოება პარიზში გაერთიანდა ყოფილ რუსეთის სახელმწიფოს კრედიტორთა საზოგადოებასთან. გაერთიანება მიზნად ისახავს არა მარტო ეკონომიურ, არამედ პოლიტიკური ხასიათის მიზნებსაც—ე. ი. თავისი წარმოებების უკან მიღება შესაძლებლად მიაჩნდათ მხოლოდ საბჭოთა წყობილების დამხობის შემდეგ.

გამოძიებიდან გამოირკვა, რომ ორგანიზაციის და მისი ხელმძღვანელი ჯგუფის შექმნამდე ორგანიზაციის წევრები გასამრჯელოს ღებულობდნენ რუსეთის ყოფილ მრეწველებისაგან უშუალოთ იმ პირთა საშუალებით, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ იყვენ დაკავშირებული პოლონეთის ოფიციალურ ორგანოებთან.

ხელმძღვანელ ჯგუფის დაარსების მომენტიდან, ფული უშუალოდ მოდის საზღვარგარეთიდან ამ ორგანოების საშუალებით.

ორგანიზაციას სუბსიდიას აძლევდა სამხრეთ რუსეთის ქვანახშირის მაღაროების ყოფილ პატრონთა პარიზის გაერთიანება, რუსეთის წარმოებების ყოფილ ფრანგ მეპატრონეთა გაერთიანება, რუსეთის წარმოებების ყოფილი პოლონელი მფლობელების გაერთიანება, აგრეთვე გერმანიის ფირმები, რომლებსაც უკვეთავდნენ საიმპორტო მოწყობილობას, და, ბოლოს, ორგანიზაციას უშუალოდ ეხმარებოდენ ფულით კაპიტალისტური სახელმწიფოების ორგანოები. ბრალდებულ ბრატანოვსკის ჩვენებით, ფულის გადმოგზავნა სწარმოებდა მოსკოვში არსებული საფრანგეთის და პოლონეთის ლეგალური დაწესებულებების საშუალებით, ფული მოსჭონდათ აგრეთვე ცალკე პირებს და „დონუგოლის" ორგანიზაციას უშუალოდ აძლევდნენ, ან კიდევ მოსკოვის ცენტრის საშუალებით გზავნიდენ. ორგანიზაციას ფულს აძლევდნენ აგრეთვე გერმანიის ფირმები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ მიეღოთ შეკვეთა დონბასის მაღაროების მოწყობილობაზე, გარდა ამისა ფულს აძლევდნენ პროცენტების სახით ისინიც, ვისაც სურდათ თავის გავლენისათვის დაექვემდებარებია ეს მაღაროები; დაკვეთა სწარმოებდა ფირმების წარმომადგენელთა საშუალებით, რომლებიც საბჭოთა კავშირში მოდიოდნენ ამ ფირმების საქმეების გამო, ხოლო დანაკვეთი იგზავნებოდა რუსი ინჟენერების შემწეობით, რომლებიც მივლინების შემდეგ გერმანიიდან ბრუნდებოდნენ. ფულს ჩვეულებრივ ანაწილებდნენ მატოვი ან ბოიარშინოვი, ხოლო როცა ისინი სხვაგან იყვნენ—ბახტიაროვი ან ბრატანოვსკი. პირადათ ბრატანოვსკიმ გაანაწილა ერთხელ 8.000 მანეთი და ერთხელაც 6.500 მანეთი. ფულს ინაწილებდნენ მთავარი ხელმძღვანელები, დირექტორები და განყოფ. გამგეები, ორგანიზაციის იმ წევრთა რიცხვის მიხედვით, რომელნიც ექვემდებარებოდნენ სათანადო დირექტორს, ან გამგეს, აგრეთვე დაწესებულ კოეფიციენტების მიხედვით. იმ პირთა სია, რომლებსაც ფულს აძლევდნენ, შეესაბამება ორგანიზაციის იმ წევრთა სიას, რომლებიც მუშაობდნენ „დონუგოლის" ცენტრალურ აპარატში.

პოლონური გაერთიანებისაგან ფულის მიღების შესახებ, ბრატანოვსკი ამბობს:

„1925 წლის დამლევს ერთ-ერთ კრებაზე მოსკოვის ცენტრის წარმომადგენელმა სკორუტომ დამსწრეებს გააცნო პოლონური გაერთიანების წინადადება ამ გაერთიანებასთან კავშირის გაბმის შესახებ, საინფორმაციო ცნობების მიღებისა და ზოგიერთი ეკონომიური ხასიათის დირექტივების შესრულების მიზნით, პოლიტიკური ხასიათის დირექტივებად იგულისხმებოდა დირექტივები იმ შემთხვევისათვის, თუ ომი მოხდებოდა, იგულისხმებოდა აგრეთვე ეკონომიური ხასიათის ცნობების მიწოდება მშვიდობიანობის დროს. სკორუტო ამბობდა, რომ ფულს მოგვცემენო. თათბირმა წინადადება მიიღო. „დონუგოლის" თანამშრომლებმა პოლონელებისაგან ერთ წელიწადში მიიღეს 40—50 ათასი მანეთი".

„1925 წლის მეორე ნახევარსა თუ 1926 წლის პირველ ნახევარში, ამბობს მატოვი,—ინჟენერმა შადლუნმა მითხრა, რომ მან წერილი მიიღო რუსეთის წარმოებების ერთ-ერთ ყოფილი ფრანგი მფლობელისაგან, მგონია რემოსაგან, რომელიც ეკითხება: შეიძლება თუ არა საფრანგეთის ოფიციალური ორგანოებისათვის საინტერესო ცნობების მიღება დონბასის მაღაროების მდგომარეობის შესახებ. ჩვენი ორგანიზაციის ცენტრალური ჯგუფის სხდომამ გადასწყვიტა: მიეწოდებია ფრანგებისათვის ისეთივე, ცნობები, როგორსაც უკვე აწვდიდნენ პოლონეთის დაწესებულებებს, ხოლო შადლუნს დაევალა, რომ საამისოდ კავშირი გააბას ვისთანაც საჭირო იყო. შემდგომ უახლოეს სხდომაზე შადლუნმა განაცხადა, რომ მან კავშირი გააბა სათანადო პირებთან საფრანგეთის ოფიციალური ორგანოებისათვის საინტერესო ცნობების მიწოდების შესახებ, რომ ჩვენ მიერ მიწოდებული ცნობები მათ აკმაყოფილებთ და რომ ის მოურიგდა მათ გასამრჯელოს შესახებ, იმავე სხდომაზე საფრანგეთის ორგანიზაციებთან კავშირის დაჭერა დაევალა შადლუნს, რომელიც ორგანიზაციის წევრებისაგან საჭირო ცნობებს ღებულობდა, ამზადებდა მათ მოსკოვში გასაგზავნად, გზავნიდა და იღებდა იქიდან ფულს. რამდენსამე შემთხვევაში ფულის მიღება ხდებოდა მატოვის საშუალებით. მიღებული ფულის რაოდენობა ყოველთვის უდრიდა 20—30 ათას მანეთს. ფული მივიღეთ 6-8 ჯერ".

შემდეგ მატოვი აჩვენებს:

„მალე, ჩემი რუსეთში დაბრუნების შემდეგ, მგონი 1927 წ. იანვარს თუ თებერვალში, ვიყავი მოსკოვში ბახტიაროვთან. ჩვენ გადავწყვიტეთ შევევლო.. ამის შემდეგ საუბარი შეწყდა და ჩვენ გადავედით ფულის საკითხზე.

(გაგრძელება იხ. მეორე გვერდზე)

---

*) იხ. „კომუნისტი" № 105.

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ამიერ-კავკასიის წყალის მეურნეობის მუშაკთა პასუხისგებაში მიცემა

მოსკოვი 11 მაისი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ მოისმინა ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენება იმ უმომჭირნეობისა და უთავდარიგობის შესახებ, რომელიც აღმოაჩინა ამიერ-კავკასიის წყლის მეურნეობაში სპეციალურ ჩატარებულ კვლევა-ძიებამ.

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მოხსენების თანახმად, იმისათვის, რომ გაჯანსაღებულ იქნას მელიორაციის საქმე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში, საჭიროა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდეს ტექნიკურ პერსონალის შემადგენლობაში, რომელიც დღემდე ხელმძღვანელობდა ამიერ-კავკასიის წყლის მეურნეობის საქმეს.

ამასთან ერთად პასუხი უნდა აგონ იმ პირებმა, რომელთა დაუდევრობისა და უთავდარიგო მუშაობის გამო აღნიშნული შეფერხება განიცადა ამიერ-კავკასიის მელიორაციის საქმემ.

შრომისა და თავდაცვის საბჭომ გაიზიარა ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის დასკვნები და დაამტკიცა მისი წინადადებები.

გადაწყვეტილია პასუხისგებაში იქნან მიცემული ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ზოგიერთი ადმინისტრატორები და პასუხისმგებელი მუშაკნი.

ამასთან ერთად საჭიროდ იქნა ცნობილი, რათა ჯერ-ჯერობით შემცირებულ იქნას მუშაობა ამიერ-კავკასიის ირიგაციის საქმეზე, რადგან ამ სამუშაოების შესახებ არსებული გეგმები არ არის სათანადოთ შემოწმებული, არაა გამოკვლეული მათი რენტაბელობა. გარდა ამისა ეს გეგმები არ არის დამტკიცებული სათანადო ინსტანციებში.

700.000 მანეთი ამიერ-კავკასიის შინამრეწველობისათვის

მოსკოვი, 11 მაისი, შრომისა და თავდაცვის საბჭომ გადასდგა მთელი რიგი ნაბიჯები საბჭოთა კავშირის შინამრეწველობის გაძლიერებისათვის. ამ საერთო ღონისძიებებში გათვალისწინებულია ამიერ-კავკასიის შინამრეწველობის მოთხოვნილებანიც.

შრომისა და თავდაცვის საბჭოს ღონისძიებანი მიზნად ისახავენ შინამრეწველობის საექსპორტო პროდუქციის გაძლიერებას. კერძოთ დიდი ყურადღება ექცევა ნოხებისა და ხალიჩების დამზადების საქმეს. განზრახულია ნოხ-ხალიჩების წარმოება კულტურულ წესიდანულ ლიჩების წარმოება კუსტარულ წესიდან გადაყვანილ იქნას ფაბრიკულ სისტემაზე.

შრომისა და თავდაცვის საბჭომ კერძოთ ამიერ-კავკასიის შინამრეწველობისათვის გადასდო 700.000 მანეთი.

135.000 მანეთი ამიერ-კავკასიის ინვალიდებს

მოსკოვი, 11 მაისი. საკავშირო სახალხო კომისართა საბჭომ იმ მიზნით, რათა გაუმჯობესებულ იქნას ომის ინვალიდთა მდგომარეობა ამიერ-კავკასიაში, დაადგინა, მისცეს ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს 135 ათასი მანეთი.

ეს თანხა გადადებული იქნება ომის ინვალიდების უზრუნველყოფის საერთო ფონდიდან.

ამხ. ჯავახიძის სიტყვა ა. ლ. კ. კ. საკავშირო ყრილობაზე

მოსკოვი, 11 მაისი. კომკავშირის საკავშირო ყრილობაზე ცეკას მოხსენების გარშემო გამართულ კამათში ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომკავშირის ცეკას მდივანი ამხ. ჯავახიძე.

ორატორი, სხვათა შორის ვრცლად შეჩერდა თავის სიტყვაში საქართველოში არსებულ მდგომარეობის შესახებ, რომელშიაც უხდება მუშაობა საქართველოს კომკავშირს.

ჯერ-ჯერობით, განაცხადა ორატორმა, პროლეტარიატის კლასიური მოწინააღმდეგენი ნაციონალურ რესპუბლიკებში შედარებით უფრო ორგანიზაციულად მოქმედებენ. აქა-იქ კიდევ სწარმოებს არალეგალური მუშაობა. კონტრ-რევოლიუციონური პარტიები ამიერ-კავკასიაში და საქართველოში საბოლოოდ არ გამოთხოვებიან აზრს ახალგაზრდობის თავის მხარეზე გადაბირების შესახებ. ბრძოლა ახალგაზრდობაზე გავლენისათვის ნაციონალურ რესპუბლიკებში და კერძოთ საქართველოში უაღრესად აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ კომკავშირს მუშაობაში სათანადოთ ხელს ვერ უწყობს ნაციონალურ რესპუბლიკათა სახალხო კომისარიატები. საჭიროა პირველყოვლისა ვიზრუნოთ განათლების სახალხო კომისარიატის აპარატის გადასახალისებლათ ისე, რომ ამ აპარატისა და კომკავშირის მუშაობა უფრო შეთანხმებულად და ნაყოფიერად მიმდინარეობდეს.

დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს აგრეთვე საქართველოს კომკავშირის მუშაობაში კავშირის სისუსტე ცენტრთან. ამ მხრივ უნდა გადაიდგას ენერგიული ნაბიჯები. საჭიროა მეტი მჭიდრო კავშირი ცენტრსა და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის.

გამოძიება ისლამოვის ქალის საქმეზე დასრულდა

მოსკოვი, 11 მაისი. დასრულდა გამოძიება კომკავშირელ სტუდენტ ქალის ისლამოვის თვითმკვლელობის საქმეზე. წინასწარი ცნობების მიხედვით ისლამოვის ქალის თვითმკვლელობა გამოიწვია იმ ძალადობამ, რომელიც მასზე იხმარა მწერალთა კავშირის ფედერაციის მდივანმა მწერალ ალტშულერმა და პოეტებ ანოხინმა და ავრუშენკომ. აღნიშნულ პირებმა თავის მიზანს მიაღწიეს და ამგვარი მხეცობის ჩადენით სიცოცხლეს გამოასალმეს ენერგიით აღსავსე, ახალგაზრდა ისლამოვის ქალი.

ამ საქმის გამო, როგორც თავის დროზე გატყობინებდით, დანიშნულ იქნა სასწრაფო გამოძიება. საგამომძიებლო ორგანოებმა დაჰკითხა მრავალ პირთ, სტუდენტებს ლიტერატურის უმაღლეს კურსებისა, სადაც სწავლობდა ისლამოვის ქალი და ბრალდებულ პირებთან დაახლოვებულ ლიტერატურულ მუშაკებს.

კვლევა-ძიებამ სავსებით დაადასტურა წინასწარ წაყენებული ბრალდებანი ალტშულერის, ანოხინის და ავრუშენკოს მიმართ. საქმე სასამართლოს გადაეცა. უახლოეს ხანში მოხდება დამნაშავეთა საჯარო გასამართლება.

ა.-კ. პროფკავშირთა მე-4 ყრილობა

მეორე სხდომა

ყრილობის მეორე სხდომას თავმჯდომარეობდა ამხ. გ. ყურულიშვილი. სხდომაზე სამანდატო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. ხვედელიძე.

სამანდატო კომისიის მოხსენება

ამხ. ხვედელიძე აღნიშნავს, რომ ყრილობაზე 437,000 პროფკავშირის წევრებისაგან წარმოდგენილია სულ 308 დელეგატი, აზერბაიჯანიდან, 270.000 ამომრჩეველისაგან ყრილობაზე მონაწილეობას ღებულობს 145 დელეგატი, საქართველოდან—176.000 პროფკავშირის წევრიდან გამოგზავნილია 126 დელეგატი და სომხეთიდან 56.000 ამომრჩეველისაგან წარმოდგენილია — 37 დელეგატი. 1.500 პროფკავშირების წევრი, ხირჩევდა ერთ დელეგატს, მაგრამ ისეთ მსხვილ წარმოებებში, სადაც პროფკავშირთა რიცხვი არ აღწევდა 1,500-ს, მაგრამ აღემატებოდა ათასს, ირჩევდენ მაინც თითო დელეგატს.

ყრილობაზე მონაწილეთა შორის მუშები შეადგენენ 73,4 პროცენტს და მოსამსახურეები—26.6 პროცენტს, ეროვნული დანაწილების მხრივ სომხები არიან—20,7 პროცენტი, ქართველები—30,1 პროც., თურქები—20,5 და რუსები—19,3 პროც; ყრილობის დელეგატებს შორის 68,2 პროც. კომუნისტია 3,2 კომკავშირელი და დანარჩენი უპარტიოები.

შემდეგ ამხ. ხვედელიძე ახასიათებს ყრილობის შემადგენლობას სხვადასხვა პროფესიების მხრივ და მოყავს ცნობები თუ რამდენი მუშა, რამდენი ქალი და რამდენი მოზარდი ღებულობს მონაწილეობას ყრილობაზე.

სამანდატო კომისიის მოხსენების დამტკიცების შემდეგ ყრილობაზე გამოცხადდა ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიის დელეგაცია, რომლის სახელითაც მისასალმებელ სიტყვას ამბობს ამხ. ოპარინი.

დასასრულ, ყრილობას მიესალმა ამხ. შ. ელიავა.

ამხ. შალვა ელიავას სიტყვა

ექვსი თვის წინად—იწყებს ამხ. ელიავა,—ჩვენ ვარჩევდით საკითხს იმის შესახებ, თუ რა პრინციპზე უნდა აგებულიყო ამიერ-კავკასიის ხუთწლიანი სამეურნეო გეგმა, მაგრამ მხოლოდ ეხლა, მე-15 ყრილობის შემდეგ გამოვნახეთ ის საფუძვლები, რომლებზედაც შეიძლება ცოტად—თუ ბევრად სწორი პერსპექტიული გეგმის აგება.

ჩვენი პარტიის ძირითადი მიზანი, რომელიც განსაზღვრავს ეკონომიურ პოლიტიკას უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში არის ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. ამ მიზნის მიღწევა შეძლებელია ყველა ცალკე სამეურნეო რაიონების საქმიანობის გაძლიერებითა და მათ შორის შრომის განაწილებით.

ამიერ-კავკასიის ობიექტიური პირობები ისეთია, რომ მრეწველობა და სასოფლო მეურნეობა უნდა ვითარდებოდენ ერთნაირი ტემპით.

ჩვენი ქვეყანა არ წარმოადგენს პურეულ მცენარეთა რაიონს, ჩვენში მოხული პური შინაური მოხმარებისათვისაც არაა საკმარისი, ამიტომ მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს ტეხნიკურ კულტურათა გავრცელებას და ეს კულტურები უნდა გადაიქცენ ჩვენი სასოფლო მეურნეობის მამოძრავებელ დარგებათ.

5 წლის განმავლობაში სასოფლო მეურნეობაზე სულ უნდა დაიხარჯოს 247 მილიონი მანეთი. ამ თანხიდან 49 მილ. ფარავს თვით მოსახლეობა, 13 მილ. მანეთს—უკვე არსებული წარმოებები, კრედიტის სახით—იფარება 70 მილ. მან. დანარჩენი 115 მილ. მანეთი კი უნდა გაღებულ იქნას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

აღნიშნული ციფრები საორიენტაციოა და შეიძლება მათში მოხდეს რაიმე ცვლილება. მაგრამ ეს კი უნდა ვიცოდეთ, რომ ამ თანხის შემცირება არავითარ შემთხვევაში არაა მოსალოდნელი.

მრეწველობის დარგში ჩვენი პერსპექტივები ასეთია; ა.-კავკასიის მრეწველობა უნდა განვითარდეს სამი ძირითადი მიმართულებით—მიწის წიაღთა დამუშავება, ადგილობრივ ნედლეულზე მომუშავე წარმოებათა შექმნა, ნედლი მასალიდან ფაბრიკატების დამზადება.

ა.-კავკასიის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის აუცილებელია 2 ძირითადი სამეურნეო პრობლემის გადაჭრა. ეს პრობლემებია: სატრანსპორტო მშენებლობა და ენერგეტიული ბაზისის შექმნა.

რკინის გზების მშენებლობაში ჩვენ გვაქვს ორი დიდი ვარიანტი, ერთი მათგანი 5 წლის განმავლობაში დაჯდება 86 მილ. მანეთი, მეორე—113 მილ. მანეთი. ერთ-ერთი ამ ვარიანტიდან აუცილებლად იქნება განხორციელებული.

ელექტროფიკაციის დარგში იქნება 3 ძირითადი სადგური, ორი მათგანი რიონჰესი და ძორაჰესი უკვე შენდება, მესამისა—აზჰიდრო ცენტრალის პროექტი ჯერ-ჯერობით დამუშავების პროცესშია.

მთელი მუშაობა ელექტროფიკაციის დარგში მინიმალური ვარიანტით ღირება 86 მილ. მანეთი, მაქსიმალურით—112 მილიონი.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ერთ-ერთი პირობაა სავაჭრო ბრუნვის სწორი ორგანიზაცია. ბაზრის წონასწორობა აუცილებელია ჩვენი საექსპორტო და საიმპორტო გეგმის შესასრულებლად.

ჩვენ საბედნიეროთ დაზღვეული ვართ ისეთი მოვლენებიდან, როგორსაც ადგილი ჰქონდა შახტის რაიონში. ამის მიზეზია ის, რომ ა-კ ნავთის მრეწველობის გარდა, წინად არ იყო რაიმე მსხვილი წარმოება და არც დაგვრჩენია ძველ სპეციალისტთა მნიშვნელოვანი კადრი. მაგრამ სამაგიეროდ ჩვენ გვიხდება, როგორც მრეწველობის ახალი ხელმძღვანელების აღზრდა, ისე კვალიფიციური მუშაკთა კადრების შექმნა და მომზადება.

ყველა ჩამოთვლილი ამოცანების შესასრულებლად საჭიროა ფართო მასების ჩაბმა ამ მუშაობაში. მასების მონაწილეობა სამეურნეო გეგმების შედგენაში საუკეთესო პირობაა მისი განხორციელებისათვის.

პროფკავშირები მჭიდროდ უნდა დაუახლოვდენ სამეურნეო პრობლემას და გახადონ იგი თავისი მიმდინარე მუშაობის საგნათ. განსაკუთრებით საჭიროა პროფმასის მონაწილეობა კვალიფიციურ მუშა ძალის შექმნისა და შრომის პროცესთა რაციონალიზაციის საქმეში.

ამავე დროს, პროფორგანიზაციებმა ცხადია ფართოდ უნდა გაშალონ აღმზრდელობითი მუშაობა, მათ უნდა შეაგნებინონ მუშებს, რომ ინდუსტრიისა და მთელი სახელმწიფოს ბატონ-პატრონია მუშათა კლასი და, რომ მუშების ცალკე ჯგუფის ინტერესები ყოველთვის უნდა ეწირებოდეს საერთო კლასიურ ინტერესებს.

ასე ამგვარად, მშრომელთა ფართო მასების და მთელი კავშირის ძლევამოსილი პროლეტარიატის დახმარებით ჩვენ შევძლებთ ა.-კავკასიის, ამ ჩამორჩენილი გლეხური ქვეყნის გადაქცევას აყვავებული სასოფლო სამეურნეო კულტურისა და ინდუსტრიის ქვეყნად.

არჩევნები

რეზოლიუციების მიღების და ამხ. შალვა ელიავას მისალმების შემდეგ ყრილობა შეუდგა არჩევნებს. ა.-კ. პროფსაბჭოს პლენუმის შემადგენლობაში ყრილობამ აირჩია 45 წევრი და 19 კანდიდატი. წევრებად არჩეულ იქნენ: იაკუბ აბდინოვი, ანტროპოვი, ნ. ათოევი, სადიხ ბადიროვი, ა. ბანოვიჩი, ა. ბუკრეევი, გოსტუნი, გოდლევსკი, გრიგორიანი, ვაგინაკი, ტაკუი გრიგორიანი, გუტიონი, დუკჩინი, ეგოროვი, ზეინალოვი, ისმაით ტაგი-კიზი, იტკინი, კასიმოვი, კუზნეცოვი, კულიევი, გ. ყურულიშვილი, კუნჟულია, მამედოვი, მაჩაიძე, ოდილავაძე, რაგიმოვი, რუზლევი, რიბაკინი, საბაშვილი, საფაროვი, სულავა, სუკიასიანი, ფედოროვი, ხარაბაძე, ხაჩიკოგლიანი, ხვედელიძე, ხოჯამირიანი, ჩერიტკინი, ჩიხლაძე, ჩხეიძე, შავერდოვისა, შეფტელი, იაკუბოვი, იაროშინი და იაშვილი.

კანდიდატებათ გავიდენ: გრიგორიანი, შორალი, ანთიძე, ტანინი, სუდიკი, ფირალოვი, პოგოსიანი, ქაიუროვი, ჩალხაძე, შენტაკოვი, შახბაზოვი, სიხარულიძე, კენინსბერგი, ორჯონიკიძე, პაიჯ-ალი, ალლაძე, სიდოროვი, რადჟაბ-მეჯიდ-ოღლი და კარამიანი.

სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნა 7 წევრი და სამი კანდიდატი. წევრებად გავიდენ: ვ. ანდღულაძე, ს. ასტვაცატურიანი, ბაბაევი, გრიგორიანი, კ. მაკარუკ, თავვერიძე და ნ. უხტიაშვილი. კანდიდატებად—გულამ მამედოვი, შ. სალდაძე და ვ. მანასიანი.

ყრილობის დახურვა

არჩევნების დასრულების შემდეგ ყრილობის თავმჯდომარემ ამხ. გ. ყურულიშვილმა წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა მიმდინარე ყრილობის მუშაობის საქმიანი ხასიათი, რაც ამიერ-კავკასიაში პროფესიონალური მოძრაობის განმტკიცების საუკეთესო გარანტიაა.

— ის ერთსულოვნება,—ასრულებს სიტყვას ამხ. ყურულიშვილი,—რომელიც გამომჟღავნებული იყო ყველა რესპუბლიკანური პროფესიონალური კავშირების წარმომადგენელთა შორის მიმდინარე ყრილობაზე, ერთხელ კიდევ ადასტურებს ამიერ-კავკასიის ერების ძმური კავშირის სიმტკიცეს და მთლიანობას. გაუმარჯოს ა.-კავკასიის პროფესიონალურ მოძრაობას.

ა.-კ. პროფსაბჭოს პირველი პლენუმი

ა.-კ. პროფესიონალურ კავშირთა მეოთხე ყრილობის დახურვის შემდეგ მუშათა სასახლეში შესდგა ახლად ამორჩეული ა.-კ. პროფსაბჭოს შემადგენლობის პირველი პლენუმი, რომელზედაც ა.-კ. პროფსაბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. იაკუბოვი. ა.-კ. პროფსაბჭოს მდივნად ამხ. შეფტელი. სატარიფო ეკონომიურ განყოფილების გამგეთ ამხ. ოდილავაძე, საორგანიზაციო განყ.—ამხ. ხარაბაძე და კულტგანყოფილების—ამხ. ხოჯამირიანი.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმში გავიდენ: ამხ. იაკუბოვი, შეფტელი, ოდილავაძე, ხარაბაძე, ხოჯამირიანი, იაშვილი, საბაშვილი, ყურულიშვილი, კუზნეცოვი და რაგიმოვი. პრეზიდიუმის წევრთა კანდიდატებათ არჩეულ იქნენ: ამხ. ეგოროვი, მაჩაიძე, თედორიძე, გოსტუნი, ჩიხლაძე, შავერდოვისა და ბანოვიჩი.

ა.-კ. შრომის სახალხო კომისრად წამოყენებულ იქნა ამხ. იაშვილი, ხოლო ამიერ-კავკასიის სოციალურ დაზღვევის მთავარ სამმართველოს უფროსად ამხ. ბანოვიჩი. ა.-კ. პროფსაბჭოს ხაზინადრათ პლენუმმა აირჩია ამხ. ხარაბაძე.

ფული, რომელიც ჩვენ უნდა მიგვეღო, როგორც ჩვენ ეს ჯერ კიდევ პარიზში გამოვარკვიეთ, 60.000 მან. შეადგენდა".

მოსკოვის ცენტრის შექმნის შემდეგ ფულს საორგანიზაციო მუშაობისათვის ვღებულობდით მოსკოვიდან.

უცხოეთთან უშუალო კავშირის შესახებ მატოვი ამბობს:

„მას შემდეგ, როცა კავშირი გაბა საფრანგეთის დაწესებულებასთან მოსკოვში, 1926 წ. დასაწყისში ორგანიზაციის ერთ-ერთ სხდომაზე გადაწყდა დაგვევალებია იუსევიჩისათვის, რომელიც ამ დროს პარიზში იმყოფებოდა, მოლაპარაკებოდა სათანადო სამინისტროს უცხოეთთან უშუალო კავშირის გასაბმელად. სხდომაზე გადაწყდა, რომ იუსევიჩს უნდა შეევლო საფრანგეთის მრეწველობის სამინისტროში და აგრეთვე სამხედრო სამინისტროში, რათა გამოერკვია, თუ ვისთან დაეჭირა კავშირი ორგანიზაციის წარმომადგენლებს პარიზში ჩასვლის დროს".

საფრანგეთის წრეებთან კავშირი ჰქონდათ იუსევიჩს და მატოვს, როცა უკანასკნელი 1926 წ. შემოდგომაზე ჩავიდა პარიზში. მატოვის ჩვენებით, გადაწყდა, რომ ის გაემგზავრებოდა მოსკოვში და ორგანიზაციის ცენტრალურ ბიუროდან მიიღებდა დავალებებს უცხოეთისათვის. ბერლინში რუბანოვიჩთან ერთად მას უნდა დაეთვალიერებია მნიშვნელოვანი წარმოებები, რომლებთანაც კავშირი ჰქონდა ორგანიზაციას. პარიზში იუსევიჩთან ერთად მატოვი უნდა დასწრებოდა სამხრეთ-რუსეთის ყოფილ სამთომრეწველთა ყრილობას და შემდეგ უნდა შეევლო სამხედრო სამინისტროში. ამასთანავე ერთად გადაწყდა, რომ მატოვი მიაწოდებდა ინფორმაციას ადგილობრივ წარმოებულ მუშაობასა, მდგომარეობისა და იმ ზომების შესახებ, რომლებიც მიღებულ უნდა იქნენ ომის გამოცხადების შემთხვევაში.

მატოვისა და იუსევიჩის უცხოეთიდან დაბრუნებამდე ხარკოვის ორგანიზაციაში გაკეთებულ იქნა მოხსენება: შემდეგ როცა მატოვი და იუსევიჩი ჩამოვიდენ მოსკოვში, ისინი ბახტიაროვთან ერთად წავიდენ მოსკოვის ცენტრალურ ორგანიზაციაში, სადაც მოეწყო ხელმძღვანელთა კრება, რომელსაც მატოვმა გააცნო პარიზში გამართული მოლაპარაკება.

იმ დროს, როცა საფრანგეთთან დამოკიდებულებამ ასეთი ხასიათი მიიღო 1927 წ.,—ორგანიზაციის ოფიციალური კავშირი პოლონეთის ორგანოებთან გაცილებით უფრო ადრე და უფრო მჭიდროდ გაბა. ორგანიზაციას პოლონეთთან კავშირი ჰქონდა გაბმული უკვე მოხსენებულ დვორჟანჩიკის საშუალებით. დვორჟანჩიკის უშუალო თანაშემწედ მავნებელ ორგანიზაციებთან კავშირის გასაბმელად საბჭოთა კავშირში იყო ბუდნი. პოლონეთთან კავშირი ჰქონდა... ამ პირმა, რომელიც თავის თავს „კაზიმირს" უწოდებდა, ბოიარინოვს აცნობა, რომ ის აგროვებს ცნობებს... ბოიარინოვის ჩვენებით „კაზიმირი" მოგზაურობდა დონბასის მაღაროებში და აგროვებდა ცნობებს. 1923 წლიდან დაწყებული 1926 წლამდე ორგანიზაციის კავშირმა... სავსებით ორგანიზაციულ და ჩამოყალიბებული ხასიათი მიიღო.

ვინ არის პასუხისგებაში

საბრალმდებლო აქტის დასკვნითი ნაწილში ნათქვამია:

„საგამომძიებლო ორგანოებმა პასუხისგებაში მისცენ მხოლოდ ყველაზე უფრო დიდი დამნაშავენი, ხოლო იმ პირთა საქმე, რომლებიც ხელმძღვანელ როლს არ თამაშობდენ ამ კონტრ-რევოლიუციონურ საქმეში—პერიფერიებში, ან და ხელმძღვანელ როლს თამაშობდენ მოსკოვში, მაგრამ არა ქვა-ნახშირის მრეწველობის საზიანოდ, გამოყო ცალკე დამატებით გამოსაძიებლად.

როგორც ბრალდებულნი პასუხისგებაში არიან მიცემულნი: ბერეზოვსკი—სამთო ინჟინერი, კალგანოვი—სამთო ტეხნიკოსი, სამოილოვი—მაღაროების ყოფილი მეპატრონე და სამთო ტეხნიკოსი. ბაშენკო—სამთო ტეხნიკოსი, ჩერნოკნიჟნიკოვი—ინჟინერი, ბაშკინი—ინჟინერი. ნიკიშინი—ელექტროტეხნიკოსი, პეტროვი—სამთო ინჟინერი, პოტიომკინი — ინჟინერი, მატოვი — ინჟინერი, ბრატანოვსკი — ინჟინერი, სოკოლოვი — ინჟინერი, კაზარინოვი — ინჟინერი, შადლუნი — ინჟინერი ბოიარინოვი—ინჟინერი, დეტერი—ინჟინერი, კრჟიჟანოვსკი—ინჟინერი, ფაიერმანი—სამთო ტეხნიკოსი, ოდროვი—ინჟინერი, სუშჩევსკი—ინჟინერი.

ყველა ხსენებულმა ბრალდებულებმა თავი სცნეს დამნაშავედ: ბუდნი—მოსამსახურე, რჟეპეცკი—ინჟინერი, გეშკოვი—ინჟინერი, ბოიარინოვი—ინჟინერი, კამინინი—ინჟენერი, გორლოვი—სამთო ტეხნიკოსი. მათ თავი სცნეს დამნაშავედ ნაწილობრივ; ელიაძე—ინჟენერი— თავი არ სცნო დამნაშავედ ნაწილობრივ. სტიანოვსკი—ინჟენერი და მაღაროების ყოფილი მეპატრონე და ნეკრასოვი—ინჟენერი თავს სცნობენ დამნაშავედ ნაწილობრივ. სტოიანოვსკი—ინჟენერი, სემეჩენკო—მოსამსახურე, ვლადიმირსკი—ინჟენერი, ოზჩარეკი—ინჟენერი—კუვალდინი—მექანიკოსი, ნეკრასოვი—სამთო ინჟენერი, ნაშივოჩნიკოვი—ინჟენერი, ვასილიევი—სამთო ტეხნიკოსი, ბელენკო—ტეხნიკოსი, ანდრია კოლოდუბი—ტეხნიკოსი, ანტონოვი—ინჟენერი, კუზმა—ინჟენერი, გორლეცკი—ინჟენერი, ჩინოკალი—ინჟენერი, გოლიკოვიჩი—ინჟენერი და ყოფილი ქვანახშირის მრეწველი, იმენიტოვი—ინჟენერი, მეიერი—მუშა, გერმანიის ქვეშევრდომი,—ესენი თავს არ სცნობენ დამნაშავედ. ბადშტიბერი—მუშა, გერმანიის ქვეშევრდომი თავს სცნობს დამნაშავედ ნაწილობრივ, შტელბრინგი—ინჟენერი, იუსევიჩი—ინჟენერი თავს არ სცნობენ დამნაშავედ.

დასახელებულ პირებს ბრალდება, რომ ისინი იყვნენ იმ საზიანო კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციის წევრები, რომელიც მოქმედობდა 1920 წლიდან 1928 წლამდე და რომ ისინი ამ ორგანიზაციაში შევიდენ კონტრ-რევოლიუციონური მიზნით—დაენგრიათ საბჭოთა ქვანახშირის მრეწველობა. (ადს).

ხანძრის ლიკვიდაცია ქუთაისში

მთავრობის მოწოდება

ზარალის დაახლოებით გამორკვევა.-საუბარი ამხ. ჯულელთან.-ქალაქი თანდათან იწყებს შედარებით ნორმალურ ცხოვრებას.-დახმარება თბილისიდან: გაიგზავნა 5 ვაგონი ფქვილი და 10.000 მან.-სახალხო კომისარიატების გამოხმაურება

მთავრობის კომისია ამხ. ლ. ქართველიშვილის თავმჯდომარეობით

„კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა (რუსთაველის პროსპ. № 34) იღებს შემოწირულებებს

პირდაპირი მავთულით ქუთაისიდან

ლაპარაკობენ: ქუთაისიდან ამხ. ჯულელი და ლვამიჩავა—თბილისში ამხ. ქართველიშვილი

11 მაისი, დღის 11 ნახ. საათი

ხანძარი სრულიად ჩააქრეს. ხანძრის ლიკვიდაცია გაგრძელდა დილის 6 საათამდე. ცეცხლის ჩაქრობაში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ცეცხლის მქრობელმა რაზმებმა: ადგილობრივმა, სამტრედიის, ჭიათურის, ბათომის; ხაშურის, თბილისის და შორაპნის რაზმებმა. ყველაზე უფრო გვიან მოვიდა თბილისის რაზმი, გზაში დაგვიანების გამო.

თავისი სიყოჩაღით ირჩეოდა ბათომის რაზმი, რომელიც უმთავრესად მოხალისეთაგან შესდგება. დამწვარ სახლების რაოდენობას ირკვევს საგანგებო კომისია. ჯერჯერობით გამორკვეულია, რომ 200 სახლზე მეტია დამწვარი. დაზარალებულია 5.000 კაცამდე, სულიერი განწყობილება ხალხისა მძიმეა. ქალაქში სრული წესრიგი დამყარდა. ადგილობრივ ხელისუფლების მიერ ყოველგვარი ზომები იქნა თავის დროზე მიღებული. საჭიროა აღინიშნოს გარნიზონის თავგანწირულება, რომლის მეოხებითაც შესაძლებელი შეიქნა ცეცხლის საფრთხის აშორება ქალაქის სხვა ნაწილებში. ამ წუთში ყველა ზომებს ხმარობენ იმისთვის, რომ ყოველმხრივ უზრუნველყოფილი იქნენ დაზარალებულნი. რისთვისაც გამოყოფილია სპეციალური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს გამოარკვიოს დაზარალებულთა რიცხვი და მათი სოციალური მდგომარეობა; გამოყოფილი არის აგრეთვე კომისიები დაზარალებულთათვის საზრდოს მოსაწოდებლად და სადგომების მისაჩენად. განზრახულია მათი მოთავსება დარაბებში. წითელი ჯვარი უმთავრესად ბავშებს აძლევს ცხელ საჭმელს. აღმასკომი ყველა დაზარალებულს აძლევს პურს. ფქვილის მარაგი ქალაქში თავდება.

დაზარალებულთა დასახმარებლად საჭიროა სასწრაფოდ გადმოგზავნილ იქნეს 5 ვაგონი ფქვილი სამგზავრო მატარებლით აღმასკომის სახელზე, რადგან აღმასკომმა დახარჯა მთელი სურსათი. საჭიროა საჩქაროდ ფულით დახმარებაც. საჩქაროდ მიეცით განკარგულება წითელი ჯვრის ცენტრ. კომიტეტს, რათა სურსათით დახმარება აღმოუჩინოს დაზარალებულთ თავის ადგილობრივ საშუალებებიდან. დღეს საღამოს შესდგება თათბირი, სადაც მოსმენილი იქნება ყველა კომისიების და ამხ. დოლიძის მოხსენებები. ხვალ განზრახულია გაიმართოს საგანგებო სხდომა, სადაც მოსმენილი იქნება საინფორმაციო ცნობა მომხდარ ამბავის შესახებ. უეჭველია მე მომიხდება სამი-ოთხი დღე დარჩენა, ვიდრე ნამდვილი მიზეზები გამოირკვეოდეს.

სიკვდილის შემთხვევა იყო სამი, სამიც მძიმეთ დაშავებულია, ხოლო დაშავებულნი, რომელთაც აღმოუჩინათ დახმარება, 300-დეა, ზოგიერთი მათგანი ფსიქიურად დაავადებულია (7 კაცი მძიმედ). საერთო ზარალი 5—დან 7 მილიონამდე იქნება. დამატებით უფრო დაწვრილებით შეგატყობინებთ. ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე თქვენი განკარგულების შესახებ გთხოვთ მაცნობოთ დეპეშით.

საუბარი ამხ. ჯულელთან

11 მაისი, ღამის 11 საათი

(ტელეფონით ჩვენი ქუთაისელი კორესპონდენტისაგან)

საღამოს 9 საათზე ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა მთავრობის კომისიის თავმჯდომარეს ამხ. სიმონ ჯულელს, რომელმაც განაცხადა:

დილის 7 საათზე დაზარალებული რაიონები უკვე შემოვლილი გვქონდა. მდგომარეობა აუწერელია. განწყობილება ცუდი. გვხდებოდნენ დაზარალებულნი ღრმა მწუხარებით.

როდესაც გაიგეს ჩვენი ჩამოსვლა და ის, თუ რისთვის ვიყავით ჩამოსულნი, დარწმუნდნენ, რომ მთავრობის ასეთი სასწრაფო ყურადღება მაჩვენებელია იმის, რომ მთავრობა მიიღებს ზომებს მათ დასახმარებლად. ჩემი ჩამოსვლისას ცეცხლი აქა-იქ კიდევ იყო.

მუშაობდა ყველა რაზმები: ფოთის, სამტრედიის, ბათომის, ჭიათურის, ხაშურის და თბილისის. შეუძლებელია სიტყვით შეფასება იმ დახმარების, რომელიც რაზმელებმა აღმოუჩინეს მოსახლეობას. **განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თავგანწირული მოქმედება ბათომის რაზმისა.**

აღსანიშნავია და თან საამაყო ჩვენი წითელი ჯარის ნაწილების მოქმედება. მათ გამოცდა მშვენივრად ჩააბარეს და ერთხელ კიდევ დაანახეს მოსახლეობას, რომ ისინი მარტო სამხედრო ფრონტისთვის არ არიან შექმნილი; ყოველი მათგანი, როგორც შეგნებული მოქალაქე, ხვდებოდა მომხდარ უბედურებას. **არ მინახავს, არ შემხვედრია არც ერთი მოქალაქე, რომელსაც თავისი განუსაზღვრელი აღფრთოვანება არ გამოეთქვას წითელი ჯარის მოქმედების გამო.**

დილის 10 საათზე ცეცხლი ჩაქრა და ამხ. ბერიძეს წინადადება მივეცი ყველა რაზმები მოეხსნა გარდა თბილისისა და ვსთხოვე თბილ. რაზმის საშუალებით გაესინჯა შენობები და სადაც საშიფათო იყო დაენგრია კედლები, რაც დღის 12 საათისათვის სისრულეში იქნა მოყვანილი.

აღსანიშნავია **ადგილობრივი მილიციის ენერგიული მოქმედება.** უნდა აღინიშნოს ადგილობრივი **ხელისუფლების ორგანიზაციული მოქმედება** ცეცხლის ჩასაქრობად. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლობა [illegible] **სწრაფად** შესდგომოდენ საქმეს. გამოეყოთ ხელმძღვანელი კომისია ოთხი ქვე-კომისიით, რომლებმაც დილიდანვე დაიწყეს მოქმედება. კომისიის მოხსენებიდან საღამოს თათბირზე გამოირკვა, რომ მას სათანადოთ შეუსრულებია დავალება. საერთოდ ზარალი დიდია. **დამწვარი და განადგურებულია, რადგან ხანძარი სწრაფად ვითარდებოდა.** ყველაფერი რომ რეალურ შეფასებაზე იქნეს გადატანილი ზარალი ჩემის აზრით ოთხ-**ხუთ მილიონს აღემატება.** კომისიას დიდ დახმარებას უწევენ ადგილობრივი ორგანიზაციები, მაგალითად **წითელ ჯვარს** უკვე მოწყობილი აქვს საკვები პუნქტი და ყოველდღიურად 500 სადილს აძლევს დაზარალებულთ. მივეცი განკარგულება რომ პირველ ყოვლისა დაეკმაყოფილებიათ **ბავშვები და ულარიბესნი.** ცეცხლი ეკიდა № დივიზიის ამხ. მელაძის და № ლეგმეთაურის ამხ. კალანდაძის ბინებს, მაგრამ მათ მაინც არ მიუტოვებიათ დახმარების საქმე.

აღმასკომი **ყველა** დაზარალებულთ აწვდის პურს.

დღეს პირდაპირი მავთულით მქონდა საუბარი ამხ. ქართველიშვილთან ვთხოვე დაუყოვნებლივ გადმოეგზავნა 5 რონოდა ფქვილი და სათანადო თანხები აღმასკომის განკარგულებაში მიმდინარე აუცილებელი ხარჯების დასაფარავად.

ამხ. ქართველიშვილისაგან დეპეშით პასუხი მივიღე, რომ გადმოგზავნილია **ფქვილი და 10.000 მან.**, ის დახმარება და დახმარების ცდა, რომელსაც ხედავს დაზარალებული მოსახლეობა მათ სულისკვეთებაში გაუმჯობესებას შეიტანს. მთავრობის მიერ გამოყოფილია განსაკუთრებული კომისია, რომელიც შეუდგება დახმარების საქმის მოგვარებას. მთავრობა ყოველ ზომებს მიიღებს მათ დასახმარებლად, მაგრამ თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ადგილობრივ მთავრობებს საჭირო თანხების გაღება არ შეუძლიათ და დაგვჭირდება ცენტრისადმი მიმართვა. მე დარწმუნებული ვარ, რომ იქნება აღმოჩენილი უფრო საგრძნობი დახმარება.

მილიციის სამმართველოს შენობას თან.—ეზიდებიან საოჯახო ნივთებს.



ებრაელთა გადამწვარი უბანი

საჭიროა აგრეთვე ფართო საზოგადოებრივი დახმარება და საამისო ორგანიზაციის შექმნა. ვფიქრობ რამოდენიმე დღეში შევსძლებთ ყველა ტეხნიკურ საკითხების მოგვარებას.

სხვათაშორის მინდოდა აღმენიშნა ისიც, რომ დღეს ავადმყოფებისა და დამწვრების ნახვამ ჩემზე საშინელი შთაბეჭდილება დასტოვა. საექიმო დახმარება აღმოუჩენიათ 376 კაცისათვის. რამდენიმე კაცი მთლად დამწვარია. 7 ავადმყოფთაგანი მძიმედ არის დაშავებული. ადგილობრივ სახელმწიფო დაზღვევის განყოფილება შეუდგა დამწვარ დაზღვეულ მოსახლეობის ზარალის გამორკვევას. დაზარალებულებს მიეცემათ 400.000 მანეთზე მეტი.

ქუთაისი

11 მაისი, ღამის 12 საათი

(ტელეფონით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

დღეს, დილის 6 საათ. ქალ. ქუჩებზე უკვე გაკრული იყო ქუთაისის სამაზრო აღმასკომისა და ქალაქის საბჭოს მოწოდება. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ მცხოვრებნი ნუ მიეცემიან სასოწარკვეთილებას, რომ მშრომელთა ხელისუფლება საჭირო დახმარებას გაუწევს დაზარალებულთ.

დილიდანვე დაიწყო მუშაობა სამაზრო აღმასკომის გამოყოფილმა ოთხმა კომისიამ.

პირველი კომისია ყურულიშვილის თავმჯდომარეობით დილიდანვე შეუდგა დამწვარ სახლების აღრიცხვას და ზარალის გამორკვევას.

მეორე კომისიას რივნისთაველის თავმჯდომარეობით დავალებული ჰქონდა ხანძრის გამო უსახლკაროდ დარჩენილ მოქალაქეთა დაბინავება და წყლით უზრუნველყოფა.

დაზარალებულ მოქალაქეთა პურით უზრუნველსაყოფად გამოყოფილ იქნა **კომისია ამხანაგ ეძგვერაძის** თავმჯდომარეობით.

ხანძრისაგან დაზარალებულ ოჯახას წევრთა აღრიცხვას აწარმოებს **კომისია ამხანაგ გიორგობიანის** თავმჯდომარეობით.

მთელი დღე მუშაობა არ შეწყვეტილა და შედეგიც მათი მუშაობისა გამორკვეულია განსაკუთრებული კომისიის სხდომაზე ამხ. **ჯულელის** თავმჯდომარეობით, დღეს, 9 საათზე.

კომისიების მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ დღევანდელი დღის განმავლობაში აღრიცხულია 260 დამწვარი სახლი, ამათ რიცხვში არ შედის პატარა ქოხები და სამზარეულოები. დანგრეულია 44 შენობა 184 ოთახით, 525 სულის საცხოვრებელი. დამწვარ მოსახლეობის სულად შემადგენლობიდან დღევანდელი დღის განმავლობაში აღრიცხვაზე იყო აყვანილი 3.915. დაზარალებულთაგან 118 მოსახლე ულარიბესია, 61 საშუალო, 7 ყოფილი შეძლებულები, დანარჩენთა შესახებ ჯერ ცნობები არ არის.

დღევანდელი დღის განმავლობაში დარაბებში ჩასახლებულია 141 მოსახლე—705 სულის შემადგენლობით. დანარჩენთაგან, ზოგი მოთავსებულია ნათესავ-ნაცნობებთან, ხოლო უმნიშვნელო ნაწილი ჯერ კიდევ მოუწყობელია.

სახალხო განათლების კომისარიატიდან არის დეპეშა, რომ მათ შეუძლიათ 90 ბავშვის მოთავსება თავშესაფარებში.

რაც შეეხება დაზარალებულთა გამოკვებას, დღეს დილიდანვე საამისოდ გამოყოფილი კომისია შეუდგა ორ-ორი გირვანქა პურის დარიგებას. დღევანდელი დღის განმავლობაში დარიგებულია 90 ფუთი გამომცხვარი პური. დაზარალებულთ ეძლევათ ცხელი საჭმელი. ამ მხრივ მათ განსაკუთრებულ დახმარებას უწევთ წითელი ჯვრის საზოგადოება.

ხვალისათვის მოწვეულია ქუთაისის საბჭოს სასწრაფო სხდომა, გაერთიანებული ქარხნის მუშებთან. ეწყობა საზოგადოებრივი დახმარების საქმეც. უკვე რამოდენიმე კავშირს ჰქონდათ კრებები და მუშებმა ერთხმად დაადგინეს ერთდღიური ხელფასის გადადება დაზარალებულთა სასარგებლოდ.

გუშინ საღამოს განსაკუთრებული წარმოდგენა დადგა თბილისის საოპერო დასმა დაზარალებულთა სასარგებლოდ. პანიკას არავითარი ადგილი არა აქვს. ხალხი დამშვიდებულია. ქალაქი ნელნელა დგება ნორმალურ კალაპოტში.

გუშინდელი დღის განმავლობაში 371 კაცს გაუწია საექიმო დახმარება ქუთაისის სანიტარულმა რაზმებმა. საბოლოოდ გამოირკვა, რომ დამწვარია ერთი ქალი **სიმხო შამელაშვილისა და ორი ბავში**, 7 მძიმედაა დასახიჩრებული. დანარჩენთა შესახებ ჯერ კიდევ არაფერი იციან.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. **ჯულელი** ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად პირადად ხელმძღვანელობს დაზარალებულთა დაბინავების და გამოკვების საქმეს. იგი რამოდენიმე დღე დარჩება ქუთაისში.

განსაკუთრებულ კომისიის სხდომაზე აღინიშნა ის თავგანწირული მოქმედება, რომელიც გამოიჩინა **წითელი ჯარის** ნაწილებმა, ცეცხლის მქრობელმა რაზმელებმა და მილიციონერებმა.

დახმარებისათვის

მთავრობის კომისია

ხანძრისაგან დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენათ საქართველოს სახკომსაბჭომ გუშინ გამოყო მთავრობის კომისია ამხ. **ქართველიშვილის** (თავმჯდომარე), **ს. ჯულელის** (მოადგილე), **ე. ლვამიჩავას, კეკელიას, მარკმანის, შ. მათიკაშვილის** და **ბოლქვაძის** შემადგენლობით.

ხუთი ვაგონი ფქვილი და ათი ათასი მანეთი

ხანძრისაგან დაზარალებულ მოსახლეობისათვის საქართველოს სახკომსაბჭომ გუშინ სასწრაფოდ გადაგზავნა ქუთაისში 5 ვაგონი ფქვილი. ქუთაისის აღმასკომს მიეცა წინადადება ამავე მიზნით გადასცეს ქუთაისის ფონდიდან 5 ვაგონი ფქვილი. გარდა ამისა, დაზარალებულთათვის პირველ დახმარების აღმოსაჩენათ სახკომსაბჭომ გუშინ ქუთაისის აღმასკომს გადაუგზავნა 10.000 მან..

წითელი ჯვრის დახმარება

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ, გუშინ ქუთაისში გაგზავნა საკვები—სამკურნალო რაზმი, ორი ექიმის, სათანადო დაბალი საექიმო პერსონალის შემადგენლობით. რაზმმა თან წაიღო სათანადო მოწყობილობა, კარვები, მედიკამენტები, სურსათი და თეთრეული 250 კაცისათვის. გამოყენებული იქნება აგრეთვე ადგილობრივი წითელი ჯვრის კომიტეტის ყველა ძალები. რაზმს ხელმძღვანელობს საქ. წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ექიმი **ვლ. ფანცხავა.**

ებრაელთა მიწადმომწყობ საზ.-ბის. დეპეშა

მშრომელ ებრაელთა მიწადმოწყობის საზოგადოებამ ქუთაისის განყოფილებამ გუშინ გაუგზავნა შემდეგი დეპეშა: დაზარალებულთა დასახმარებლათ გამოიყენეთ ყველა ძალები. ცნობები მოგვაწოდეთ. მივიღებთ ზომებს მდგომარეობის შესამსუბუქებლათ. დღეს მოემგზავრება ჩვენი წარმომადგენელი.



ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტთა და თანამშრომელთა წვლილი

გუშინ, ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში შესდგა სტუდენტების, ლექტორების, თანამშრომლების და კოოპერატიული კურსების მსმენელთა საერთო კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა ცნობა ქუთაისში ხანძრით გამოწვეულ უბედურების შესახებ. საერთო კრებაზე ერთხმად იქნა მიღებული დადგენილება, რომ სტუდენტთა სტიპენდიებიდან და ლექტორთა და თანამშრომელთა ჯამაგირებიდან გადადებულ იქნეს დაზარალებულთა სასარგებლოთ თითო მანეთი. სულ—500 მანეთი.

ხანძრით დაზარალებულთათვის დახმარების გასაწევად ა.-კ. კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტთა და ლექტორთა საერთო კრება იწვევს—საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტებს, საქართველოს და აზერბეიჯანის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტებს, თბილისში არსებულ ყველა მუშათა ფაკულტეტებს, საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის ცენტრალურ პარტსკოლებს, საქართველოს სამხატვრო აკადემიას, სახელმწიფო კონსერვატორიას და ყველა დანარჩენ სასწავლებლებს.

განათლების სახ. კომისარიატის თანამშრომელთა კრება

გუშინ განათლების სახ. კომისარიატის შენობაში განათლების კომისარის მოადგილის ამხ. **მარიამ ორახელაშვილის** თავმჯდომარეობით შესდგა განათლების კომისარიატის თანამშრომელთა საგანგებო კრება ქუთაისში ცეცხლისაგან დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. საზოგადო კრებამ ერთხმად დაადგინა: 1) მიღებულ იქნას კოჯორის ახალშენში დაზარალებულ ოჯახებიდან 40 ბავშვი ოთხი თვის ვადით, რაიც იმ დღესვე ეცნობა ტელეგრაფით ქუთ. აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ლვამიჩავას, 2) თანამშრომელთა შორის შეიკრიბოს ერთდღიური ხელფასი დაზარალებულთა სასარგებლოდ. 3) გაიმართოს ხელისმოწერა თანამშრომელთა, ამხანაგთა და ნაცნობთა შორის შეწირულების შესაკრებად. აგრეთვე გაიგზავნოს მოწოდება მასწავლებლებისა, მოსწავლეებისა, სამეცნიერო დაწესებულებებისა და სამეცნიერო ძალთა მიმართ, რომ მათ მიერ მიღებულ იქნეს სათანადო ზომები დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატი

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომლებს შემოაქვთ ქ. ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ერთი დღის ხელფასი და იწვევენ საქართველოს ყველა სახკომისარიატებს და მეზობელ რესპუბლიკათა და ავტონომიურ ერთეულთა შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატების თანამშრომელთ.

შემომაქვს ორი მანეთი (2 მან.) ქ. ქუთაისის ხანძრით დაზარალებულ მცხოვრებთა სასარგებლოთ.

სტუდ. გრ. ხუხუნაშვილი.

—

შემომაქვს 1 მან. (ერთი მან.) ხანძრით დაზარალებულ ქ. ქუთაისის მცხ. დამხმარე ფონდში.

სიმონ გვენეტაძე.

—

შემომაქვს ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ 5 მანეთი.

ხილ. თავართქილაძე.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოსაგან

მდგომარეობა 11 მაისს

ქუთაისი, 11 მაისი. დილის 8 საათისათვის ბათომის, ფოთის, ჭიათურის, ზესტაფონის და ხაშურის სახანძრო რაზმების და სამხედრო ნაწილების ძალღონით ხანძარი ჩაქრობილ იქნა.

ცეცხლმა გაანადგურა 8 ქუჩა და რამოდენიმე შესახვევი.

ებრაელების ფართო უბნიდან, რომლის დიამეტრი 2 ვერსს უდრის, დარჩა მხოლოდ ქვითკირის სახლების კედლები. ხის სახლებიდან კი მხოლოდ ფერფლი.

ჯერ-ჯერობით აღმოჩენილია მხოლოდ სამი გვამი—ერთი მოხუცი ქალის და ორი ბავშვის. ბევრი მშობლები დაეძებენ თავის ბავშვებს. 300-მდე კაცი დაჭრილია.

ქონების უდიდესი ნაწილი სახლებში დაიღუპა. გადარჩენილი ნივთები დაყრილია ქალაქის ბაღში.

უბინაოდ დარჩა რამოდენიმე ათასი მცხოვრები. დროებით ისინი მოთავსებული არიან დარაბებში. ნანგრევებში ქალები ჩხრეკენ ფერფლს ბევრი სტირის და თმას იგლეჯს. აღრიცხულია ქუჩაზე შეშლის შემთხვევები.

დილით ადრე სპეციალური კომისიები შეუდგენ ზარალის გამორკვევას, დაზარალებულთა დასახლებას და პურით უზრუნველყოფას. ქალაქში პური საკმაოა.

ყველა სახანძრო რაზმები, თბილისის რაზმის გარდა, უკან გაიგზავნა.

დაწვრილებითი ცნობები ხანძრის შესახებ

ქუთაისი, 11 მაისი. 10 მაისის საღამოს 7 საათისათვის სახანძრო რაზმებმა შეძლეს ცეცხლის შესუსტება. სახლების ნაწილის დანგრევით ისინი სცდილობდნენ ცეცხლის გავრცელების შეჩერებას. მაგრამ ძლიერ ქარს შორს გადაჰქონდა ნაპერწკლები და ხანძარი ისევ ძლიერდებოდა.

ხანძართან ბრძოლა სწარმოებდა მეტად მძიმე პირობებში. წყალი მოჰქონდათ რიონიდან 300 მეტრის მანძილზე ერთმანეთზე გადაბმული რეზინის მილებით, კასრებით, საბარგო ავტომობილებით და ვედროებითაც.

სამხედრო ნაწილები და სახანძრო რაზმები მუშაობდენ უაღრესად თავგანწირულად, ამით აიხსნება უბედურ შემთხვევების მცირე რაცხვი.

ქალაქის მთელი სამკურნალო პერსონალი მობილიზაციაქმნილია.

ხანძრის მიზეზია მარტო დარჩენილი ორი ბავშვის გაუფრთხილებელი მოპყრობა პრიმუსთან. ბავშვები დაიწვენ.

ეხლანდელი ხანძარი ბევრად სჭარბობს 1905 და 1916 წლის დიდ ხანძრებს (ადს).



ხანძარი გელათის ქუჩაზე

პარტიული ცხოვრება

ა.-კავკასიის საოლქო საკ. კომისიის პლენუმი

10 მაისს დილის 10 საათზე ამხ. ნაზარეტიანის თავმჯდომარეობით გაიხსნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტრ. კომისიის მე-3 პლენუმი დღის წესრიგში შემდეგი საკითხები:

1. მუშურგლეხური მასების ჩაბმა საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში (მომხსენებელი ამხ. დოლიძე).

2. საბჭოთა დემოკრატიის გამოკვლევის შედეგები საქართველოში (მომხსენებელი ამხ. გ. სტურუა).

3. ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების 20 პროცენტით შემცირების შემოწმების შედეგები (მომხსენებელი ამხ. ვარდანიანი).

11 მაისს პლენუმის დილის სხდომაზე ამხ. დოლიძემ გააკეთა მოხსენება საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში მუშურ-გლეხური მასების ჩაბმის შესახებ.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ბარბაქაძემ, მასხულიამ, კაზარიანმა, ნასყიდაშვილმა, პლეშაკოვმა, კირვალიძემ, პავერმანმა, ვ. სტურუამ, მარდალეიშვილმა, ორლიცკიმ, ვაცეკმა, ზარიფიანმა, სარატიკოვმა, ნ. ლეჟავამ, შამანოვმა, ოპარინმა, ცარიუკმა, გნიდომ, ვარდანიანმა, ს. ავაქიანმა, გოგიტიშვილმა, ფაშაევმა, გ. სტურუამ, ვარძელმა და გეცმა (ადს).

ერევნის პარტ-აქტივის კრება

10 მაისს შესდგა ერევნის პარტ-აქტივის საქალაქო კრება, რომელზედაც ამხ. მამია ორახელაშვილმა გააკეთა მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებათა შესახებ.

მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში აქტივი სავსებით იწონებს პლენუმის დადგენილებებს.

კავშირს სწყვეტენ ოპოზიციასთან

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტრ. კომისიამ მიიღო განცხადებანი ტროცკისტულ ოპოზიციასთან კავშირის გაწყვეტის შესახებ ზუგდიდის ორგანიზაციის შემდეგ წევრთაგან: მელიტონ ნაჭყებიასაგან, პარტიის წევრი 1917 წლიდან, თეოფანე თოდრიასაგან, პარტიის წევრი 1918 წლიდან და მელიტონ ჩიქოვანისაგან, პარტიის წევრი 1918 წლიდან.

ამხ. ნაჭყებია სწერს: „მე დავრწმუნდი პარტიის და მისი ცეკას ლენინური ხაზის სისწორეში და იმაში, რომ ოპოზიცია აწარმოებს გამხრწნელ მუშაობას, თავისი შეხედულებით და მოქმედებით ოპოზიცია ჩაეფლო მენშევიკურ ჭაობში და დადგა ჩვენი მტრების რიგებში. ამის გამო კავშირს ვწყვეტ ოპოზიციასთან და მზადა ვარ უსიტყვოთ შევასრულო პარტიის ყველა გადაწყვეტილებანი". (ადს).

ბიუროს გადარჩევის მოლოდინში

(მეხუთე სტამბის უჯრედი)

ჩვენი უჯრედი საკმაოდ დიდი უჯრედია, მასში 80-მდე წევრი და კანდიდატი ირიცხება. მოსალოდნელია ბიუროს გადარჩევა და ჩვენც შევუდექით სამზადისს. პირველ ყოვლისა გამოვყავით თვით შემმოწმებელი კომისია 11 კაცის შემადგენლობით. მაგრამ უნდა ითქვას, რომ კომისიის შემადგენლობა ვერაა დამაკმაყოფილებელი; კომისიაში გავიდნენ ამხანაგები, რომლებიც დიდი ხანი არაა, რაც ბიუროდან გადარეკეთ, როგორც სუსტი მუშაკები. ასეთი ხალხი ცხადია ვერ შესძლებს ბიუროს მუშაობის სწორ შეფასებას.

ჩვენი უჯრედი მომავალში მაინც უნდა იყოს ფხიზლად და ერიდოს უენერგიო ამხანაგების წამოყენებას საპასუხისმგებლო ადგილებზე.

უჯრედის წევრი.

საუკომების მუშაკთა გადასამზადებელი კურსები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიმდინარე წელს მანგლისში ხსნის სამაზრო და რაიონულ კომიტეტების ხელმძღვანელ მუშაკთა გადასამზადებელ კურსებს. კურსების მეცადინეობა დაიწყება 25 მაისს და სამთვე ნახევარს გასტანს.

კურსებზე გამოსაგზავნმა ამხანაგებმა უნდა იცოდენ რუსული ენა (მეცადინეობა იწარმოებს რუსულ ენაზე) და იყვნენ სავსებით ჯანსაღი, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი უკანვე იქნებიან დაბრუნებული სამაზრო კომიტეტის ან საოლქო კომიტეტის ხარჯზე.

კურსების მსმენელს მთლიანად ენახება ჯამაგირი, იგი უზრუნველყოფილია სურსათით, საერთო ბინით და სახელმძღვანელოებით. სამგზავრო ხარჯები უნდა გაიღოს მიმვლინებელმა პარტკომმა.

მივლინებულთა სია სამაზრკომებმა უნდა გადმოგზავნონ ცეკას საგიტ.-საპროპ. განყოფილებაში 22 მაისამდე, კურსანტები კი უნდა გამოცხადდენ არა უგვიანეს 25 მაისისა.

ადგილები კურსებზე ასეა განაწილებული: თბილ. კომიტეტს ეძლევა სულ 10 ადგილი, აფხაზეთს—5, აჭარისტანს—5, სამხრეთ-ოსეთს—3, ქუთაისის, ოზურგეთის, ბორჩალოს და სიღნაღის მაზრებს—ორ-ორი ადგილი, შორაპნის, ზუგდიდის, სენაკის, ფოთის, სვანეთის, რაჭის, ლეჩხუმის, დუშეთის, ახალციხის, ახალქალაქის და გორის მაზრებს—თითო ადგილი, ცენტრალურ კომიტეტს—3 ადგილი.

საგარეჯოს პარტორგანიზაციის საერთო კრება

6 მაისს, შესდგა საგარეჯოს პარტიულ ორგანიზაციის სათემო კრება კომკავშირელებთან ერთად, კრებას დაესწრო ორგანიზაციის წევრთა დიდი უმრავლესობა.

მოხსენებით, საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ. და ც. ს. კ. პლენუმის შედეგების შესახებ, გამოვიდა თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ლადო სუხიშვილი. მომხსენებელი შეეხო პურის დამზადებას და აღნიშნა, რომ ამ დარგში როგორც დამამზადებელი ორგანიზაციების, ისე პარტორგანოების მიერ დაშვებულ იქნა ზოგიერთი შეცდომა, მაგრამ, პარტიის მიერ მიღებული ზომებით ეს ნაკლი თავის დროზე იქნა გამოსწორებული.

მომხსენებელი ვრცლათ შეჩერდა აგრეთვე დონბასში აღმოჩენილ კონტრ-რევოლუციონურ შეთქმულებაზე და თვით კრიტიკის საკითხებზე.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 8 ამხანაგმა. კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ საჭიროა მეტი ყურადღება ექცეოდეს გაზეთებში მოთავსებულ შენიშვნებს. აგრეთვე გადამჭრელი ზომები უნდა იქნეს მიღებული ბიუროკრატიზმის, პროტექციონიზმის და გაფლანგვების წინააღმდეგ. მოხსენების გამო ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია:

„საგარეჯოს სათემო პარტიული კრება მთლიანათ და სავსებით უერთდება საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ-ს და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმის ყველა გადაწყვეტილებებს და ავალებს პარტიულ კომიტეტს, რათა უჯრედების სხდომებზე დამუშავებული იქნეს პლენუმის ყველა რეზოლუციები".

ბ. გ—ი.

კომკავშირის საკავშირო ყრილობა

ამხ. ჩაპლინის საბოლოო სიტყვა

მოსკოვი, 11 მაისი. ს. ა. ლ. კ. კ. 10 მაისის დღის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ბუხარინისა, ჩაპლინისა, მისლავსკისა და შაცკინის მოხსენებების გარშემო. საბოლოო სიტყვაში ამხ. ჩაპლინმა სთქვა:

— „ჩვენ არ უარვყოფდით იმ შეცდომებსა და ნაკლს ჩვენს მუშაობაში, რომლებიც აღნიშნეს აქ ორატორებმა. ჩვენ ვაღიარებთ, რომ ხშირად ცეკა სათანადო ხელმძღვანელობას არ უწევდა მუშაობას. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ დიდი მიღწევებიც, რომელიც ჩვენ გვაქვს, მაგალითად, აქტივის მომზადების დარგში. ცეკა სწორ კლასობრივ ხაზს ატარებდა სოფლის კომკავშირის ზრდის მოწესრიგების საკითხში, ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში და ახალგაზრდა მუშების შრომისა და განათლების საკითხებში".

ათავებს რა თავის სიტყვას, ამხ. ჩაპლინი ამბობს: „ამხანაგებო, ჩვენს გვერდით, მეზობელ დარბაზში, კუბოში წევს ძველი ბოლშევიკური გვარდიის წარმომადგენელი ა. ციურუპა, ყრილობა, ხრის რა თავის დროშებს ძველი რევოლუციონური თაობის გარდაცვლილ წარმომადგენლის წინაშე, აცხადებს: „ოქტომბრის მონაპოვარს არ დავთმობთ, უბედურებას გაუძლებთ, გავიმარჯვებთ".

რეზოლუცია ამხ. ჩაპლინის მოხსენების გამო

ამხ. ჩაპლინის მოხსენების გამო, მიღებულ იქნა ერთხმად რეზოლუცია, რომელშიაც ყრილობა საკ. ა. ლ. კ. კ. ცენტრალურ კომიტეტის პოლიტიკურ ხაზს სცნობს სწორად, პრაქტიკულ მუშაობას—დამაკმაყოფილებლად.

ამხ. შაცკინის მოხსენება

საანგარიშო მოხსენება, საკ. ა. ლ. კ. კ. დელეგაციის მუშაობის შესახებ ახალგაზრდობის კომ. ინტერნაციონალში გააკეთა ამხ. შაცკინმა. მომხსენებელმა დაახასიათა ახალგაზრდობის მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში და აღნიშნა ახალგაზრდობის პოლიტიკური აქტივობის ზრდა ამ უკანასკნელ წლებში. ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალს დიდი მიღწევები აქვს თავისი მუშაობის მთელ რიგ დარგებში. გაუმჯობესდა მუშაობა წარმოებებში და არმიაში, მოხდა კომკავშირის პოლიტიკური კონსოლიდაცია, კომკავშირში ოპოზიციამ ვერ მოიკიდა ფეხი, კომკავშირმა საუცხოვო გამოცდა დაიჭირა პოლიტიკურ ბრძოლაში, მაგრამ ის ხშირად ივიწყებს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ფართოდ განვითარების აუცილებლობას. მიუხედავად სიძნელეებისა, კომკავშირი სულ უფრო და უფრო მეტ მშრომელ ახალგაზრდებს ართმევს მენშევიკურ და რეფორმისტულ კავშირებს.

„ახალგაზრდობის კომუნისტურ ინტერნაციონალზე და საკ. ა. ლ. კ. კ.—დაამთავრა თავისი სიტყვა ამხ. შაცკინმა,—დამოკიდებულია უცხოეთის ახალგაზრდობის გარევოლუციონერების ტემპის დაჩქარება. ახალგაზრდობის რევოლუციონური ენერგია უნდა მოვახმაროთ მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეს". (ადს).

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ქვის ლუზა

ქუთაისი, 10 მაისი. სოფელ ძიმისტარში ნახეს მიწაში ჩაფლული ქვის ლუზა, რომელსაც საწონი გირის ფორმა აქვს და იწონის 15 ფუთს, ლუზა გადაეცა ქუთაისის მუზეუმს.

სამხრეთ-მანჯურიის რკინისგზის დირექტორი სოხუმში

სოხუმი, 11 მაისი. სოხუმში ჩამოვიდა სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზის ყოფილი დირექტორი ოკურა კომიჩი, რომელიც ამჟამად იაპონიის მთავრობის ოპოზიციაშია. ოკურას [illegible] ასახელებს კანდიდატად ზემო პალატაში. ოკურას მოგზაურობის მიზანს შეადგენს დაწვრილებით გაეცნოს საბჭოთა კავშირის ეკონომიკასა და ეთნოგრაფიას. ოკურა არის იაპონია-საბჭოთა დაახლოვების [illegible] საზოგადოების თავმჯდომარე. სოხუმიდან ოკურა გაემგზავრა ბათომში და იქიდან თბილისში (ადს).

წერილები

წარმატებით მიმდინარეობს

(წერილი ოზურგეთიდან)

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომთან დაარსებულია საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩამტარებელი სამაზრო სამეული. ასეთივე სამეულები დაარსებულია აგრეთვე სათემო აღმასკომებთანაც, რომლებიც დიდის ენერგიით განაგრძობენ მუშაობას.

სამაზრო სამეულის მიერ დანაწილებულ იქნა მთელი მაზრა ათ რაიონად, რომელთაც უნდა გადაეცვალათ და შეეძინათ სათესლე სიმინდი. წელს გურიაში უნდა დამზადებული ყო 16.000 ფუთი თესლეული შემდეგი სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობების მეშვეობით. ოზურგეთის ს. ს. ს. ამხანაგობას 3.000 ფუთი, სუფსის—4.000, ლანჩხუთის—3.000, შემოქმედის—200, ბახვის—100 ფ. დვაბზუს—500, ნაგომრის—1.000, ჩოხატაურის—1.000, მაქვლგაბრიელის—3.000, ხიდისთავის—200 ფ.

ამ რაოდენობიდან დღემდის დამზადებულია ოზურგეთის ს. ს. ს. ამხანაგობის მიერ 1.500 ფუთი, სუფსის—2.000, ლანჩხუთის—2.000, შემოქმედის—150, ბახვის—100, დვაბზუს—200, ნაგომრის—700, ჩოხატაურის—500, მაქვლგაბრიელის—1.000, ხიდისთავის—300, სულ დღემდის დამზადებულია 8.450 ფუთი თესლეული.

აგრეთვე ამჟამადაც წარმატებით მიმდინარეობს თესლეულის დამზადება.

დღემდის რაც მიღებული სიმინდი იყო თესლეულზე გადასაცვლელად თითქმის სულ გადაცვლილია, ამ დღეებში მოელიან რამოდენიმე ვაგონ სიმინდს თესლეულზე გადასაცვლელად.

დამზადებული თესლეულიდან განაწილებულია სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებზე 6.200 ფუთი.

სათესლეს იძენდენ და იძენენ ეხლაც უმეტეს ნაწილად გადაცვლის მიზნით და აგრეთვე ნაღდ ფულზე.

გურიის გლეხობა წელს ცუდ პირობებში იმყოფება. დიდი ზამთრის გამო, მთელი ღობეები შეშად გამოიყენეს ზამთრის თვეებში, რომლის შეკეთება ხელმეორედ უჯდებათ და დიდ სიძნელესაც იწვევს, აგრეთვე ზოგიერთ გლეხს საქონელიც ეზარალათ საკვების უქონლობის გამო.

მართალია, საკრედიტო ამხანაგობები დიდ დახმარებას უწევენ გლეხობას სესხის მიცემის ხაზით, მაგრამ სავსებით ვერ აკმაყოფილებენ მეურნეების მოთხოვნილებას. მიუხედავად ამისა გლეხობა დიდის ენერგიით შეუდგა მოხვნას და თესვას. ალაგ-ალაგ უკვე დათესილია ყანები.

გურიაში არის სამი ტრაქტორი და სხვადასხვა სამეურნეო იარაღები, აგრეთვე ოცამდე სათესი მანქანა.

ტრაქტორების გამოყენება გურიაში ალაგ-ალაგ თუ შეიძლება, თორემ ყოველგან მისი მოხმარა შეუძლებელია.

სამეულების მიერ მიღებულია საჭირო ზომები, რათა ტრაქტორები, სათესი მანქანები და სხვა სამეურნეო იარაღები დაუთმონ უღარიბეს გლეხობას ძალზედ დაკლებულ ფასებში.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ გურიაში თესვის კამპანია წარმატებით მიმდინარეობს.

მიატნი.

—:—

ნუ დასტოვებთ უყურადღებოდ

აგარაკი წაღვერი

წაღვერში ფოსტა-ტელეგრაფის შენობის გვერდით გასულ წელს მოთავსებული იყო რესტორანი „არტო", რომელიც ეკუთვნოდა მოქ. დინიბეგოვს. ხსენებულ რესტორანში ხშირი იყო გალეშილთა მუშტი-კრივი და ღრიანცელი. მთელი დღის განმავლობაში უკრავდა „გარმოშკა", ზურნა და სხვა. ყოველივე ეს ხმაური ხელს უშლიდა ფოსტა-ტელეგრაფის ნორმალურ მუშაობის მსვლელობას. აღსანიშნავია, რომ ფოსტაში ტელეგრამების მიღება-გადაცემა ხდება სმენით, რაზედაც ძალზე მოქმედობს რესტორანის ხმაური, ხშირი იყო შემთხვევა დეპეშის დამახინჯებისა. ამის გამო შარშანვე აღიძრა შუამდგომლობა ფ.-ტ. კომისარიატის წინაშე რესტორანის დახურვის შესახებ, მაგრამ დღემდე არავითარი ზომები არაა მიღებული. წელს მოქ. დინიბეგოვი კვლავ ახერხებს აღმასკომის ნებართვით რესტორანის გახსნას და არავითარ ანგარიშს არ უწევს ფოსტის გამგის განცხადებას.

ფ.-ტ. კომისარიატმა უნდა მიაქციოს ამას ყურადღება და მიიღოს სათანადო ზომები ხსენებული რესტორანის დაკეტვისათვის, ან და სხვა ადგილას გადასატანად.

გრ. ამირელი.

—:—

ვინ არის დამნაშავე?

ს. ზანა, სენაკის მაზრა

ქუთაისში ფოსტის კანტორისაგან 8 მარტს მიღებული დაზღვეული ბარათი სოფ. ზანაში, მივიღეთ 22 მარტს. ნუ თუ 13—14 დღე არის საჭირო ასეთ პატარა მანძილზე წერილის მიღებისათვის?

თბილისიდან, სახმედვაჭრობიდან ა. წ. 18 თებერვალს ფოსტისაგან მიღებული დაზღვეული პაკეტი მედიკამენტების ფაქტურით და რკ. გზ. დუბლიკატით მივიღეთ იმავე ს. ზანაში საბჭოთა აფთიაქის სახელზე 25 მარტს. 5 ფუთი მედიკამენტები მთელი ამ 36 დღის განმავლობაში გზაში ყრია, იმტვრევა და ფუჭდება, აფთიაქი ნახულობს ზარალს, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა დიდ გაჭირვებას განიცდის უმედიკამენტობით.

უბრალო, 3 კაპ. ღია ბარათი ან 8 კ. წერილი ხშირად 3 კვირით გვიან გაგზავნილ წერილს უცდის გზაში და ადრესატთან ერთად მიდიან. არ არის იშვიათი შემთხვევა სრულებით დაკარგვისაც.

მოვითხოვთ ვისგანაც ჯერ არს საჭირო ყურადღებას და ამ ნაკლის გამოსწორებას.

გ. ქვათარაძე

—:—

მუშკორთა წერილებიდან

„ეკალის" წერილის გამო

გაზეთ „კომუნისტის" № 96-ში, ამა წლის 26 აპრილს მოთავსებული იყო წერილი აფენის აფთიაქის გამგე ბოკერიას შესახებ, „ეკალის" ხელისმოწერით. ხსენებული წერილის გამო აფენის და ლელიანის თემაღმასკომებმა გაცნობებთ, რომ „ეკალის" მიერ წერილში წამოყენებული ბრალდებები, ბოკერიას შესახებ არ შეეფერებიან სინამდვილეს. ამ 1 თვის წინედ აფთიაქი მართლაც იყო დაკეტილი ათი დღით, რის ნებართვაც ჰქონდა ბოკერიას სახმედვაჭრობიდან. ამ დროს მას შვილი ყავდა ავად თბილისში, რომელიც იქვე გარდაიცვალა. რაც შეეხება ბოკერიას არ ყოფნის დროს მისი ცოლის აფთიაქში მუშაობას, უნდა აღინიშნოს, რომ ბოკერიას ცოლი არის ფარმაცევტკა და აქვს ამის შესახებ სათანადო დიპლომიც.

ჩვენი საქმიანობა

ნაგომრის თემი, გურია

ნაგომრის თემში არასოდეს არ ყოფილა ისეთი გაცხოველებული საქმიანობა, როგორიც დღეს არის, რაც უნდა მიეწეროს თემაღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ვასაძის ენერგიულ მუშაობას. თემის კეთილმოწყობის საქმეში აღმასკომს ყოველმხრივ ეხმარება ადგილობრივი პროფკავშირის წევრები. ამ მიზნით შემოიღეს „შაბათობა". ამ დღეს ყველა წევრები გამოდიან თემის საერთო საქმის საკეთებლად, რასაც დიდი ნაყოფი მოაქვს.

ვინმე

როდის მიიღებენ ზომებს?

მათხოჯი, ქუთაისის მაზრა

მათხოჯის კოოპერატივში არ მოიპოვება გლეხობისათვის აუცილებელი მოთხოვნილების საგნები. მანუფაქტურა ხომ სავსებით არ მოიპოვება. ნუთუ [illegible] გასტანს ასეთი მდგომარეობა? [illegible] გამგეობამ, მიიღოს ზომები მათხოჯის კოოპერატივის საქონლით მომარაგებისათვის.

ქ. მათხოჯელი

საექსკურსიო-ტურისტულ ბიუროში

საქართველოს საექსკურსიო ტურისტულმა ბიურომ შეადგინა ტურისტული მარშრუტები საქართველოში, ამიერ-კავკასიაში და ჩრდილო-კავკასიაში მოგზაურობისათვის.

მარშრუტები შემდეგია: საქართველოს სამხედრო გზა, ყაზბეგის ყინვარების დათვალიერების შემდეგ ტრუსის გადასვლით ჩრდილოეთ-ოსეთი, იქ დათვალიერებული იქნება ულამაზესი ცეის ყინვარი, ოსების ძველი სამლოცველო—რეკომი, რის შემდეგაც ტურისტები გადავლენ მამისონის უღელტეხილით რაჭაში, იქ დაისვენებენ აგარაკ შოვში და ონისა და ქუთაისის გავლით დაბრუნდებიან თბილისში.

მეორე მარშრუტი იქნება: საქართველოს სამხედრო გზით ყაზბეგამდი მისვლა, იქიდან ქისტინის ხეობით გადასვლა ხევსურეთში—გუროში და შატილში. უკან დაბრუნებისას ტურისტები გადმოვლენ ანდაკის გადმოსავალით უკანა ფშავში და გამოივლიან ფშავეთ ანანურამდე.

მესამე მარშრუტი განზრახულია ჯერ უცნობ ადგილებში, სახელდობრ—თუშეთში. თელავიდან ტურისტები გაივლიან პანკისის ხეობას, სადაც ცხოვრობენ ათეული სხვადასხვა ტომების წარმომადგენლები: კახელები, ქისტები, თუშები, ხევსურები, ფშაველები, ოსები და სხვ. პანკისის ხეობიდან ტურისტები გაივლიან თუშეთს, ალაზნის თავს, გუძთ ხევს, ვესტმოს, ფარსმას და დაბრუნდებიან უკან ხისო-ზეთაეთ ფშავეთში.

შემდეგი მარშრუტი იქნება სვანეთში და რაჭაში. ქუთაისიდან ტურისტები გაივლიან ორბელს, ლატფარის გადასვლით ჩავლენ კალაში, იფარში და მესტიაში. უკან გამოივლიან ჰადიშს, უშკულს და ჩავლენ შოვში.

გარდა აღნიშნული მარშრუტებისა, შედგენილია მარშრუტები გურია-აჭარისტანში, საქართველოს სამხედრო გზით მთიულეთში, გორიდან ატენის ხეობით ჯავახეთში, სადაც დათვალიერებული იქნება კუმურდო და ვარძია. ერთი მარშრუტი იქნება აგრეთვე სომხეთში და აზერბეიჯანში, სადაც ტურისტები აქსტაფიდან გაივლიან დელიჟანში, ველენოვკაში, გოგჩის ტბასთან და ერევანში.

ყველა ამ მარშრუტებზე ფეხით გასავლელი იქნება 70-დან 200 კილომეტრამდე, ცალკე მარშრუტზე მოგზაურობა თითოულ ტურისტს დაუჯდება 30 მანეთიდან 60 მანეთამდე. ყველა ამ მარშრუტებით მოგზაურობა გასტანს 14 დღე. მოგზაურობას ხელმძღვანელობას გაუწევენ საქ. საექსკურსიო-ტურისტული ბიუროს გამოცდილი ხელმძღვანელები. მოგზაურობა დაიწყება 15 ივნისიდან.

შრომის დაცვა

შრომის დაცვის დარგში მუშაობის გაძლიერებლად ამ.-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა ამიერ-კავკასიის პროფესიონალურ საბჭოსთან ერთად გამოიმუშავა შესაფერი ღონისძიებები.

ეს ღონისძიებები ემყარება საბჭოთა კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილებებს და შრომის დაცვის შესახებ მოწვეულ უკანასკნელ საკავშირო თათბირის რეზოლუციებს. გადაწყვეტილია, შრომის დაცვის იდეების გასავრცელებლად ფართედ იქნეს გამოყენებული შრომის დაცვის მუზეუმი, სადაც სისტემატიურად მოეწყობა მოხსენებები და საუბრები შრომის დაცვის, პროფესიონალურ დაავადების და უშიშროების ტეხნიკის შესახებ. ლექცია-საუბრებზე მუშების მოწვევის ორგანიზაცია დაკისრებული აქვს ცალკე პროფესიონალურ კავშირების გამგეობებს.

შრომის დაცვის საქმის გასაფართოებლად და პოპულარიზაციისათვის გამოყენებული იქნება აგრეთვე შესაფერი კინო-სურათები, რომელთა ჩვენება მოეწყობა მუშათა კლუბებსა და დიდ წარმოებებში.

ლექცია-საუბრების დროს გარჩეული იქნება უბედურ შემთხვევის და პროფესიონალურ დაავადების კონკრეტული შემთხვევები, რომლის შესახებ უკვე იციან მუშებმა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საკითხს—იცავდა თუ არა დაზიანებული მუშა უშიშროების ტეხნიკის შესახებ არსებულ წესებს.

უბედურ შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები ფართოთ იქნება აგრეთვე გაშუქებული პრესაშიაც და კედლის გაზეთებში.

საბჭოთა საანგარიშო კამპანიის შედეგები

საანგარიშო კამპანია თითქმის ყველა მაზრებში დამთავრებულია. სათანადო მასალები კი მიღებულია მხოლოდ შემდეგი მაზრებიდან: თბილისის (ქ. თბილისის გამოკლებით), სიღნაღის (ქ. სიღნაღის გამოკლებით), შორაპნის (ქ. ჭიათურისა და ზესტაფონის გამოკლებით), დუშეთის (8 თემი) მაზრიდან, ქ. ფოთის რაიონიდან (ყულევის თემი და პატ. ფოთის სახ. საბჭო) და ქ. ფოთიდან.

საანგარიშო კამპანია ტარდებოდა უმთავრესად მარტისა და აპრილის განმავლობაში.

დასახელებულ კამპანიის წარმატებით ჩატარების მიზნით, ჩამოთვლილი მაზრების ძირითადი ერთეულები (თემი, ქალაქი) იყოფოდა რამოდენიმე წვრილ პუნქტებად.

საანგარიშო კრებებზე მოხსენებებით გამოდიოდნენ უმთავრესად სათანადო უბნის ამომრჩევლების დეპუტატები; ზოგიერთ მაზრებში კი (სიღნაღის, დუშეთის), ადგილი ქონდა აგრეთვე დეპუტატების მიერ მოხსენებით გამოსვლაზე უარის თქმას მოუმზადებლობის გამო. ასეთ შემთხვევაში მოხსენებით გამოდიოდა ან თემაღმასკომის თავმჯდომარე, ან საბჭოს რწმუნებული დეპუტატი. სულ მოხსენებით გამოვიდა 934 დეპუტატი (10-15 პროც. ყველა დეპუტატებისა). მათ შორის სათანადო საანგარიშო უბნის დეპუტატები 80 პროც. იყო შემთხვევები, როდესაც საანგ. მოხსენებით გამოდიოდნენ დეპუტატი-ქალები (17 ანუ 1,8 პროც.).

საანგარიშო მოხსენების გარშემო ყოველგან იმართებოდა ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდენ როგორც ღარიბი, ისე საშუალო გლეხობა, რაც შეეხება მოჯამაგირეებს, მათი მონაწილეობა, განსაკუთრებით კი მწყემსი მოჯამაგირეების, სუსტი იყო, ვინაიდან მათ ვერ შესძლეს უამინდობისა გამო გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ჯოგისათვის თავის დანებება.

საანგარიშო კრებებზე დასწრების საერთო [illegible] ასეთია:

საანგარიშო კამპანიას დაესწრო მამაკაცი 74,7 პროც. ქალი 25,2, ხმის უფლების მქონეთა საერთო რიცხვიდან კი 51,8; 1927 წლის არჩევნების დროს მამაკაცი 65,5 პროც. ქალი 37,7 ამომრჩეველთა საერთო რიცხვიდან კი 52,2.

როგორც მოყვანილ ცნობებიდან სჩანს, საერთოდ ამომრჩეველების დასწრება საანგარიშო კრებებზე, 1927 წლის არჩევნებთან შედარებით, რამოდენიმეთ შემცირებულია, რაც აიხსნება ქალების სუსტი მონაწილეობით დასახელებულ კრებებში.

უფრო სწორი იქნებოდა ამომრჩეველების დასწრების მხრივ უკანასკნელ და წინა საანგარიშო კრებების შედარება ერთი მეორესთან, მაგრამ წინა საანგარიშო კრებების შესახებ სათანადო ცნობები არ არის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თბილისის მაზრას, სადაც უკანასკნელ საანგარიშო კრებებზე ამომრჩევლების დასწრება გადიდებულია 5 პროცენტით წინა წლების საანგარიშო კრებებთან შედარებით (48 პროც. წინააღმდეგ 43-ისა).

ჩამოთვლილ მაზრებში საანგარიშო მოხსენების გარშემო აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღო 2521 ამომრჩეველმა.

როგორც შეკითხვით, ისე საკამათოთ გამოსული პირები უმთავრესად ეხებოდენ სოფლის საჭირბოროტო, პრაქტიკულ საკითხებს (გზა, სკოლა, თვითდაბეგვრა, წყლის გაყვანა, ჯანმრთელობა, საქონლის დაზღვევა და სხვ.).

აღნიშნულ ერთეულების საბჭოებიდან გაწვეულ იქნა 564 დეპუტატი; აქედან უკანასკნელ საანგარიშო კამპანიის დროს გაწვეულ იქნა 503 დეპუტატი, დანარჩენი კი მანამდე. ნახევარზე მეტი ამ დეპუტატებისა გაწვეულ იქნა სუსტად მუშაობისათვის (337 ანუ 59,8 პროც.). გაწვეულთა შორის არის: გლეხი 70,4 პროც., მუშა 5,1 პროც., მოსამსახურე 20,9 პროც., დანარჩენი 1,6 პროცენტი.

გ. ლეშკაშელი.

სათეატრო თათბირი

თეატრალური კრიტიკა

მომხსენებელი ამხ. ხ. ამაღლობელი

მომხსენებელი მიმოიხილავს უკეთეს თეატრალური კრიტიკის დღევანდელ მდგომარეობას საქართველოში და დაასკვნის: თუმცა თეატრალური კრიტიკა ჩვენში ვითარდება, მაგრამ მისი განვითარება საგრძნობლად ჩამორჩება ჩვენი სათეატრო კულტურის ზრდას,—მასების თეატრალურ განვითარებას. ჯერ-ჯერობით ჩვენში გაბატონებულია პროვინციული და პირადული მხატვრული თვალსაზრისი და არ არსებობს მტკიცედ ჩამოყალიბებული იდეურ-მხატვრული და მორალური საზომი. ამის გამო კრიტიკა იმ ხასიათ, როგორიც ჩვენში არსებობს, ვერ უწყობს ხელს სათეატრო პოლიტიკის სწორ გატარებას, თეატრის მხატვრულ იდეათა პოპულარიზაციას, ვერ აინტერესებს მაყურებელს სათანადოთ თეატრალური კულტურით. როგორი უნდა იყოს თეატრალური კრიტიკა და რა მიზანს უნდა ისახავდეს იგი? კრიტიკა ამა თუ იმ თეატრალური მოვლენის შეფასებას უნდა მიუდგეს სამი თვალსაზრისით: 1) რამდენად მისაღებია პიესა იდეურად, იძლევა თუ არა ის რაიმე საზოგადოების სასარგებლო იდეას (პოლიტიკურს, სოციალურს, ზნეობრივს); 2) რამდენად სწორად არის შესრულებული პიესა სცენიურად, ე. ი. რამდენად ჰპოულობს პიესა თეატრალური გაფორმების მხრით მხატვრულად შესაბამ და შესაფერ არტისტულ შემოქმედებას, რამდენად ყალიბდება პიესის ტიპები თეატრის მიერ სწორ, იდეურ, მხატვრულ სახეებში; 3) რამდენად მონახულია თეატრის მიერ გარკვეული თეატრალური ფორმა, როგორც დრამატურგისა და არტისტული შემოქმედების განუყრელი ნაწილი. ამ სამი თვალსაზრისით აღჭურვილი თეატრალური კრიტიკა გადამწყვეტ და სასტიკ ბრძოლას უნდა უცხადებდეს ისეთ რეპერტუარსა და მხატვრულ გაფორმებას, რომლებიც იძლევიან სასოწარკვეთილებას, ხარწმუნოებრივ ცრუმორწმუნოებას, ყოველგვარ მისტიკას, დაცემულობას, სულისკვეთებას, სქესობრივ ალვირ-ახსნილობას, ეროვნულ შუღლის და საერთოდ ძველი ყოფა-ზნეობის ზეგავლენას. საბჭოთა თეატრალური კრიტიკა უნდა ებრძოდეს აგრეთვე ბურჟუაზიული თეატრის დამახასიათებელ მოვლენებს: უმიზნო ტრიუკებს, ტეხნიკურ სირთულეს, ბუტაფორიულ ესტეტიზმს და იდეურ-მხატვრულად გაუმართლებელ დეკორატიულ კომბინაციებს და სხვ.

თეატრალურ კრიტიკის იდეურ-მხატვრული ხარისხის ასამაღლებლად, მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია პრაქტიკულ ორგანიზაციულ ღონისძიებების გატარება: თეატრალური კრიტიკოსების, თეორეტიკოსების და სათეატრო მოღვაწეთა გაერთიანება ერთ ასოციაციაში, რომელიც პერიოდული და სისტემატიური დისპუტებით, ლაბორატორიული მუშაობით, სპეციალურ საუბრებით საფუძველს ჩაუყრის თეატრის საკითხების კოლექტიურ დამუშავებას, შექმნის საზოგადოებრივ აზრს, რეცენზენტს გაუადვილებს საერთო თვალსაზრისის გამომუშავებას და სხვ. მომხსენებლის აზრით, ამ ასოციაციის წევრები უნდა დაუკავშირდენ საკლუბო თვით-მოქმედ თეატრებს იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყონ მათ მხატვრულ მუშაობას. ამავე ასოციაციამ უნდა გააერთიანოს პროვინციის თეატრალური კრიტიკოსები, და თუ ასეთები არ მოიპოვებიან, ასოციაციამ აუცილებლად უნდა მოაგვაროს პროვინციაში თეატრალური კრიტიკის საქმე.

მაგრამ, მომხსენებლის აზრით, აქ არსებობს ერთი საფრთხე,—სახელდობრ ის, რომ შეიძლება თეატრალური კრიტიკა გახდეს სპეციალისტთა ვიწრო ჯგუფის მონოპოლია. ეს რომ ასე არ იქნეს, საჭიროა შესწავლილ იქნეს ფართო მასების მოთხოვნილება. ამ მიზნით აუცილებელია მოეწყოს დისპუტები ცენტრალური აუდიტორიის სხვადასხვა ფენებში, (მუშებში, მოსწავლე ახალგაზრდობაში, ინტელიგენციაში, გლეხობაში და სხვ.) ეს ღონისძიება გააძლიერებს ფართო მასების ზეგავლენას თეატრების იდეურ მხატვრულ შემოქმედებაზე. საჭიროა გამოყენებულ იქნენ აგრეთვე მუშკორები და გლეხკორები, როგორც მუშათა და გლეხთა მასების სულისკვეთების გამოაშკარავების საშუალება.

ჯანსაღი და სერიოზული თეატრალური კრიტიკის საფუძვლის ჩასაყრელად აუცილებელია საერთოდ თეატრალური კულტურის ზრდა. ეს კი შესაძლებელია, თუ გახშირებული იქნება პერიოდულ გამოცემებში პრინციპიალურ თეატრალურ საკითხებზე წერილების მოთავსება, ცალკე წიგნაკების გამოშვება და სხვ. ჩვენი თეატრალური კრიტიკის უდიდეს ნაკლს წარმოადგენს რეცენზენტების ხშირი ცვლა და შემთხვევითი რეცენზენტების მუშაობა. გარდა ამისა, რეცენზენტები ხშირად არ არიან თავისუფალნი სხვადასხვა დაინტერესებულ ორგანოების გავლენისაგან. ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად მომხსენებელი მოითხოვს თეატრის რეცენზენტების კადრის ჩამოყალიბებას, რეცენზენტების დამოუკიდებლობის განმტკიცებას, და მათთვის მუშაობის ნორმალური პირობების შექმნას. არსად ისე შესამჩნევი არ არის თეატრალური რეცენზენტების და კრიტიკოსების სიმცირე, როგორც ჩვენში. აუცილებელია ამ საქმის პრაქტიკულად მოგვარება, რისთვისაც მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია მოეწყოს ერთ-დროული გადასამზადებელი კურსები სათანადო პროგრამით. ვინაიდან, ამბობს დასასრულ მომხსენებელი, პერიოდული პოლიტიკური გამოცემანი მოკლებული არიან საშუალებას დაუთმონ ადგილი თეატრალურ კრიტიკას, საჭიროა გამოცემულ იქნეს სპეციალური პერიოდული სათეატრო სახელოვნო ჟურნალი, რომელიც უნდა გახდეს თეატრალური პოლიტიკისა და კრიტიკის სახელმძღვანელო ორგანო რესპუბლიკის ფარგლებში.

კამათი

მომხსენებლის მიერ წამოყენებულმა დებულებებმა გამოიწვიეს გაცხოველებული კამათი. თითქმის ყველა ორატორი დაეთანხმა მომხსენებელს იმაში, რომ დღემდე ჩვენში არ არსებობს სერიოზული, მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებული თეატრალური კრიტიკა. ის, რაც ჩვენ პერიოდულ გამოცემებში იბეჭდება, ორატორთა დასკვნით, უფრო ამა თუ იმ დადგმაზე მიღებულ შთაბეჭდილებას წარმოადგენს, ვიდრე მხატვრული ფაქტის ობიექტიურ, მეთოდიურ შეფასებას. ხშირად, ერთ და იმავე გაზეთში, ერთ და იმავე დადგმაზე იბეჭდება ერთი მეორის საწინააღმდეგო რეცენზიები. ორატორები იზიარებენ მომხსენებლის წინადადებას რეცენზენტთა და თეატრ. კრიტიკოსთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ. მაგრამ ბევრ მათგანს საეჭვოდ მიაჩნიათ მიზანშეწონილობა ასოციაციის დაარსებისა, იმ მოსაზრებით, რომ ასეთი ასოციაცია შეზღუდავს თავისუფალ კრიტიკას და ხელს შეუშლის საზოგადოებრივი აზრის გამოაშკარავებას. ორატორები სრულიად მომწიფებულად სთვლიან საკითხს მუშათა და გლეხთა საზოგადოებრივი აზრის გამოსაშკარავებლად დისპუტების მოწყობის შესახებ მუშა, გლეხ, მოსწავლე მაყურებელთა შორის. რამოდენიმე ორატორი შეეხო აგრეთვე საოპერო კრიტიკის საკითხს. ქ. ფოცხვერაშვილის აზრით, განსაკუთრებით მოისუსტებს ჩვენში ქართული ოპერის კრიტიკის საქმე, რადგან ქართული ხალხური მუსიკის ხასიათს არ იცნობენ არა თუ ინტელიგენციის ფართო ფენები, არამედ თვით ის პირებიც, რომელნიც მუსიკალური კრიტიკოსების როლში გამოდიან.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ქ. მელვინეთ-უხუცესმა, ა. ვასაძემ, ქ. ფოცხვერაშვილმა, აკ. ფალავამ და აკ. ხორავამ.

საორგანიზაციო მუშაობის მორიგი ამოცანები სათეატ. დარგში

მომხსენებელი ამხ. თოხაძე

იმ დროს, როცა ჩვენი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყოველ დარგს, — ამბობს მომხსენებელი,—აქვს თავისი მუშაობის გარკვეული გეგმა, ჩვენი სათეატრო მუშაობა მოკლებულია ყოველგვარ გეგმიანობას. ეს დაუშვებელი მოვლენაა ჩვენს პირობებში, როცა ასეთი ჩქარი ტემპით იზრდება სათეატრო ხელოვნება. მართალია, სათეატრო მუშაობის ხელმძღვანელობისათვის განათლების სახალხო კომისარიატთან მოწყობილია ხელოვნების მთავარი სამმართველო, მაგრამ დღემდე შეუძლებელი შეიქნა სათეატრო დაწესებულებებზე გეგმიანი სისტემატიური ხელმძღვანელობის განხორციელება. დღემდე მოუწესრიგებელია ურთიერთობის საკითხი ხელოვნების მთავარ მმართველობისა და სათეატრო ორგანიზაციებს შორის. ხელოვნების მთავარი მმართველობა ყოველ წელიწადს ამუშავებს თეატრებისათვის საწარმოო გეგმას, მაგრამ მეტ წილად გეგმები შეუსრულებელი რჩება. ამ გარემოების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ სამზადისი მომავალი სეზონისათვის იწყება რამოდენიმე თვის მაგივრად ორი-სამი კვირით ადრე სეზონის დაწყებამდე. დასის შემთხვევითი შედგენა და განსაზღვრული ვადა შეუძლებელს ხდის იმ საწარმოო გეგმის განხორციელებას, რომელიც გულისხმობს დადგმებისათვის ხანგრძლივ სისტემატიურ მომზადებას. სრულიად დამოუკიდებელ მუშაობას აწარმოებენ მუშათა თეატრები, საკლუბო ესტრადები და ყველა ის სათეატრო დაწესებულებანი, რომელნიც მატერიალურად დამოუკიდებელი არიან განათლების სახალხო კომისარიატიდან. ისინი არ იცნობენ ხელოვნების მთავარ მმართველობის ხელმძღვანელობას. და ატარებენ იმ დაწესებულების მიერ ნაკარნახევ ხაზს, რომლისგანაც ისინი ნივთიერად დამოკიდებულნი არიან. (მაგალითად, თბილისის მუშათა თეატრი ექვემდებარება თბილისის ალმასკ. განათლების განყოფილებას, საკლუბო ესტრადები—[illegible] განყოფილებას [illegible]—პოლიტგანათლების მთავარ მმართველობას) ამის გამო ხშირად ადგილი აქვს პარალელიზმს სათეატრო დაწესებულებათა ხელმძღვანელობის დარგში. ამიერიდან ამ გარემოებას ბოლო უნდა მოეღოს. უნდა მოხდეს მხატვრული მუშაობის ხელმძღვანელობის კონცენტრაცია—ხელოვნების მთავარ მმართველობის ხელში,—მიუხედავათ იმისა, თუ რომელ დაწესებულებაზე იქნება მატერიალურად დამოკიდებული ესა თუ ის თეატრი.

ყოველი სახელოვნო დაწესებულება უშუალოდ უნდა დაექვემდებაროს ხელოვნების მთავარ მმართველობას და იმუშაოს მისი დირექტივების მიხედვით. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში სახელოვნო, და მათ შორის სათეატრო დაწესებულებათა მუშაობას მიეცემა გეგმიანი ხასიათი და ბოლო მოეღება დღემდე არსებულ პარალელიზმს.

შემდეგ მომხსენებელი ეხება რა უახლოეს ამოცანას, სათეატრო ხელოვნების დარგში, საჭიროდ სცნობს თბილისში მოწყობილ იქნეს მეორე ქართული თეატრი. საამისოდ ნიადაგი უკვე მომწიფებულია. ერთი რუსთაველის თეატრი ვერ აკმაყოფილებს საჭიროებას. არტისტულ-მხატვრული ძალები საკმარისი მოიპოვება. თეატრის მუშაობის მთავარი ცენტრი უნდა იქნეს მუშათა უბნები. რაც შეეხება პროვინციას, შეუძლებელია ყველა სამაზრო ცენტრებში მუდმივი დასის არსებობა, რადგან ამას დიდი ხასხარი სჭირია. პროვინციის თეატრის მაყურებელთა რიცხვი განსაზღვრულია, ამიტომ საჭირო ხდება მოკლე ხნის განმავლობაში რამოდენიმე პიესის მომზადება. ამით ზიანდება დადგმების მხატვრული ღირსება, ფულს კი ბევრს მოითხოვს. ყველა ეს გარემოება გვაკარნახებს რამოდენიმე სამაზრო ცენტრისათვის მოეწყოს მოძრავი დასი განსაზღვრული რეპერტუარით. ამ დასს დაეკისრება წარმოდგენის გამართვა იმ ადგილებში, სადაც იქნება წარმოდგენის ჩატარების ტეხნიკური შესაძლებლობა. მართველობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას შეადგენს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს რეპერტუარის საკითხს, როგორც თბილისის, ისე პროვინციის თეატრებმა წინდაწინ უნდა წარმოადგინონ რამოდენიმე თვით ადრე თავისი მუშაობის გეგმა. ვერც ერთი თეატრი მუშაობას ვერ დაიწყებს ისე, თუ დამტკიცებული არ იქნა მისი რეპერტუარი.

ხელოვნების მთავარ მმართველობას განზრახული აქვს ამ მოკლე ხანში გამოსცეს სარეპერტუარო ბიულეტენი, სადაც შეტანილი იქნება იდეოლოგიურად გამართლებული პიესები სათანადო ახსნა-განმარტებით და კომენტარიებით. თეატრებს დაევალებათ ბიულეტენის მიხედვით შეარჩიონ ისეთი პიესები, რომელთა დადგმის ტეხნიკური საშუალება მათ ექნებათ. ხელოვნების მთავარ მმართველობის ყურადღების გარეშე ვერ დარჩება ეროვნულ-უმცირესობათა თეატრებიც. მათ მიეცემათ დოტაცია და მათ მუშაობაში შეტანილი იქნება უფრო მეტი გეგმიანობა. მომავალი სეზონისათვის განზრახულია სომხური და თათრული თეატრები გადატანილი იქნენ იმ რაიონებში, სადაც ამ თეატრების მაყურებელთა მთავარი მასა მოსახლეობს. ყურადღება მიექცევა ეროვნულ თეატრების რეპერტუარის გაუმჯობესების საკითხს.

იმდენად, რამდენადაც ცირკი წარმოადგენს მასების მიმზიდველ სანახაობას, ჩვენ მას ვერ დავტოვებთ ჩვენი გავლენის გარეშე, ამიტომ მომავალი წლიდან განზრახულია ცირკში მოვსპოთ კერძო მოიჯარადრეობა და თვით ჩვენ ვიკისროთ მისი, როგორც ადმინისტრატიულ-სამეურნეო, ისე იდეური ხელმძღვანელობა.

შემდეგ მომხსენებელი ეხება კვალიფიციურ ძალების მომზადების საკითხს და აღნიშნავს, რომ სასოფლო თეატრების,—საკლუბო სცენების გამრავლება, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს ცხოვრებაში, მოითხოვს გაწვრთნილ მომზადებულ თეატრალურ მუშაკებს. იმ ძალებით, რომელიც ამჟამად გვყავს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლებელია. საჭირო ხდება თეატრალური ტეხნიკუმის გახსნა.

განათლების სახალხო კომისარიატს განზრახული აქვს მოაწყოს ასეთი ტეხნიკუმი, რომელსაც სამი დარგი ექნება: საკლუბო-საინსტრუქტორო, დრამატიული და სარეჟისორო. პირველ ხანებში გაიხსნება დრამატიული და საკლუბო-საინსტრუქტორო დარგები, შემდეგ სარეჟისორო, დასასრულ—მუსიკალური. გათვალისწინებულია აგრეთვე ამ ახლო მომავლისათვის საოპერო სტუდიის მოწყობა იმ ახალგაზრდობისათვის, რომელიც კონსერვატორიას ამთავრებს. ასეთი გზით ჩვენ შევსძლებთ ჩვენი ოპერისათვის უზრუნველვყოთ მომღერალთა კადრები, რომელთა მოწვევა ამჟამად მეზობელ რესპუბლიკებიდან გვიჭირდება, რაც ძვირად უჯდება სახელმწიფოს.

ამხ. თოხაძის მოხსენების გარშემო დაიწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

—:—

თათბირმა სომხეთის განათლების სახალხო კომისარიატს გაუგზავნა სამძიმრის დეპეშა სახალხო არტისტ სპენდიაროვის გარდაცვალების გამო.

მუშათა ცხოვრება

დღეს საღამოს 6 საათზე, რედაქციის ბინაზე შესდგება გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა ორგ. არსებულ მორიგე კედლის გაზეთების სარეცენზიო ბიუროს სხდომა. დღის წესრიგში სდგას თბ. ალმასკომის კედლის გაზეთის განხილვა. სხდომაზე უნდა გამოცხადდნენ სარეცენზიო ბიუროს ყველა წევრები და ალმასკომის კედლის გაზეთის სარედაქციო კოლეგიის წარმომადგენელი კედლის გაზეთით.

კედლის გაზეთი „წითელი პროლეტარი"

(ქუთაისი)

სადგ. ქუთაისის მტვირთველ მუშების კედლის გაზეთმა, „წითელ პროლეტარ"-მა გამოსვლა დაიწყო 1926 წლის 11 მარტიდან. პირველად კედლის გაზეთის გამოცემა ეკისრა 4 კაცისაგან შემდგარ სანიციატივო ბიუროს, რომელიც კარგა ხანი უშვებდა კედლის გაზეთს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ გაზეთის გამოცემის საქმე მაინც ვერ იყო სათანადოთ მოგვარებული. მთელი გაზეთი ივსებოდა ერთი ან ორი კაცის წერილებით.

ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მტვირთავი მუშები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებული კედლის გაზეთით. ამიტომ არც თავს იწუხებდნენ კედლის გაზეთისთვის რაიმე მასალის მისაწოდებლად. ერთი სიტყვით გაზეთი კარიკატიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ასეთ მდგომარეობიდან გაზეთი გამოიყვანა მტვირთველმა მუშამ ამხ. ბენია ტონიამ, ელენე მუსერიძემ და მიხა ხომასურიძემ. უკანასკნელების ენერგიული მუშაობით, კედლის გაზეთის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. უკანასკნელად გამოვიდა „წითელი პროლეტარი" მე-30-ე ნომერი. გაზეთი საუცხოვოთ მხატვრულად არის გამოცემული და შინაარსითაც დამაკმაყოფილებელია. კედლის გაზეთში უმთავრესად გაშუქებულია მუშათა ყოფა-ცხოვრების მტკივნეული საკითხები. მოთავსებული წერილები აღწევენ თავიანთ მიზანს, ადმინისტრაცია ყოველ წერილს ეხმაურება და ღებულობს სათანადო ზომებს ნაკლის გამოსასწორებლად. გაზეთი დაყოფილია განყოფილებებად. მუშათა—ცხოვრება, პოლიტიკური, ლიტერატურული, იუმორისტული და სხვა.

კედლის გაზეთთან ჩამოყალიბებულია მუშკორთა წრე, რომელშიაც ითვლება 30 მუშკორი, რასაც შესაფერისი ნაყოფი მოაქვს.

გარდა ამისა ქუთაისის სატრანსპორტო კავშირის სამაზრო განყოფილება ყოველმხრივ დახმარებას უწევს კედლის გაზეთს და ხელს უწყობს მის გამოცემას. ასეთია სადგ. ქუთაისის მტვირთველ მუშების კედლის გაზეთ „წითელი პროლეტარი"-ს მდგომარეობა.

ივანე ბუხაიძე.

უპატრონო ბავშვთა სასარგებლოდ

(დუშეთი)

უპატრონო ბავშვთა დამხმარე ფონდის გასაძლიერებლად, დუშეთის სამაზრო ქალთა განყოფილებამ, ქალთა კუთხეში, მოაწყო ფასიანი კონცერტი, 9 წლედის მოწაფეების და უპატრონო ბავშვთა ახალშენის ძალებით. სხვათა შორის კონცერტზე საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ახალშენის 5 და 6 წლიანი ბავშვების გამოსვლამ ცეკვა-თამაშში, სიმღერაში და ლექსებში, ბავშვები, თავიანთ ლექსებში მოუწოდებდნენ საზოგადოებას, რათა გაეწიათ დახმარება უპატრონო ბავშვებისათვის. საერთოდ კონცერტით საზოგადოება კმაყოფილი დარჩა. კონცერტის მთელი შემოსავალი გადაიდო უპატრონო ბავშვთა სასარგებლოდ. ურიგო არ იქნება, რომ ასეთი ბავშვთა თვითმოქმედების საღამო-კონცერტები ხშირად იწყობოდეს.

დელეგატი ქალი.

ჩვენი აღდგომა

(წერილი ხონიდან)

ქ. ხონის აბრეშუმის ძაფ-სალებ ქარხნის მუშები ღირსეულად გამოეხმაურენ სააღდგომო დღესასწაულს. ჯერ კიდევ ერთი კვირით ადრე აღდგომამდე, მუშებში ჩატარდა ანტირელიგიური კამპანია. კრებაზე მუშები აუარებელ შეკითხვებს აძლევდნენ მომხსენებელს რელიგიის წარმოშობისა და რელიგიურ დღესასწაულების შესახებ. რაზედაც მომხსენებელმა გასცა დამაკმაყოფილებელი პასუხი. მუშები ჰგმობდნენ რელიგიურ დღესასწაულს და მოითხოვდნენ მის გაუქმებას.

საერთო კრების გადაწყვეტილებით, 16 აპრილს, მუშებმა არ დაისვენეს და ჩვეულებრივად განაგრძეს მუშაობა. არც ერთი მუშა ამ დღეს არ დაჰკლებია წარმოებას. სამაგიეროდ მათ დაისვენეს და ფართოდ ჩაატარეს საერთაშორისო პროლეტარიატის დღესასწაული, პირველი და ორი მაისი. ასე შეხვდნენ ხონის აბრეშუმის ძაფ-სალებ ქარხნის მუშები რელიგიურ აღდგომასა და საერთაშორისო პროლეტარიატის დღესასწაულს.

ამით აღნიშნულ ქარხნის მუშებმა დაამტკიცეს, რომ პროლეტარიატის აღდგომა, არის ოქტომბრის დიდი რევოლუცია, რომელმაც საშუალება მისცა მშრომელ ხალხს თავისუფლად იდღესასწაულოს პირველი მაისი.

ვ. რატიანი.

მუშა მსახიობი

მშრომელი ხალხის გათვითცნობიერების საქმეში, დიდი მოღვაწეობა მიუძღვით სახალხო სცენის მუშაკებს. ასეთი მუშაკების შესახებ ბევრი დაწერილა და თეატრის ისტორიის ფურცლებზე არის აღნიშნული მათი მუშაობა და უნარიანობა.

ძნელი იყო იმ დროს სასცენო ასპარეზზე გამოსვლა განსაკუთრებით მუშებისათვის, რომლებიც ყოველმხრივ განიცდიდნენ დევნას და შევიწროვებას თვითმპყრობელობის მხრივ. მიუხედავად ასეთი დევნისა, მუშები მაინც თავგამოდებით ებრძოდნენ უსამართლობას და ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობდნენ თვითმპყრობელობის დასამხობად. ამ მიზნით მუშები, წმინდა პოლიტიკურ მუშაობის გარდა მშრომელ ხალხში აწარმოებდნენ კულტურულ მუშაობასაც და ასეთი საშუალებით აბამდნენ მშრომელთა ფართო მასას თავისუფლებისათვის მებრძოლის ფერხულში.

ამხ. ნ. მირველოვი

ერთი ასეთი მუშათაგანია ამხ. ნიკო მირველოვი, რომელმაც 25 წელზე მეტი, თავისი ცხოვრების საუკეთესო ხანა, სცენას და ხალხის გამოფხიზლების საქმეს შესწირა. ეს შრომა მას მიუძღვის განსაკუთრებით მუშათა უბნებში, სადაც ის დაუღალავ მუშაობას აწარმოებდა მუშათა მოსახლეობის გასათვითცნობიერებლად. მშრომელი მასა კარგად იცნობს ამხ. ნ. მირველოვს.

დღეს, 12 მაისს, სურსათ-გემოვნების კავშირი, ხელისუფლების სათანადო დაწესებულებებთან შეთანხმებით ამხ. ნიკო მირველოვს თბ. მუშათა თეატრში უმართავს სახალხო სცენაზე ხანგრძლივი მუშაობის საპატივსაცემო საღამოს.

იმედია თბილისის მშრომელი ხალხი თანაგრძნობით შეხვდება ამ საღამოს და დააფასებს ამხ. ნიკო მირველოვის 25 წლის უანგარო კულტურულ შრომას და პატივს სცემს მას.

მუშა ს. ლომთათიძე.

—:—

აგარაკ „სკურის" კეთილმოწყობა

ზუგდიდის მაზრა

1927 — 28 საბიუჯეტო წელში ზუგდიდის სამაზრო აღმასკომმა აგარაკ „სკური"-ს შესაკეთებლად გადასდო ხუთი ათასი მანეთი და უკვე შეუდგა აგარაკის კეთილ - მოწყობას. გასულ წელს აგარაკში აშენებულ იქნა ხუთასი კაცისთვის ბინა, მაგრამ მოაგარაკეებს ნახევრამდეც ვერ აკმაყოფილებდა. წელს უნდა აშენდეს ათასი კაცის ბინა. გასულ წლის ზაფხულში აგარაკ სკურით ისარგებლა ორი ათასამდე გლეხობამ და წელსაც უკვე იწყება ხალხის მისვლა - მოსვლა და მოძრაობა.

აგარაკ „სკურის" წყალი საინტერესოა შემდეგ ავადმყოფობის მქონე პირებისათვის; ვისაც აქვს: კუჭ - ნაწლავის კატარი, სასულე გზების ქრონიული ანთება, ჰაჭების და საშარდე ბუშტის დაავადება, აგრეთვე შვილის სხეულის ქარებს, ბავშვების რახიტს და სხვ.

წყალი შესდგება შემდეგი ნაწილებისაგან: მაგნის გადაყანგი, კალციუმის გადაყანგი, ალიუმინის გადაყანგი, რკინა მჟავა - ქლორი, გოგირდ - მჟავა, ნახშირ - მჟავა, „შეკრული" კრემნეზემი და სხვა მინერალებისაგან.

ნაყოფიერი ექსკურსია

საკმაოდ მცოდნე და გამოცდილი კოოპერატორების უქონლობის გამო, ჩვენი კოოპერატივის საქმიანობა ჯერ კიდევ საგრძნობლად მოიკოჭლებს. მართალია არსებობს კოოპერატიული კურსები, მაგრამ ეს კურსები ვერ იძლევიან სათანადო ცოდნით აღჭურვილ სპეციალისტებს. უნივერსიტეტის ეკონომიური დარგიც დღემდე უშვებდა მხოლოდ თეორიულად მომზადებულ მუშაკებს. ამ გარემოებას მიექცა სათანადო ყურადღება და ეკ. ფაკულტეტთან ჩამოყალიბდა კოოპერატიული განხრა, მაგრამ სტუდენტების პრაქტიკულად მომზადების საკითხი დღესაც მოუგვარებელია. პრაქტიკის გარეშე კი კოოპერატორ-ფინანსისტები, რაც უნდა მომზადებული იყვნენ ისინი თეორიულად, ვერ შესძლებენ ამ საქმის უნაკლოდ შესრულებას, რომელსაც მიანდობს მათ ჩვენი ხელისუფლება. ამიტომ სახ. უნივერსიტეტის ეკ. ფაკულტეტის კოოპერატიული დარგი, შეუდგა სტუდენტების პრაქტიკულ სამუშაოებზე გზავნას:

ამ მიზნით 28 აპრილს, შ. გოგებაშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო ეკ. ფაკულტეტის მეოთხე კურსის კოოპერატორთა ჯგუფის ექსკურსია სართიჭალის სამომხმ. კოოპერატივის, სასოფლო-სამეურნეო, საკრედიტო და მერძევეთა კოოპერატივების მუშაობის გამოსაკვლევად. სტუდენტობა დანაწილებული იქნა ჯგუფებად. ყველა მათგანს მინდობილი ჰქონდა სხვადასხვა საქმე. რევიზია იყო დოკუმენტალური და ეხებოდა კოოპ. მოქმედების ყოველ მხარეს.

ამავე დღეს, საღამოთ, გოგებაშვილის და ადგილ. მომხმ. კოოპ. თავმჯდომარის ამხ. შ. მთიკაშვილის თაოსნობით, ექსკურსია გაემგზავრა სოფ. ხაშმში, სადაც შესდგა ადგ. კოოპერატიულ წრის მეცადინეობა. უნდა აღინიშნოს, რომ წრის ყოველ წევრს საკმაოდ აქვს შეგნებული კოოპერაციის მნიშვნელობა და თეორიული კოოპერატორის მოვალეობა. მეცადინეობის დასრულების შემდეგ ლექტორი გოგებაშვილი, ესაუბრა წრის წევრებს, რომლის დროსაც ლექტორი აძლევდა ყოველგვარ ახსნა-განმარტებას წრის წევრთა შეკითხვებზე. მეორე დღეს, საღამომდე ექსკურსიამ კვლავ მოუხდა სართიჭალის კოოპერატივებში მუშაობა, რამაც შესაძლებლობა მისცა ექსკურსანტებს შეემოწმებინათ თუ რამდენად მომზადებული არიან ისინი კოოპერაციაში სამუშაოდ. ამ პრაქტიკულმა მუშაობამ დიდი სარგებლობა მოუტანა სტუდენტობას. საჭიროა, ასეთი მნიშვნელოვანი გამგზავრება ხშირად ეწყობოდეს.

სტუდენტები მადლობას უცხადებენ სართიჭალის სამომხმ. კოოპ. სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო კოოპ. და მერძევეთა კოოპერატივების თანამშრომლებს და ამ კოოპერატივების ხელმძღვანელებს, რომლებმაც აღმოუჩინეს ყოველგვარი დახმარება სტუდენტებს და მიაწოდეს საშუალება გასცნობოდნენ კოოპერაციის პრაქტიკულ მუშაობას.

შან—მანი.

მუშკორთა წერილებიდან

რკინისგზელთა პროფკავშირში

ამიერ-კავკ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით საგზაო კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნის თანამდებობაზე ნაცვლად ამხ. კოლოსოვისა წამოყენებულია ამხ. ფედოროვი (ბაქოს საუბნო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი) და ამიერ-კავკ. რკ. გზ. საგზაო შრომის ინსპექტორის თანამდებობაზე—ნაცვლად ამხ. სიზოტენკოსი—ამხ. ლ. გვაზავა.

—:—

ავადმყოფობა გაჩნდება. ვერის და კარლ მარქსის ხიდის შორის აღმასკომი აკეთებს ქუჩას. წყალდიდობის შემდეგ ამ ქუჩაზე დაგუბდა წყალი; გაჩნდა ბაყაყები, კოღოები და სხ. აღმასკომმა, თუ დროზე არ მიიღო ზომები, მოსალოდნელია რაიმე ავადმყოფობის გაჩენა.

თბილისელი.

უდიერად ეპყრობა. (ტყიბული). ტყიბულის მაღაროების აღმოსავლეთ უბანში მომუშავე უფროსი მუშა ჩუბინიძე, ძალიან უდიერად და უხეშად ეპყრობა მუშებს. ის ხშირად ლანძღვა-გინებითაც კი უმასპინძლდება მათ.

მეთვალყური.

თავის დროზე ვერ ღებულობენ. ფაბრიკა „ტრიკოტაჟი"-ს მუშები ვერც ერთ თვეში ვერ ღებულობენ დანიშნულ დროზე ჯამაგირს. ამის გამო მუშები ცოტა არ იყოს გაჭირვებულად ცხოვრობენ. კავშირმა უნდა მოაგვაროს ეს საკითხი.

მეჩოველი.

მოაწესრიგეთ ტრამვაის მოძრაობა. უკანასკნელ ხანებში ტრამვაის მოძრაობის წესი კვლავ ირღვევა, ხშირად ნახავთ, ერთი და იმავე ნომრის რამოდენიმე ვაგონს ერთი ერთმანეთზე მიმყოლს, ხშირად კი მთელი საათის განმავლობაში ვერ ეღირსებით ტრამვაის მოსვლას. დირექციამ უნდა მოაგვაროს ტრამვაის მოძრაობა.

მნახველი.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

ღარიბ გლეხობის ფონდი

ა.-კ. სახკომსაბჭომ ნება დართო საქართველოს სახკომსაბჭოს ღარიბი გლეხობის ფონდი გამოიყენოს ღარიბი გლეხობის ინდივიდუალურ მეურნეობებისათვის სესხის მისაცემად, მხოლოდ კოლმეურნეობათა სესხებზე დახარჯული უნდა იქნეს თანხების არა ნაკლებ 40 პროცენტისა.

რესპუბლიკანურ სახალხო კომისართა საბჭოებს დაევალათ, მომავალი წლის ბიუჯეტის შედგენის დროს, გაითვალისწინონ ღარიბი გლეხობის ფონდის გაძლიერების აუცილებლობა.

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს წინადადება მიეცა ღარიბი გლეხობის ფონდის გასადიდებლად მიიღოს ზომები სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ხაზით.

კარახანიანის დანიშვნა

ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით ამხ. ხაფარიანის მოადგილედ ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატთან არსებულ სალიცენზიო თათბირში დანიშნულია ამხ. კარახანიანი.

ს. დევდარიანის დანიშვნა

ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, ამხ. სეით დევდარიანი დანიშნულია ა.-კ. ფინსახკომთან არსებულ განსაკუთრებულ სავალიუტო თათბირის წევრად.

აკრძალვა

ა.-კ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ სახალხო კომისართა საბჭოს აკრძალონ საქველმოქმედო ლატარიებში მაგარი სასმელების გათამაშება.

მოკლევადიანი სესხი

ადგილობრივი მრეწველობის გასაუმჯობესებლად

ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ვ. ავაქოვის თავმჯდომარეობით შესდგა საუწყებათაშორისო კომისიის თათბირი მაზრების ადგილობრივი მრეწველობისათვის მიმდინარე წლის მესამე კვარტალში მოკლევადიანი სესხის დარიგების შესახებ. სულ მესამე კვარტალში (აპრილი, მაისი, ივნისი) ადგილობრივი მნიშვნელობის მრეწველობის გაუმჯობესებისათვის გადადებულია 730.000 მანეთი.

საუწყებათაშორისო კომისიის დადგენილებით, ახალქალაქის მაზრის მრეწველობისათვის გამოყოფილია 15.000 მანეთი, თელავის მაზრის მრეწველობისათვის—10.000 მან.

სამტრედიაში აგურის ქარხნის ასაგებ სამუშაოთა მოსამზადებლათ და აგურის თიხის დიდი რაოდენობით დასაგროვებლათ სამტრედიის აღმასკომს მიეცა 10.000 მანეთი. აღნიშნული თანხით უნდა მოხდეს აგურის ქარხნის ასაგები ადგილის გამოძებნა, მისი შემოზღუდვა, პროექტების დამუშავება და სხვა წვრილმანი სამუშაოები. კრედიტი განსაზღვრულია 5 თვის ვადით.

სიღნაღის სამაზრო აღმასკომს მიეცა 25.000 მანეთი სპეციალურად თამბაქოს ფაბრიკის „ალზიორას" გასაფართოებლათ. ამ მიზნით უნდა მოხდეს აგრეთვე ფაბრიკისათვის საჭირო ნედლი თამბაქოს მთელი რაოდენობის დამზადება.

კრედიტები უკვე გადაეგზავნათ ადგილებს. მესამე კვარტალისათვის გადადებული თანხიდან დარჩენილი ფონდი დარიგებული იქნება გრძელვადიან სესხათ.

ბავშვთა საერთაშორისო კვირეული

20 მაისიდან 28 მაისამდე ახ. ლენინური კომკავშირი ჩაატარებს ბავშვთა საერთაშორისო კვირეულს. კვირეულის ჩატარებაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე გან. სახალხო კომისარიატი, კულტურულ განმანათლებელი დაწესებულებები, პროფესიონალური კავშირები, პიონერთა ორგანიზაციები თავიანთი ცენტრალურ ბიუროს ხელმძღვანელობით, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სხვ.

კვირეულის ჩასატარებლად კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან დაარსებულია სპეციალური კომისია პარტიული კომიტეტის, ქალაქის აღმასკომის, პროფსაბჭოს, ჯანმრთელობის და განათლების განყოფილებების, „ბავშვების მეგობართა" საზოგადოების და ფიზკულტურის საბჭოს წარმომადგენლების შემადგენლობით.

ასეთივე შემადგენლობის კომისიები დაარსებულია მაზრებშიაც.

ბავშვთა საერთაშორისო კვირეული მიზნად ისახავს ბავშვთა სასწავლო-საგანმანათლებლო საქმის გაფართოებას, ბავშვების შრომის პრინციპებზე აზრდას, მათი ჯანმრთელობის, შრომისა და უფლებების დაცვას, ბავშვთა უმწეობასთან ბრძოლის გაღრმავებას, მავნე გავლენებთან და ჩვეულებებთან ბრძოლას და სხვ.

კვირეულის განმავლობაში მოხდება ბავშვთა ახალი მოედნების გახსნა, პიონერთა კოლექტივებთან სხვადასხვა სახელოსნოების მოწყობა, პარტიულ და პედაგოგიურ ძალების გამოყოფა პიონერთა ორგანიზაციების დასახმარებლად, თანხების გადადება პიონერთა მოძრაობის ხელმძღვანელ მუშაკთა მოსამზადებლად, საბავშვო ამბულატორიების და კლუბების გახსნა და სხვ.

კვირეულისათვის ფართოთ იქნება გამოყენებული, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი პრესა, კედლის გაზეთები, რადიო, კინო; კონ-სამკითხველოები და კლუბები. მოეწყობა სპეციალური მოხსენებები და საუბრები ბავშვთა ახალ პრინციპებზე აღზრდის შესახებ.

პიონერთა ორგანიზაციებში გაიმართება შესაფერი საღამო-წარმოდგენები, რომლებშიაც დახასიათებული იქნება კაპიტალისტურ ქვეყნებში მყოფ ბავშვთა ორგანიზაციების და ბავშვთა კომუნისტურ კავშირების მუშაობა.

კვირეულის დროს ბავშვთა შორის მოეწყობა ინტერნაციონალური შეწირულებათა შეგროვება (1 კაპ. 3 კაპ.-მდე) და აგრეთვე მოსახლეობის შორის იწარმოებს შემოწირულებათა შეგროვება ჩინეთის რევოლუციონური ბავშვთა და [illegible] პიონერთა ორგანიზაციების სასარგებლოდ.

მდგომარეობა ხორცის ბაზარზე

ხორცის ბაზრის მდგომარეობის და მომავალ პერსპექტივების გამორკვევის მიზნით, ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოში გუშინ შესდგა ხორცის დამამზადებელ და კოოპერატიულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირი.

„მიასოპროდუქტი"-ს წარმომადგენლებმა თათბირზე განაცხადეს, რომ ხორცის ბაზარზე შექმნილი მდგომარეობის საბოლოო ლიკვიდაცია მოხდება ივნისის პირველ რიცხვებში. გართულება ხორცის ბაზარზე გამოწვეულია იმით, რომ გასულ ხანგრძლივ ზამთრის და საკვების სიმცირის გამო დაწყდა საქონლის საგრძნობი ნაწილი, ხოლო დანარჩენი საქონლის დიდი უმეტესობა მეტად გამხდარია და უვარგისია დასაკლავად. ამჟამად თუმცა, საქონელი შეძენილია დიდი რაოდენობით, მაგრამ საჭიროა მათი გამოკვება, რასაც დასჭირდება საგრძნობი დრო. ამჟამად „მიასოპროდუქტის" განკარგულებაში იმყოფება 372 სული გამოკვებილი მსხვილ-ფეხა საქონელი, ამას გარდა თურქეთიდან შემოყვანილი იქნება 1500 სული მსხვილფეხა საქონელი, ამ რაოდენობიდან 700 სული შემოყვანილი იქნება მაისის დამლევამდე. ხოლო დანარჩენი 800 სული 15 ივნისამდე.

ვინაიდან ჩრდილო კავკასიაში საქონელი მეტად გამხდარი და გამოუკვებავია, იქიდან საკლავი საქონელი ჯერ-ჯერობით შემოვა მცირე რაოდენობით. საქონლის შეძენა სწარმოებს ადგილობრივაც. „მწყემსს" ამჟამად დამზადებული ყავს 132 სული მსხვილფეხა საქონელი. დამამზადებლები გაგზავნილი არიან საკლავი საქონლის შესაძენათ კალმიკთა ოლქში და შახტის რაიონში. „მწყემსი" საკლავ საქონელს ამზადებს ადგილობრივაც. ადგილობრივ დღიურათ მზადდება 10-დან 20 სულამდე.

ცხვრის დამზადება მეტად გაძნელებულია, ვინაიდან ზამთარში გაწყდა დიდძალი ცხვარი და მეცხვარეები ერიდებიან ცხვრის დიდი რაოდენობით შელევას, ამჟამად ცხვარს ყოველდღე იძენენ 60 სულამდე.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ ამ გართულების პირობებში „მიასოპროდუქტი" დღეში გამოიტანს ბაზარზე 450 ფუთიდან 500 ფუთამდე ხორცს, ხოლო მწყემსი 250 ფუთიდან 300 ფუთამდე.

კოოპერაციის წარმომადგენლების განცხადებით, საჭიროა მიღებულ იქნეს ზომები რაც შეიძლება უკეთესი ხარისხის ხორცის გამოსატანათ ბაზარზე.

თათბირმა საჭიროდ სცნო გაფართოებული იქნეს ადგილობრივად ცხვრის და ყარსის რაიონში მსხვილფეხა საქონლის შეძენა.

ქრონიკა

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმი

დღეს, შაბათს 12 მაისს, საღამოს 5 საათზე შრომის სასახლის დიდ დარბაზში შესდგება საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მე-6 მოწვევის მე-5 უკანასკნელი სხდომა.

დღის წესრიგში: ამხ. გ. ყურულაშვილის მოხსენება პროფინტერნის მე-4 კონგრესის შედეგების შესახებ.

სხდომაზე აუცილებლივ უნდა დაესწრონ კავშირების ცენტრალური გამგეობათა და ფაბქარხადგილკომების წევრები, და პროფრწმუნებულები.

შრომის დაცვის მუშაობის გასაძლიერებლად

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა და ა.-კ. პროფსაბჭომ წინადადება მისცეს აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის პროფსაბჭოებს და შრომის სახ. კომისარიატებს: გააძლიერონ მუშაობა შრომის დაცვის მუზეუმების მოსაწყობად, ფართოდ გამოიყენონ კინო-ფილმები უშიშროების ტეხნიკიდან, რეგულიარულად ჩაატარონ მოხსენებები და საუბრები უშიშროების ტეხნიკაზე, მუშების კრებებზე გაარჩიონ ტრავმატიზმის და პროფმოწამვლის ცალკე შემთხვევები და სხვ.

მრეწველობაში მომუშავეთა მომზადება

ს.შ.ს.ს. პრეზიდიუმის დადგენილებით 15 მაისიდან თბილისში გაიხსნება სამრეწველო დაწესებულებების (ფაბრიკა-ქარხნების, წარმოებების, ტრესტების და სხ.) დირექტორთა მმართველების და სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მყოფ მუშაკთა გადასამზადებელი კურსები.

კურსებზე მეცადინეობა იწარმოებს საღამოობით.

შეღავათები წითელ არმიას

კომუნალური სამსახურისათვის წითელ-არმიის შემადგენლობა სარგებლობს განსაკუთრებული შეღავათებით: თბილისში მდგომი ნაწილები 1 კილოუატსაათში ელექტრო-ენერგიაზე იხდიან 10 კ., ქუთაისში—19 კაპ., ახალციხეში—10 კ.; სოხუმში—15 კ. საქართველოს დანარჩენ ადგილებში—20 კ.

ყოველ 100 ვედრო წყალზე სამხედრო ორგანიზაციები იხდიან: თბილისში—30 კ., ახალციხესა და ბორჯომში—20 კ.; დანარჩენ ადგილებში—20 კაპ.

მასწავლებელთა მომზადება

განათლების სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა კოჯორში გახსნას სკოლის ჰასაკამდე აღზრდის დაწესებულებათა ხელმძღვანელების მოსამზადებელი კურსები. კურსებზე მიღებული იქნება 40 მსმენელი.

სამრეწველო დაწესებულებები

ამიერ-კავკ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ახლო ხანში დაარსდება სპეციალური ბიურო, რომელიც მეთვალყურეობას და ზედამხედველობას გაუწევს ამიერ-კავკასიის სამრეწველო დაწესებულებების მთელ საქმიანობას.

ბიურო ყოველთვიურად შეადგენს მასალებს სახელმწიფო ცენზიან მრეწველობის და აგრეთვე კოოპერატიულ და კერძო წარმოებების შესახებ. ბიუროში შევლენ: ამიერ-კავკ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის სამრეწველო და სტატისტიკურ-ეკონომიური სექციების და სხ. დაინტერესებულ დაწესებულებების წარმომადგენლები.

რიონჰესის საამშენებლო კომიტეტი

რიონჰესის საამშენებლო კომიტეტის წევრებათ დაინიშნენ: ფინანსთა სახ. კომისარი ამხ. მგალობლიშვილი, ამიერ-კავკასიის რკინისგზელთა გამგეობის თავმჯდომარე ამხ. პოზდეევი და საკავშირო სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის კანტორის გამგე ამხ. ფესიუკი.

სასაფლაოების დახურვა

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, 8 მაისიდან აკრძალოს მიცვალებულების დაკრძალვა შემდეგ სასაფლაოებზე: მთაწმინდაზე, დიდუბეში და ნიკოლოზის (ვერის) სასაფლაოზე.

ზარალი წყალდიდობისაგან

ქუთაისის წყალთა ოლქის ცნობებით, წელს წყალდიდობამ ქუთაისის მაზრას მიაყენა 160.000 მანეთის ზარალი.

თბილისის აღმასკომში

◆ **ტრამვაის ახალი ხაზი.** ამ დღეებში დაიწყებს ტრამვაის ახალი ხაზის გაყვანა მამუკას სოფლამდე.

◆ **წყალსადენი.** თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა კოჯორსა და კიკეთში გააყვანოს წყალსადენი.

◆ **მოძრავი ამბულატორია.** ჯანმრთელობის განყოფილება მაზრისათვის აწყობს მოძრავ ამბულატორიას.

◆ **„ტყის დღე".** საადგილ-მამულო განყოფილებამ გადასწყვიტა მაზრაში „ტყის დღის" და ტყეშენებლობის შესახებ ჩაატაროს ლექცია-საუბრები და იმავე დღეს დაიწყოს ახალი ტყეების გაშენება თემებში.

◆ **წყაროს წყალი.** ქალაქს ამჟამად დღიურად ეძლევა ნახევარი მილიონი ვედრო წყაროს წყალი.

შრ. სახალხო კომისარიატში

◆ **აბრეშუმის ქარხნებში** შრომის პირობების გამოსაკვლევად შრ. სახ. კომისარიატმა თელავში, ხონში, სამტრედიაში და ოზურგეთში მიავლინა სპეციალური კომისია.

◆ **საზოგადო სამუშაოები.** შრომის კომისარიატმა საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად გადასდო 20 ათასი მანეთი.

მიწად-მოქმ. სახ. კომისარიატში

◆ **ჩაის მოკრეფა.** სახ. მამულების ტრესტის ცნობით ჩაის მოკრეფა დაიწყო 4 მაისიდან. მოსავალი კარგია.

◆ **მეფუტკრეობის ინსტრუქტორული** კურსები, რომელიც მოწყობილი იყო სოფ. ზაისუბანში და წითელ წყაროში (სიღნ. მაზ.) დაამთავრა 75 გლეხმა.

◆ **საზეთილო პუნქტები.** მიწსახკომის დადგენილებით იალაღებზე ეწყობა მოძრავი საზეთილო პუნქტები.

განათლების კომისარიატში

◆ **8.000 მ. სკოლისათვის.** განსახკომის ცნობით, ხვარის გლეხობამ ახალი სკოლის ასაგებათ თავიანთი საშუალებებიდან გადასდო 8.000 მანეთი.

სხვადასხვა

◆ **„ზაკთიუზის"** მუშა-მოსამსახურეებმა თავის შეფობის ქვეშ მყოფ. სოფ. ანთოკის და მარიამჯვარისათვის (თბ. მაზ.) შეიძინეს სათიბველი მანქანები.

◆ **ანტირელიგიური დისპუტი.** კვირას, 13 მაისს საღამოს 7 საათზე განათლების მუშაკთა სახლში ურწმუნოთა კავშირი აწყობს ანტირელიგიურ დისპუტს თემაზე: „რელიგია და საზოგადოებრიობა".

◆ **ებრაელთა მიწებზე მოწყობა.** დღეს, საღამოს 6 ს. საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების საზაფხულო კლუბში ექიმი გოლდბერგი წაიკითხავს მოხსენებას: „ებრაელთა მიწებზე მოწყობის შედეგები და პერსპექტივები საბჭოთა კავშირში".

—:—

ხელოვნების ქრონიკა

◆ **კამერულ თეატრის** მიერ დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება: „ადრიენა ლეკუვრიერ".

◆ **მომღერალ ტომაშევიჩ-ყარაშვილის** კონცერტი გაიმართება 13 მაისს კონსერვატორიაში.

◆ **მუშათა ცენტრალურ კლუბის** საზაფხულო სეზონი გაიხსნება დღეს.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში** დღეს რუსი პოეტი კირსანოვი წაიკითხავს მოხსენებას მემარცხენე მწერლობაზე.

◆ **ამხ. მ. კახიანის სახ. კლუბი.** წითელ ქალაქში გაიხსნა ამხ. მ. კახიანის სახელობის კლუბი.

◆ **ჟიხარევას საგასტროლოდ.** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „მირრა ეფროს".

სასამართლო

„კაზინოს" მსხვერპლი

განიერ ცხოვრებას რომ კაცი შეეჩვევა, ისიც თანამდებობის პირი, ძალიან სახიფათოა.

„უჩვეველსა ნუ მიაჩვევ, შეჩვეულსა ნუ მიაკლებო", ლაპარაკობს ხალხური ანდაზა.

თუნდაც რომ თქვენ მიაკლოთ, თვითონ არ მიიკლებს. ნახავს სადმე ხვრელს, შეძვრება საკუჭნაოში და თქვენს საკუთარ დოვლათს გაგინადგურებს.

ვასილ ციციშვილი ერწოს თემის აგრონომიულ პუნქტის გამგე იყო 1927 წლის ოქტომბრამდე. არა უშავს,—კარგი თანამდებობაა! მხოლოდ ცოტა პასუხისმგებლობის შეგნებაა საჭირო. იმუშავე პატიოსნად და ბევრზე უკეთესად იცხოვრებ.

მაგრამ ციციშვილი შეეჩვია ფართო ცხოვრებას. საკუთარი საშუალებები, რომ ამოსწურა, სახელმწიფო ფული „წამოისესხა" სალაროდან. რა ვუყოთ მერე! დღეს ისესხა, ხვალ დაფარავს.

სამწუხაროდ, „ხვალ" დაფარვის მაგიერ კიდევ „წამოისესხა", რადგან „ოჯახური მდგომარეობა" მოითხოვდა. ოჯახი ვის არა აქვს, მოთხოვნილება ვის არ აქვს, მაგრამ შესაძლებლობის მიხედვით შეინახე თავი შენიო,—ასე ამბობს ჭკვიანი ხალხი. „ფეხი იმდენზე გამართე, რომ საბანი გეყოს".

დააკლდა ფული გამგეს. საჭიროა დანაკლისის შევსება, თორემ რევიზიამ ბევრს ქვა კუდით ასროლია.

ციციშვილმა გამონახა „უებარი" საშუალება დანაკლისის შესავსებათ. სალაროში მას კიდევ აქვს გლეხებისაგან იარაღების ქირის სახით შემოსული თანხა. გარდა ამისა თბილისის საადგილ-მამულო განყოფილებიდან გამოიტანა 1160 მანეთი.

ამ თანხით „კაზინოს" მოთამაშეებს სულ თვალებს დაუბრმავებს ციციშვილი. მოიგებს, უეჭველად, სიზმარი ნახა წუხელ ღამით!

აგროპუნქტი დაავიწყდა ციციშვილს. მას ახსოვს მხოლოდ „ფული ჩვენი არსებისა". სამეურნეო იარაღები ან აღებული ქირა, რას უშველის მის გაჭირვებას.

დადის და დადის კაზინოში. შევიდა აზარტში. რა ვუყოთ, რომ დღეს წააგო, ხვალ სამაგიეროთ იმასაც ამოიგებს და სახარჯოც დარჩება.

მეორე დღესაც წააგო. მესამე დღესაც ხელცარიელი დაბრუნდა.

ჯერ არა უშავს; დიდი თანხა არ წაუგია. წააგო სულ 246 მანეთი სახაზინო ფული.

ციციშვილს შეუძლია ამ თანხის გასამართლებელი საბუთი გააკეთოს. გაზეთში აცხადებს, რომ თბილისიდან ერწოში გამგზავრების დროს ამოართვეს ჯიბიდან საფულე 246 მანეთით, მოწმობები და საბუთები, მპოვნელს ჰპირდება ჯილდოს.

უკვე გაუსწორა ანგარიში სალაროს. ეხლა შეუძლია „პირნათლად" წავიდეს „კაზინოში".

გახდა „კაზინოს" ხშირი სტუმარი. წაგება გულს არ უტეხდა, ხვალის იმედი ჰქონდა ყოველთვის.

რევიზია რომ კარზე მიადგა, ციციშვილს 1191 მანეთი უკვე ჩაბარებული ჰქონდა „კაზინოში".

— ოჯახურმა მდგომარეობამ მაიძულა. თქვენ ასეთი პატიოსანი ხალხი ბრძანდებით! იმედია ნაწილ-ნაწილად დამიჭერთ ჯამაგირად,—ეუბნება ციციშვილი სარევიზიო კომისიის წევრებს.

მხოლოდ სისხლის სამართლის მილიციაში გამოტყდა ციციშვილი, რომ ეს 1191 მანეთი კაზინოში წააგო.

სასამართლომ ციციშვილს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და ერთი თვით.

—:—

„პეტრე-პავლობის" ბრალია

სოფელ ტახტისძირის (გორის მაზრა) გლეხობის ერთი ნაწილი, რომელსაც მუქთი ქეიფის და ცეკვა-თამაშის მეტი არაფერი აინტერესებს, არ ივიწყებს „წმ. პეტრეს და პავლეს" და ეკლესიის გალავანში მართავს მათ საპატივცემლო ნადიმს.

გასული წლის ივლისშიც ეკლესიის გალავანში ისმოდა ზურნის ხმა და ჩქარი ტაში.

ღვინით გაბრუებულ კოტე ყულუმბეგოვს ზურნის ხმაზე ცეკვის ხალისი გაეღვიძა.

უკვე ცეკვავს ერთი წყვილი. კოტემ მიფანტ-მოფანტა ყველანი. მოცეკვავეებს ჰკრა ხელი და შორს გაისროლა. კოტემ ჩამოუარა.

შეიქნა აყალ-მაყალი.

— ვინ არის ეს ოხერი, ჩვენს ზურნაზე რომ თამაშობს.

კოტემ დაატრიალა კეტი. ხალხი გაიქცა.

უკვე დაღამდა, კოტე თავის ამქრებით სეირნობს ეკლესიის გალავანში. უეცრად თავში დაეცა ქვა და გულწასული კოტე გაიშხლართა.

ასხეს წყალი. უქროლეს ჰაერი და მოიყვანეს გრძნობაზე. ადგა თუ არა კოტე ყულუმბეგოვი, ამოიღო ჯიბიდან დანა და გაექანა.

სად მიდის? არც მან იცის, ვინ გაუტეხა თავი.

უეცრად თვალი მოჰკრა ერთ მოქალაქეს, რომელიც ბნელში იდგა. ის იყო გაბო კოპაძე, რომელმაც ცეკვის დროს საყვედური უთხრა უთვითნებურად შემოჭრისათვის.

კოტემ ბევრი აღარ იფიქრა. აიღო დანა და ცხოველივით დაჰკლა გაბო კოპაძე.

ასეთი მსხვერპლი შეიწირა „პეტრე პავლობამ". ვფიქრობთ, რომ ტახტისძირელ გლეხებს ეს ეყოფათ გაკვეთილად და თავს გაანებებენ ასეთ მავნე ადათს.

კოტე ყულუმბეგოვს გორის სახალხო სასამართლომ მიუსაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გერ.

შემთხვევები

„სიყვარულის წამალი"

ზარამოვის ქ., (№ 33-ში), ცხოვრობდა სტეფანე იოსებისძე სტეფანოვი, რომელმაც უეცრ ხალხში სახელი გაითქვა, როგორც „მკითხავმა" კაცმა.

მკითხაობით რომ ხელი მოითბო, სტეფანოვი შეუდგა „სიყვარულის წამლის" დამზადებას და გაიჩინა მუდმივი საშემოსავლო წყარო.

სტეფანოვმა მოატყუა მრავალი მოქალაქე.

ამ რამოდენიმე ხნის წინად ამ ამბავმა მიაღწია სისხლის სამართლის მილიციის ყურამდე.

სტეფანოვი პასუხისგებაშია მიცემული. საქმე გადაეცა პროკურატურას.

დაჯახება

გუშინ, ავტომანქანა, რომელსაც მართავდა შოფერი ალ. ანანოვი, კომუნალურ ქუჩაზე (300 არაგველის ხიდთან) დაეჯახა მცირეწლოვან ს. ხუნიანცს და მსუბუქად დააშავა.

—:—

გუშინწინ ეტლი № 33 ნინოშვილის ქუჩაზე (სახლი № 21 პირდაპირ დაეჯახა 7 წლის კოტე შამილაშვილს (მცხ. ნინოშვილის ქ. № 50) და მძიმედ დააშავა. დაშავებულს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და გადაგზავნეს რესპუბლიკის საავადმყოფოში.

ნოხის ქურდი

გუშინწინ მეათე სამილიციო რაიონის მილიციელმა სარქისოვმა და არგუშინმა მეშვიდე სამილიციო რაიონის ფარგლებში შენიშნეს ეტლში მჯდომი ვიღაც უცნობი კაცი, რომელსაც მიჰქონდა ნოხები. მილიციელებმა, რომელთაც უცნობი მოქალაქე საეჭვოთ მოეჩვენათ, გააჩერეს ეტლი და მოქალაქე წარუდგინეს საგუშაგოზე მდგომ მილიციელს—ავეტისოვს. უკანასკნელმა დაპატიმრებული მოქალაქე ეტლით წაიყვანა კომისარიატში. მცირე მანძილის გავლის შემდეგ მოქალაქე გადახტა ეტლიდან და გაიქცა.

მიღებულია ზომები მიმალულ ბოროტმოქმედის დასაპატიმრებლად.

ნემსის და ქინძისთავის გადაყლაპვა

გუშინ შორაპნიდან თბილისში ჩამოიყვანეს ელენე გაჩეჩილაძე, რომელსაც შემთხვევით გადაუყლაპავს ნემსი და ქინძისთავი. გაჩეჩილაძის ქალი გადაიგზავნა ფიზიო-ტერაპევტიულ ინსტიტუტში.

გავშვის დაკარგვა

15 თებერვალს უგზო-უკვლოდ დაიკარგა დუშეთის მაზრის სოფ. თანიანთკარის მცხოვრები შალიკო ტატოს ძე თანიაშვილი, 14 წლისა.

ქურდობა

გუშინ გაქურდეს კონსტანტინე ადამიას ბინა (ლენინის ქ., 3);—წაიღეს 300 მანეთის საოჯახო ნივთები;—ქსენია ტროიცკის ბინის გაქურდვის ცდისათვის დააპატიმრეს რომანოზ დიმიტრისძე გიუშერი;—გაქურდეს ვერა მირონოვას ბინა (არაქელას ქ., 20);—წაიღეს 80 მანეთის ნივთები.

—:—

თბილისის სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ ქურდობისათვის პასუხისგებაში მისცა: სარქის კარაპეტისძე მანუკოვი და მირდენ ისააკისძე ხაიაშვილი.

—:—

გუშინწინ ღამით გაქურდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სავაჭრო მაღაზია (ლენინის ქ. № 29),—წაიღეს 4 ფუთი ძროხის ხორცი;—გაქურდეს ბუღდან მიკირტუმოვის დუქანი (ურიცკის ქ. № 10), წაიღეს 25 მანეთი, ამ საქმეზე დააპატიმრეს სოსო ონსპიანცი (მცხ. ურიცკის ქ. № 12);—გაქურდეს სოფიო შვარცის ბინა (სემიონოვის ქ. № 23), წაიღეს ოქროს სამაჯური, ამ საქმის გამო მილიციამ დააპატიმრა სუსიკა ავდოევა (მცხ. მნათობის ქ. № 24); გარდა ამისა, უკანასკნელ ორ დღეში ქალაქში ადგილი ჰქონდა წვრილი ქურდობის 7 შემთხვევას.

ქურდობის ცდისათვის გუშინ დააპატიმრეს ოგანეზ გიორგის ძე გულაფექაროვი.

სრ. საქ. ფიზკულტურის დღესასწაულისათვის

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა

გუშინ ამხ. ლ. ქართველიშვილის თავმჯდომარეობით შესდგა ფიზკულტურის პირველი დღესასწაულის ჩამტარებელ საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომელზედაც გარჩეული იქნა საქართველოს ფიზკულტურის პირველი დღესასწაულის მოწყობის საკითხი.

ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გ. ქავთარაძემ მოახსენა სხდომას, რომ აგვისტოსთვის დანიშნულია ფიზკულტურის საკავშირო დღესასწაული. წინასწარ დღესასწაულები მოეწყობა ადგილებზე—რესპუბლიკებში. საქართველოს ფიზკულტურის უმაღლეს საბჭოს განზრახული აქვს საქართველოს ფიზკულტურის დღესასწაული ჩაატაროს 3-დან 7 ივნისამდე. 23 ივნისს ჩატარებული იქნება ა.-კ. ფიზკულტურის დღესასწაული. მართალია, 1926 წელში ჩატარებული იქნა ფიზკულტურის დღესასწაული საქართველოში, მაგრამ ეს დღესასწაული ჩატარებული იქნა მკრთალად და ამიტომ საჭიროა მიღებული იქნეს ზომები, რომ წრევანდელ დღესასწაულში გამოაშკარავებულ იქნეს საქართველოს ფიზკულტურის ყველა მიღწევები.

დღესასწაულის ჩასატარებლად სახკომსაბჭოს მიერ გადადებულია 5.000 მანეთი.

თუ ვაკეს სტადიონი ტენისისათვის დამთავრებული იქნა, დღესასწაული გაიმართება ვაკეს სტადიონზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ლენინის სახელობის და „დინამო"-ს სტადიონზე.

სხდომამ გამოჰყო საორგანიზაციო ბიურო გ. ქავთარაძის (თავმჯდომარე), კიკნაძის (მდივანი), ლ. აბაშიძის, ეგნატაშვილის, ხმალაძის, კლემენტიევის, ფირალოვის, სააკიანის, ნესტეროვის, კვინიხიძის, მერკვილაძის, მათიკაშვილის, ხუმაროვის და გოთირგაძის შემადგენლობით.

ბიუროს დაევალა იშუამდგომლოს ა.-კ. რკინის გზის სამმართველოს წინაშე, რათა დღესასწაულის მონაწილეთ (400 კაცი) მიეცეს 75 პროცენტიანი შეღავათიანი სამგზავრო ბილეთი.

დღესასწაულის პოპულიარიზაციის მიზნით სახკინმრეწვს დაევალა რეკლამის მოწყობა ეკრანებზე.

დღესასწაულის მონაწილეთათვის გასართობების (საღამო, კონცერტი, კინო და სხვ.) მოწყობა დაევალა კომისიას ფ. კანდელაკის (თავმჯდომარე), მამულიას, იმედაძის და ფირალოვის შემადგენლობით.

დღესასწაულის ჩატარების გეგმა

3-დან 9 ივნისამდე თბილისში ჩატარებული იქნება სრულიად საქართველოს ფიზკულტურის პირველი დღესასწაული, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ყველა ავტონომიური რესპუბლიკები და მაზრები.

ფიზიკური კულტურის დღესასწაულის მიზანია: დემონსტრაცია ავტონომიურ რესპუბლიკების და მაზრების ფიზიკური კულტურის ორგანიზაციული ძალებისა; საზოგადოებრიობის და თვითმოქმედების გაღვიძება ფიზკულტურის ორგანიზაციებში; ფიზიკური კულტურის იდეის და ჯანმრთელ დარგების პოპულიარიზაცია; ავტონომიურ რესპუბლიკების, მაზრების და პროფესიონალურ კავშირების გუნდებს შორის პირველობის გამორკვევა ფიზიკური ვარჯიშობის სხვადასხვა დარგებში და სხვა.

დღესასწაულის პროგრამა იყოფა შემდეგ ნაწილებად: ა) სადემონსტრაციო მასიური ნაწილი, რომელსაც მიზნად აქვს ფიზიკური კულტურის მასიური ფორმების დემონსტრაცია და ფართო მასების შემოკრება; ბ) შეჯიბრებითი ნაწილი, რომელსაც მიზნად აქვს გამოარკვიოს რესპუბლიკური და საპროფკავშირო პირველობა კოლექტიური და ინდივიდუალური ხასიათისა, ტანვარჯიშის და ჯომარდობის სხვადასხვა დარგებში.

შეჯიბრებში მონაწილეობას იღებენ ყველა ავტონომ. რესპუბლიკები, მაზრები, პროფესიონალური კავშირები და წითელი არმია.

ავტონომ. რესპ. და მაზრები გზავნიან თითო კოლექტივს, კოლექტივი შესდგება 5 ვაჟისაგან და 3 ქალისაგან. პროფესიონალურ კავშირების ცენტრალური გამგეობები და თბილისის სხვადასხვა უჯრედები გამოჰყოფენ ორ-ორ კოლექტივს.

სროლაში მონაწილეობენ ყველა ავტონომ. რესპუბლიკები, მაზრები და პროფკავშირები, რომლებიც გზავნიან თითო კაცს განურჩევლად სქესისა.

ქართულ ჭიდაობაში მონაწილეობენ ყველა ავტონომ. რესპუბლიკები და მაზრები; ტანვარჯიშში—მონაწილეობენ მხოლოდ აჭარისტანი (5 კაცი), ქუთაისი, (9 კაცი) და თბილისი; მძლეოსნობა—მონაწილეობენ ყველა კოლექტივები; დამატებითი ადგილები ეძლევა აჭარისტანს, აფხაზეთს და ქუთაისს ათ-ათი კაცი (ორივე სქესის, ინდივიდუალურ დარგებში მონაწილეობისათვის); ძალოსნობა—ადგილები ეძლევათ აფხაზეთს, აჭარისტანს და ქუთაისს (რვა-რვა კაცი); ფეხბურთი—მონაწილეობენ თბილისი, აფხაზეთი, აჭარისტანი, ფოთი და გორი (13-13 კაცი); კალათბურთი—დამატებითი ადგილები ეძლევათ აფხაზეთს აჭარისტანს, ქუთაისს (8-8 ადგილი, ქალთა და ვაჟთათვის); ფრენბურთი (სპეციალური დამატებითი ადგილები არავის ეძლევა; ჩოგბურთი—მონაწილეობენ თბილისი და აჭარისტანი (2 ვაჟი და 1 ქალი); ველოსიპედი—(აჭარისტანს, ქუთაისს და აფხაზეთს ეძლევათ დამატებით თითო-თითო ადგილი); ფარიკაობა—(დამატებითი ადგილები არავის ეძლევა); გასამხედროებული გადარბენა.—(დამატებითი ადგილები არავის ეძლევა); ჭადრაკი და შაში—(აფხაზეთს, აჭარისტანს, ქუთაისს, ოზურგეთს, ზუგდიდს, ახალქალაქს, სამხრეთ ოსეთს და ფოთს თითო-თითო ადგილი).

თამბაქოს მეურნეობა

თამბაქოს მეურნეობის გასაფართოებლად გადადებულია 21.160.000 მ.—თამბაქოს მეურნე გლეხებს დესეტინა თამბაქოზე სესხად ეძლევა—270 მ.—აფხაზეთში წელს თამბაქოს პლანტაციები გაშენებული იქნება 8.000 დესეტ.—მეთამბაქოები მომარაგებული იქნება ფართლეულით და სურსათით

ამიერ-კავკ. და საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიების დადგენილებით ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თამბაქოს მეურნეობის და მრეწველობის გაფართოების საქმეს საქართველოში.

განზრახულია წელს თამბაქოს მეურნეობა იმ დონემდე იქნეს აყვანილი, რომ შესაძლებელი გახდეს თამბაქოს ქარხნების უზრუნველყოფა ადგილობრივი ნედლეულით და აგრეთვე გადიდებული იქნეს თამბაქოს ექსპორტი მეზობელ რესპუბლიკებში.

საქართველოში თამბაქოს მეურნეობის საუკეთესო რაიონად ითვლება აფხაზეთი, სადაც მოდის მეტად კარგი ღირსების თამბაქო.

აფხაზეთში თამბაქოს მეურნეობის გასაფართოებლად ამიერ-კავკ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გადასდო 2.160.000 მანეთი.

ეს თანხა გადადებულია მიმდინარე საოპერაციო წლის გეგმის მიხედვით და თამბაქოს მეურნეობაში დაბანდებული იქნება მოკლე ვადიანი სესხის სახით.

თამბაქოს მეურნე გლეხებს ყოველ დესეტინა თამბაქოზე სესხად მიეცემა 270 მანეთი. სესხი ეძლევა 8 პროცენტიან სარგებლის დარიცხვით.

რომ გაცემული სესხი მხოლოდ დანიშნულებისამებრ იქნეს მოხმარებული, ამისათვის გამომუშავებულია სპეციალური წესი, რომლის მიხედვით გლეხს, რომელიც მიღებულ სესხს არ მოახმარს თამბაქოს მეურნეობას, ფული გადახდება, როგორც კერძო ვალი შეღავათების მოუცემლად.

სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერატიულ ორგანიზაციებს დავალებული აქვთ თამბაქოს მეურნე გლეხებს მიაწოდონ სამრეწველო საქონელი და საჭირო სურსათ-სანოვაგე.

თამბაქოს ნათესების სივრცის გაფართოებასთან დაკავშირებით შრომის ორგანოებმა უკვე მოამზადეს საჭირო მუშა-ხელი და აგრეთვე მიიღეს ზომები პლანტაციებში მომუშავეთა შრომის პირობების დასაცავად.

წელს აფხაზეთში თამბაქოს პლანტაციები გაშენებული იქნება 8.000 დესეტინაზე.

ბრძოლა მალარიასთან

ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია ამ დღეებში შეუდგება მალარიასთან ბრძოლის საქმის გამოკვლევას ამიერ-კავკასიაში.

გამოკვლევის მიზანია გამორკვეული იქნეს, თუ რა ღონისძიებები ტარდება მალარიასთან საბრძოლველად, რა შედეგებია მიღწეული ამ დარგში და რა ზომები უნდა იქნეს მიღებული მალარიასთან ბრძოლის საქმის რაციონალურად დასაყენებლად.

ამისდამიხედვით, მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ შესწავლილი იქნება მალარიასთან მებრძოლ აპარატის სტრუქტურა, მისი მუშაობის მეთოდები და ტეხნიკა, არსებული კანონმდებლობა, სანიტარულ-განმანათლებელი მუშაობა, სამკურნალო-პროფილაქტიური ღონისძიებები, მალარიასთან ბრძოლის ფინანსიური ბაზა, რამდენად სწორად იხარჯება გადადებული თანხები და სხვა.

გამოკვლევის ობიექტებად დასახულია რესპუბლიკის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატები, წითელი ჯვრები და ნახევარ მთვარეები, ამიერ-კავკ. რკინისგზების ჯანმრთელობის განყოფილება და რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის სამმართველოები.

მუშაობის დამთავრება განზრახულია 15 აგვისტოსათვის.

გამომცემლობა „შრომა"

საქართველოს პროფკავშირების გამომცემლობა „შრომა" დაარსდა 1926 წელს. გამომცემლობის ძირითად მიზანს შეადგენს მკითხველი მუშა-მოსამსახურისათვის პროფესიონალური, პოპულიარულ-მეცნიერული და ბელეტრისტული ხასიათის წიგნების ხელმისაწვდომ ფასებში მიწოდება. გამომცემლობას დღემდე გამოცემული აქვს 200-მდე სხვადასხვა სახელწოდების წიგნი. უმეტესი ნაწილი „შრომის" მიერ გამოცემული წიგნებისა გასაღებულია მთლიანათ და ზოგიერთი წიგნი (მაგ. „სურამის ციხე") გამოცემული იქნა ორ ჯერ-სამჯერ. გარდა წიგნებისა, გამომცემლობა სცემს საქ. პრ. კავშირთა საბჭოს ყოველკვირეულ ჟურნალ „შრომას".

„შრომას" საგამომცემლო ნაწილის წლიური ბრუნვა უდრის 200.000 მანეთს, ხოლო სავაჭრო ნაწილის წლიური ბრუნვა 300-400 ათას მანეთს.

გამომცემლობას თავისი განყოფილებები აქვს ქუთაისსა და ჭიათურაში, ხოლო საგენტოები საქართველოს სხვადასხვა პუნქტებში 18 ადგილას.

გამომცემლობის პაიები წრევანდლამდე შეძენილი ჰქონდათ საქართველოს პროფსაბჭოს, საქ. შრომის სახ. კომისარიატს და ცალკე კავშირების ცენტრალურ გამგეობებს. მომავლისათვის განზრახულია გამომცემლობის პაიების გავრცელება მუშა-მოსამსახურეთა შორის. მუშათა ძირითად ორგანიზაციებსა და ცალკე მუშებისათვის დაწესებული იქნება ერთდროული საპაიო გადასახადი დაახლოებით 3 მანეთი.

გამომცემლობის წევრ მუშა-მოსამსახურეთ წიგნი მიეცემათ 40-50 პროცენტის ფასდაკლებით.

გამომცემლობა სცემს აგრეთვე ქართულ კედლის კალენდარს. მომავალი წლიდან ქართული კალენდარი ფასის მხრივ გათანაბრებული იქნება რუსულ კალენდართან.

„შრომას" გამოცემული აქვს მაქსიმ გორკის ოთხი სხვადასხვა მოთხრობა. ამჟამად იბეჭდება მისივე დიდი რომანი „დედა" და ლ. ტოლსტოის „აღდგომა".

რკინის გზებზე

სახალხო მატარებლების საზაფხულო მოძრაობის ცხრილი

ამა წ. 15 მაისიდან ამიერ-კავკ. რკინის გზებზე შემოღებული იქნება სახალხო მატარებლების მოძრაობის ახალი საზაფხულო ცხრილი.

15 მაისიდან ბათომისაკენ, ნაცვლად აქამდე მოძრავ ორისა, ივლის სამი წყვილი მატარებელი, ერთი მათგანი იქნება დაჩქარებული. მატ. № 9—10 (ბათომი-თბილისი) ყველა ადგილები პლაცკარტიანი იქნება. შემადგენლობაში ჩართული იქნება საძინებელი ვაგონი (ყოფ. საერთაშორისო საზოგადოებისა).

თბილის-ფოთის მიმართულებით ივლის ერთი წყვილი მატარებელი, ქუთაისში მიმავალი ვაგონებით.

თბილისიდან ბაქომდე ყოველდღიური მატარებლების რიცხვი უცვლელი რჩება, გადიდებული იქნება შემადგენლობა.

თბილის-მოსკოვს შორის მოძრავი დაჩქარებული მატარებელი 15 მაისიდან ივლის ყოველდღიურად.

მოსკოვ-თბილისის ჩქარი მატარებელი კვირაში ივლის ორჯერ. მესამე მატარებელი დაინიშნება თბილის-ლენინგრადის შორის. ასე რომ კვირაში თბილისიდან რუსეთისაკენ გავა სამი ჩქარი მატარებელი.

ჩამოთვლილი მატარებლების გარდა, ბაქოდან როსტოვის მიმართულებით ივლის კიდევ სამი წყვილი მატარებელი. მათგან ერთი კიევამდე, როსტოვზე და ნიკიტოვკაზე გავლით. ამ მატარებლების შემადგენლობებში იქნება ვაგონები, რომლებიც ივლიან შეპეტოვკამდე (პოლონეთის საზღვარზეა).

იმ შემთხვევაში თუ ამ მიმართულებით ადგილი ექნა მგზავრების დიდ მოძრაობას, დაინიშნება კიდევ ერთი წყვილი მატარებელი.

სომხეთისაკენ მატარებლების რიცხვი უცვლელად არის დატოვებული. მგზავრობის გაძლიერების შემთხვევაში გაუშვებენ დამატებით მატარებლებს თბილისიდან ლენინაკანამდე და ერევნიდან ნახიჩევანამდე.

კახეთისაკენაც მატარებლების რიცხვი გადიდებული არ არის. მოსალოდნელია დამატებითი ერთი მატარებლის დანიშვნა გურჯაანამდე, თუ მგზავრების რიცხვი გადიდდა.

ბორჯომისაკენ ყოველდღიურად ივლის ერთი მატარებელი № 19—20 გადიდებული შემადგენლობით. მგზავრებისათვის მეტი თავისუფლების მინიჭების მიზნით მათში ჩაურთავენ ყოფ. საერთაშორისო საზოგადოების საძინებელ ვაგონებს.

თუ ადგილი ექნა ამ მიმართულებით მგზავრების რიცხვის გადიდებას, დანიშნავენ დამატებით მატარებელს. გარდა ამისა, ექსკურსანტებისათვის,—პროფსაბჭოს და განათლების კომისარიატების ბილეთებით, გაუშვებენ სპეციალურ საექსკურსიო მატარებელს.

შაბათობით, კვირაობით, დასასვენებელ დღეებში და უქმე დღეების შემდეგ თბილისსა და გორს შუა ივლიან დამატებითი მატარებლები.

ამიერ-კავკ. რკინის გზების დანარჩენ შტოებზე სახალხო მატარებლების მოძრაობა გაძლიერებული იქნება. მათი მოძრაობა მტკიცედ იქნება შეთანხმებული მთავარ ხაზზე მოძრავ მატარებლების მიმოსვლასთან.

მგზავრობის გაადვილების და რაციონალიზაციის მიზნით, თბილისის სადგურში შემოღებული იქნება განათებული განცხადებები, რომლებიც უჩვენებენ მატარებლების გასვლის დროს, სადგურის განყოფილებების მდებარეობას, გასავალ-შემოსავალს და სხვა.

შპალების დამზადება

საკავშირო სატყეო სინდიკატმა მიიღო ამიერ-კ. რკინისგზის გზების წინადადება მომავალ წელში 400.000 ცალ შპალის მიწოდების შესახებ.

ამჟამად სინდიკატსა და გზის გამგეობას შორის სწარმოებს მოლაპარაკება ხელშეკრულების დადების გარშემო.

ორთქლმავლების შეკეთება

მომავალი წლის საექსპლოატაციო გეგმის მიხედვით ამიერ-კავკ. რკინის გზების სახელოსნოებში უნდა შეკეთდეს 70 ორთქლმავალი.

2 მილიონ მანეთის მასალის რეალიზაცია

გზათა კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით ამიერ-კავკ. რკინის გზების გამგეობას დავალებული აქვს გზის საწყობებში არსებული მასალების მარაგის რეალიზაცია.

ამა წლის 1 ოქტომბრამდე რეალიზაცია ქმნილი უნდა იქნეს 2.000.000 მანეთის მასალის მარაგი.

მეცნიერება და ტეხნიკა

გამჭვირვალე ლითონები

დოქტორი კარლ მიულერი შარლოტენბურგის (გერმანია) ლაბორატორიაში ამზადებს ოქროს, რკინის, ფოლადის და სხვ. ლითონების ისეთ თხელ ფირფიტებს, რომ მათ მეორე მხარეზე თავისუფლად შეიძლება ჩვეულებრივი ბეჭდვის წაკითხვა. ფირფიტები იმდენად თხელია, რომ ერთი მეორეზე დალაგებული ორი მილიონი ცალი ფირფიტა ერთ სანტიმეტრზე სქელი არ არის.

ქაღალდი ფოთლოვან ხეებიდან და ბალახიდან

გაზეთის ქაღალდის დასამზადებლად ხმარობენ წიწვიან ხეებს. ის ქვეყნები, რომლებსაც წიწვიანი ტყეები არ გააჩნია, იძულებული არიან სხვა ქვეყნებიდან შემოიტანონ საჭირო ქაღალდი. მაგრამ ის ქვეყნებიც კი, სადაც წიწვიანი ტყეები მრავლად მოიპოვება, ტყეების დაცვის მიზნით, საჭიროდ თვლიან სხვა წყაროების გამონახვას ქაღალდის დასამზადებლად.

ამ რამოდენიმე ხნის წინად შეერთებულ შტატებში გამოარკვიეს, რომ საგაზეთო ქაღალდის დამზადება ისეთივე წარმატებით შეიძლება ფოთლოვან ხეებიდან, როგორც წიწვიანიდან. უფრო მეტი, ფოთლოვან ხეებიდან დამზადებული ქაღალდი უფრო მაგარი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვეულებრივი.

ერთდროულად იტალიაში ინჟ. პომილიომ აღმოაჩინა წესი მშვენიერი ცელულოზის (ქაღალდის ნედლეული) დამზადებისა ბალახიდან, რომელსაც ესპარტო ეწოდება. ეს ბალახი მრავლად იზრდება ჩრდ. აფრიკაში და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში. ამჟამად აწარმოებენ ცდებს ქაღალდის დასამზადებლად ბალახიდან—ინჟ. პომილიოს წესით. თუ ცდებმა დადებითი შედეგები გამოიღო, აღმოჩენილ იქნება ნედლეულის დაუშრეტელი წყარო ქაღალდის მრეწველობისათვის.

მთვარე და საათი

მრავალი წლის დაკვირვებებმა, რომლებიც ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ფლოტის ობსერვატორიამ ჩაატარა, მოულოდნელად ცხადყვეს, რომ როცა მთვარე ცის კიდის დასავლეთ ნაწილში იმყოფება, საათი ანელებს თავის სვლას. რასაკვირველია, საათის მუშაობის ეს შენელება იმდენათ უმნიშვნელოა, რომ მისი შენიშვნა შეიძლება მხოლოდ სპეციალური ხელსაწყოების საშუალებით. მთვარის ყოფნა ცის კიდის დასავლეთ ნაწილში დღე-ღამის ერთ ნახევარს ახანგრძლივებს 0,005 (ხუთი მეათასედი) წამით, მეორე ნახევართან შედარებით.

ვარსკვლავთა რუქა

ოქსფორდის (ინგლისშია) უნივერსიტეტმა ორმოცი წლის მუშაობის შემდეგ დაასრულა ვარსკვლავთა რუქის შედგენა. რუქაზე შეტანილია 15 მილიონზე მეტი ვარსკვლავი. თვით რუქა 30.000 ნაჭრისაგან შესდგება და მის შედგენაში 20 მსოფლიო ობსერვატორიამ მიიღო მონაწილეობა.

ნარევი

გვირაბი ევროპასა და აფრიკას შორის

უკვე ასი წელიწადი სრულდება, რაც დრო-გამოშვებით აყენებენ საფრანგეთისა და ინგლისს შორის გვირაბის გაყვანის გეგმას. ტეხნიკის თანამედროვე განვითარების პირობებში ამ გეგმის განხორციელება არ წარმოადგენს სიძნელეს. დიდი ხარჯები, რომელსაც მოითხოვს ეს საქმე, რამოდენიმე წელში მთლიანად იქნებოდა დაფარული. მაგრამ ინგლისი ძლიერ თავდაჭერილად ეპყრობა ასეთ პროექტს, რადგან ეშინია, რომ გვირაბის გაყვანა საფრთხეს შეუქმნის მის განცალკევებულ მდგომარეობას.

სულ სხვა მდგომარეობაშია ჰიბრალტარის სრუტეს ქვეშ გვირაბის გაყვანის საკითხი. ამ გვირაბის პროექტი ზედმიწევნით არის დამუშავებული, მაგრამ მას საიდუმლოდ ინახავენ. ვიცით მხოლოდ, რომ გვირაბის გაყვანა შეიძლება ხუთ წელიწადში იქნეს დამთავრებული. გვირაბის სიგრძე იქნება 50 კილომეტრი და იგი გაყვანილი იქნება 400 მეტრის სიღრმეზე. გვირაბში ივლიან მატარებლები და ამრიგად შესაძლებელი გახდება ხმელეთით მოგზაურობა ევროპიდან აფრიკაში.

ამ უკანასკნელ პროექტთან დაკავშირებით გაზეთები იგონებენ ისტორიას, რომელსაც ამ 50 წლის წინად ჰქონდა ადგილი. იმ ხანებში სამხრეთ ესპანეთში გავრცელდა ხმა, რომ ესპანეთსა და აფრიკის ჩრდილოეთ ნაპირებს შორის არსებობს რაღაც საიდუმლო გვირაბი. გადასწყვიტეს შეემოწმებიათ ეს ხმები, რისთვისაც შემდეგ ორიგინალურ ხერხს მიმართეს: დაიჭირეს რამდენიმე მაიმუნი, გაუკეთეს ნიშანი და იქვე გაუშვეს. გავიდა ხანი და რამდენიმე ასეთი ნიშნიანი მაიმუნი შენიშნეს და დაიჭირეს მაროკოში. რადგან წარმოუდგენელი იყო, რომ მაიმუნებმა გადასცურეს სრუტე, დაუშვეს, რომ არსებობს წყალქვეშა გვირაბი, მაგრამ უკანასკნელის პოვნის ყველა ცდები უშედეგოთ დასრულდა. უკანასკნელ ხანებში გვირაბის აღმოსაჩენად მიღებულია ენერგიული ზომები და შესაძლოა, რომ საიდუმლო წყალქვეშა გზა, რომელიც ნაცნობია მაიმუნებისათვის, ადამიანისთვისაც მისაწვდომი გახდება.

პლეზიოზავრი

ინგლისში იპოვეს გაქვავებული ნაშთები უძველეს დროში მცხოვრები ცხოველის, რომელიც გარეგნულად ძლიერ წააგავს თევზს. ამ ქვეწარმავალს ეწოდა პლეზიოზავრი. მისი სიგრძე უდრის 5 მეტრს და ინგლისელ მეცნიერთა აზრით ცხოვრობდა 130.000.000 წ. წინად. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პლეზიოზავრს აშკარად აქვს მესამე, განუვითარებელი თვალის ადგილი. ეს აღმოჩენა ნაწილობრივ ნათელს ფენს ხერხემლიანთა მხედველობის ორგანოების ევოლუციას.

რამდენი სისხლია ადამიანის ორგანიზმში

სისხლის რაოდენობა ორგანიზმში უმთავრესად დამოკიდებულია ტანის სიდიდეზე. საშუალოდ ადამიანის ორგანიზმი შეიცავს ხუთ ლიტრ სისხლს.

ავიაქიმში

თავდაცვა-ავიაქიმის პლენუმი

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის პლენუმი მოწვეულია თბილისში 28 მაისისათვის. პლენუმის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: საერთაშორისო მდგომარეობა და თავდაცვა-ავიაქიმის ამოცანები, საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმის და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება, პრეზიდიუმის არჩევნები.

პლენუმზე დასასწრებლად პროვინციიდან გამოწვეულია 40 ამხანაგი.

ამხ. ლ. აბაშიძის დანიშვნა

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის პრეზიდიუმის დადგენილებით ამხ. ლ. აბაშიძე დანიშნულია ავიაქიმის საავიაციო ქიმიურ თავდაცვის სექციის თავმჯდომარეთ.

ქიმიური რაზმები

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმი შეუდგა ქიმიურ რაზმების მოწყობას თბილისში. შექმნილი იქნება სულ ოთხი რაზმი. 1-ლ, მე-2-ე, მე-3-ე და მე-4-ე, რაიონებში. თითო რაზმში იქნება 162 კაცი. რაზმების შედგენა უნდა დამთავრდეს მიმდინარე წლის 1-ლ ივნისისათვის.

ფეხბურთი

კალენდარული შეჯიბრები

კვირას, 13 მაისს, გაიმართება შემდეგი კალენდარული შეჯიბრები:

ლენინის სახელობის სტადიონზე: დილის 8 საათზე—საბჭოთა მუშაკების მეორე გუნდი—პლეხანოვის სახელობის პირველი გუნდი; მსაჯი—ა. იოსავა. დილის 10 საათზე: „ძაფის ფაბრიკა"—„მუშათა ცენტრალური კლუბი—„პირველი"; მსაჯი—გავრილოვი.

ნაშუადღევის 3 საათიდან თამაშობენ პირველი კატეგორიის გუნდები. 3 საათზე: „დინამო—ა"—„საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტი". მსაჯი—შიოშვილი. 5 საათზე: „დინამო—ბ"—„გემო-კვების მუშაკები"; მსაჯი—ა. იოსავა.

„დინამო"-ს სტადიონზე: დილის 11 საათზე: „რკინისგზის მე-10 პოლკი"—„არსენალი—მეორე"; მსაჯი—ფარულია. დღის პირველ საათზე! „რკინისგზელთა საფაბრიკო-საქარხნო სკოლა"—„კომუნალური მუშაკები მეორე"—მსაჯი—ორეხოვი. ნაშუადღევის 3 საათზე: „საამშენებლო ტეხნიკუმი"—„პლეხანოვის სახელობის მეორე გუნდი; მსაჯი—კრავჩენკო. 5 საათზე: „მედსანშრომა—პირველი"—„მანგლისი"; მსაჯი—კუზნეცოვი.

ლენინის სახელობის სტადიონზე მორიგე გუნდათ დანიშნულია რკინისგზის მე-10 პოლკი.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 12 მაისი

დღეს, 12 მაისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება ქართულ ენაზე.

გაზეთი „ახალი სოფელი"—ქართულ ენაზე საგლეხო სესხის გასაღების შედეგები—ქართულ ენაზე.

„ზაკსელმაშ"-ის მოხსენება ქართულ და რუსულ ენებზე.

გაზ. „ენიკენდი"—თურქულ ენაზე.

მოხსენება ციკლიდან: „უცხო სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა"—რუსულ ენაზე.

გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები—რუსულ და ქართულ ენებზე.

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

ამიერ-კავკ. დეპეშათა საგენტოს ინფორმაცია.

—:—

თბილისის რადიო-კვანძი შეუდგა გაზ. „რადიო-გაზეთი რადიოთი"-ს გამოცემას; გაზეთს ექნება შემდეგი განყოფილებები: რადიოტეხნიკის მიღწევები, მოკლე ტალღების განყოფილება, რადიო-ცხოვრება საზღვარგარედ, რადიო-მშენებლობა საბჭოთა კავშირში და ფოსტა.

გაზეთი გადაცემული იქნება რადიოთი კვირაობით საღამოს 7 საათიდან.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 12 მაისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგი პროფესიის უმუშევართ: **კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან:** ივანე აღლაძე, ტარასი ნეცურიანი, სერგო სბარშიკოვი, სიმონ ბზია და ალექსი გელიტაშვილი; **გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან:** სვიმონ ცირღილაძე, ევდოკია იაკოვლევა, ვლადიმერ ალიოხინი, ამაიაკ ტიჩიკიანი, მიკირტიჩ მარმაროვი, ივანე ესაკია, ოლღა ნიჟარაძე, თამარ გრძელიშვილი, ანა შკინინა, ოლღა კუზნეცოვა, ანატოლ სვანიძე, ილია მახარაძე, ვლადიმერ ქინქლაძე, ელიოზ დარახველიძე და ანა დარახველიძე; **მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან:** ალიმამედ-ოღლი, სადიხ-გასან-ოღლი და ანდრონიკ შამანაძე; **მედსექციიდან:** დავით როზენბლატი; **რკინისგზელთა მეშვიდე სექციიდან:** ესტატე ბერიაშვილი, გრიგოლ უსამაშვილი, ვლადიმერ დემეტრაშვილი და იოსებ ბოჭორაძე.

იურიდიული რჩევა-დახმარება

საფოსტო კორესპონდენციის სოფლად დამტარებელს №№

თუ იმ დროს როცა თქვენ იყავით გაწვეული წითელ ჯარში (ცვალებად შემადგენლობაში), თქვენი ტოლები, ჩარიცხულნი მსროლელთა ნაწილების საკადრო შემადგენლობაში, არ იყვნენ გაშვებულნი გრძელვადიან შვებულებაში, ხელფასი თქვენ არ შეგენახებათ. თქვენ უნდა მიგეღოთ მხოლოდ დახმარება ორი კვირის ხელფასის რაოდენობით, ხოლო თუ იმ დროს თქვენი ტოლები გაშვებულნი იყვნენ გრძელვადიან შვებულებაში, თქვენ გაქვთ უფლება მიიღოთ თქვენი თვიური საშუალო ხელფასი: (ს.ს.რ.კ. შრომის სახ. კომ. ინსტრუქციის მუხ. 30 და 33).

არჩილ გორგაძეს

თუ თქვენ, როგორც ანგარიშის გამგეს, სამსახურით გევალებათ სხვაგან წასული უბნის უფროსის მაგიერობა, თქვენ არავითარი განსხვავება არ გერგებათ უბნის უფროსის მაგიერობის გაწევისათვის, ხოლო თუ უბნის უფროსის მაგიერობის გაწევა არ შეადგენს თქვენს სამსახურებრივ მოვალეობას, იმ შემთხვევაში უნდა მიიღოთ ის განსხვავება, რაც არის თქვენი ძირითადი სატარიფო განაკვეთისა და უბნის უფროსის ძირითადი სატარიფო განაკვეთის შორის. (ამიერ-კავკ. შრომის სახ. კომის. დადგენილება № 9 1926 წ. 10 თებ.)

კავშირის წევრს № 585. ვასილ ჩხეიძეს (თელავი)

ვმსახურობდი [illegible] დაწესებულებაში [illegible] სამ. ბრალდება, რისთვისაც გამომძიებელმა გადამაყენა სამსახურიდან, მე თავს დამნაშავეთ არ ვგრძნობდი და ველოდი საქმის გარჩევას, მაგრამ ახლა გამომძიებელმა საქმე ამნისტიის ძალით მოსპო, მხოლოდ სამსახურში დაბრუნებაზე უარს მეუბნება. ჩემი სამსახურიდან გადაყენების დღიდან ორი თვე შესრულდა გ. წ. 2 დეკემბერს. გთხოვთ ახსნა-განმარტებას თუ როგორ მოვიქცე.

პასუხი:

იმ დროიდან, როცა ამნისტიით საქმე მოისპო, სახალხო გამომძიებლის დადგენილებას თქვენი სამსახურიდან გადაყენების შესახებ ძალა აღარ აქვს. ამის გამო, თუ გამომძიებლის მიერ თქვენი სამსახურიდან გადაყენების დღიდან საქმის მოსპობამდი არ გასულა ორი თვე, თქვენ სამსახურიდან დათხოვნილი ვერ იქნებით და უფლება გაქვთ მოსთხოვოთ დაწესებულების ადმინისტრაციას სამუშაოზე დაშვება. თუ ადმინისტრაცია თქვენს მოთხოვნას არ შეასრულებს, შეგიძლიათ მიმართოთ შრომის სასამართლოს.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 29

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

სტუდენტთა „დამხმარე კვირეულის" მოწყობის შესახებ

1. საქართველოს რესპუბლიკის ყველა ქალაქში მოწყობილ იქნეს სტუდენტთა „დამხმარე კვირეული" ამა წლ. მაისის 13-დან 20-მდე.

2. ამ „კვირეულის" სასარგებლოდ დაიბეგროს სამი დღით:

ა) ყველა სანახაობასა და გასართობზე (კინო, ცირკი, თეატრი და აზარტული სათამაშო) შესასვლელი ბილეთები ამ ბილეთების ღირებულების ათი პროცენტის რაოდენობით;

ბ) ყველა რესტორანი და სასტუმრო, მისი საშუალო დღიური ბრუნვის მიხედვით ათი პროცენტის რაოდენობით;

გ) ქალაქ თბილისის გოგირდის აბანო—ათი პროცენტის რაოდენობით.

3 მოეწყოს რესპუბლიკის მთავარ ქალაქებში, სადაც ეს შესაძლებელი იქნება, ყულაბებით ფულის შეგროვება.

4 სამაზრო ქალაქებში მოეწყოს კონცერტები—სტუდენტთა ძალების მონაწილეობით.

5 ამა დადგენილებაში აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება დაევალოს სტუდენტთა „დამხმარე კვირეულის" მთავარ კომიტეტს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—შ. მათიკაშვილი.

1928 წლ. მაისის 11.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 12 მაისს, საღამოს 6 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მუშა-გლეხ-ქალთა განყოფილებაში თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების თბილისის საბჭოში ამხ. ბელიაევსკისთან შესდგება ქალთა სექციების თათბირი, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: დვალი (ტრამვაი), ავრაპოვა (მაკარონის ფაბრიკა), რიზაევი (საპონზეთი), იაგნეტინსკაია, ხალტურინა, გლაზოვა, ჯალალოვა, ფ. გეგეშიძე, კატო მიხაილოვა, ჩილ-აკოპიანი, ლ. ანდრიაძე, მეიფარიანი (რაიონულ საბჭოს პ.-მ. მდივანი), კოჩიევი (მე-2-ე რაიონულ საბჭოს პ.-მ. მდივანი), გნატიუკი (მე-3-ე რაიონულ საბჭოს პ.-მ. მდივანი), საბუროვი და იაგნეტინსკი (მეოთხე რაიონულ საბჭოდან).

—:—

დღეს, 12 მაისს, დღის 2 საათზე, შესდგება სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტ. პარტკოლექტივის ბიუროს კრება. დასწრება

—:—

სახ. უნივერსიტეტის ახ. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი იტყობინება, რომ დღეს, 12 მაისს, საღამოს 5 საათზე შესდგება სოც. ეკონომიურ ფაკულტეტის მე-3-ე და მე-4-ე უჯრედის ბიუროს სხდომა.

ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ მე-4 კურსზე მყოფი კომკავშირელები.

ხონის პედტეხნიკუმის მსმენელები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარი ამხანაგის მეორე კურსის მსმენელის

დომენტი (მიტუშა) დომენტის-ძე წივწივაძის

ტრაგიკულად გარდაცვალებას, დაკრძალვა შაბათს, 12 მაისს, 3 ს., ქ. ხონში. ნ. 1074

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი: დედა ფეოდოსია და მამა ივანე ტყეშელაშვილი შვილებით—მარიამი და ნინოთი აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 10 მაისს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

თამარ ივანეს ასული ტყეშელაშვილი

დაკრძალვა მოხდება კვირას, 13 მაისს, ნაშუადღევის 3 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 7 საათზე, საკუთარ ბინაზე—ორჯონიკიძის (ანდრეევის) ქუჩა № 149. (ე)

ღრმად დამწუხრებულნი დები: ლიზა გეგელიასი, ეფროსინე ნაკაშიძე შვილებით და მატრონა ქუთათელაძე შვილებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ ამა წლის 8 მაისს გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

მიხეილ ნიკოლოზის-ძე ქუთათელაძე

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 13 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე, ქ. ხონში ქარჩხაბის სასაფლაოზე. 2337

თავზარდაცემული დედა მატრონა, მამა კონსტანტინე, და ნინო და ძმა ნიკოლოზ სანოვები, ბებია მაკრინე. დეიდა მაშო და ბიძა კონსტანტინე ლორთქიფანიძე აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

თამარ სანოვი

ჩამოსვენება ქუთაისიდან—კვირას, 13 მაისს, დილის 10 საათზე. დასაფლავება ვერის ახალ სასაფლაოზე. ნ. 1076

სამუდამოთ გულდათუთქულნი მშობლები: დედა მაკრო, მამა რაჟდენი, ძმები: შალვა და არჩილ, და ქსენია ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ მათთვის საყვარელი

ზეინაბ (ზინა) რაჟდენის ასული ჯალიაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად, კვირას, 13 მაისს, გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე, საღამოს 5 საათზე. 2342

სახკინმრეწვის კინოები

აპოლო	პარიზის უკანასკნელი ახალი სურათი	ორი ქმარის ცოლი
არფასტო	მეორე კვირა	გორა — დადგმა რეჟისორ— კ. მარჯანიშვილის.
სოლეი	უცხოეთის მხატვრული სურათი	„სიკვდილი მასკარადზე"
ოდეონი	უკანასკნელად თბილისში	„ნამდვილი მამაკაცი" კარმენ ბონის მონაწილეობით
დარბაზი	პირველად თბილისში მხატვრული სურათი	„ახალი ქარი"
პროლეტარი ავლაბარი	მხატვრული დრამა	ტარას ტრიასილო

ანონსი: მალე საქართველოს სახკინმრეწვის მხატვრული სურათი „ბოშური სისხლი" 0—8

საქართველოს სახკინმრეწვის ახალი სურათი
ორშაბათიდან, 14 მაისიდან
კინო-თეატრებში
პალასი—მინიონი—სოლეი
მხატვრული სურათი
„ბოშური სისხლი"
რეჟისორი—ლ. პუში,
ოპერატ.: გალპერინი და კალატოზიშვილი
მთავარ როლებში:
მარია შირაი
კოტე მიქაბერიძე
ა. თაყაიშვილი
ნ. 1078

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ კვირას, 13 მაისს და სამშაბათს 15 მაისს დილის 10 საათზე, სასახლის ქ. № 3 ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლად დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
გაიყიდება შიფონერკები, ტუალეტები, ბუფეტები, სკამები, მაგიდები, კამოდები, ხალიჩები, საგალანტერეიო საქონელი. ნ. 1077

ინვალიდთა ნადი „დახმარება"
ამით აცხადებს, რომ ნადის წევრთა საერთო კრების დადგენილებით ხდება „დახმარება"-ს ლიკვიდაცია.
სალიკვ. კომის. წევრებათ არჩეულია ტუხაშვილი, ბესტავაშვილი, კურცხალია და ჩუბინიშვილი. პრეტენზიები დაინტერესებულ პირთა და ორგანიზაციებისაგან მიიღება ერთი თვის განმავლობაში—დუმბაძის ქუჩა № 12.
ნად „დახმარება"-ს მმასახლისი ლ. ტუხაშვილი. 2343

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღი 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—სად. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—6

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8
ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5
მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—11

დაკარგვა: პარტიული ბილეთი № 0864621, იარაღის ტარების მოწმობა და პირადობისა პარმენ გელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2340

ექიმი
ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი
ავადმყოფების მიღება ფსიქოტერაპიის დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით.
საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ეორესის ქ. კუთხე.

თვალის საავადმყოფო
მუდმივ საწოლებით და ამბულატორიით. ლებულობენ ექიმები:
ა. ნ. შატილოვი
საოპერაციო დღეებში
ა. გ. მალაევი
დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფობის მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90. 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.

ექიმი
ა. დ. პეპელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9 12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ 25—1 ტელ. 12—7

დაკარგვა: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № [illegible]— შალვა ფერია[illegible]შვილის სახელზე, ჩ. გ. 234

მთავლიტი № 904. კომუნისტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 68